საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№12 (436)
4 - 17 აპრილი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «ქართული ოცნების» რჩეული სახალხო დამცველი ვანო მერაბიშვილის ციხიდან გათავისუფლებასა და ჰომოსექსუალთა შორის ქორწინების დაკანონებას მოითხოვს



4

## ვის სჭირდება რუსეთთან ურთიერთობების უკიდურესი დაძაბვა 2

## დამოკიდებულების 27 გაელვება და პრეზერვატივებზე დახატული თამარ მეფე 6

## ვინ იხეირებს კონფრონტაციის გაღრმავებით ან ახალი ომით?

## 7 «ნატო რუსეთთან სავაჭროდ გვიყენებს»

მამა მიქაელი:

## ბატონო პრემიერო, რანაირად არის ეროვნული ინტერესების დამცველი ის ხელისუფლება, რომელიც ანტიეროვნული ძალებითაა დაკომპლექტებული? 8

14

## ვინ არის პირველი ვიოლინო სკრიპალების საქმეში



„ეჭვის ნატამალიც აღარ რჩება, რომ უკან პროვოკაციისა, რომელიც მოაწყვეს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, დგანან მძლავრი ძალები, რომლებიც არიან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში".

## «როცა ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემის 10 საკითხი წყდებოდა, საქართველოდან გაისმა სატელეფონო ზარი — ჯერ არ დააბრუნოთ!»



## «საქართველო და მსოფლიო» გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 18 აპრილს

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ რადიკალური საგარეო პოლიტიკა საქართველოს რუსეთთან მორიგ დაპირისპირებამდე მიიყვანს, „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“, დიდი ალბათობით, შეეცდებიან, ისარგებლონ კრიზისით, რათა ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. მათ არ აქვთ საკმარისი ძალა იმისთვის, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებზე დაამარცხონ, „ფერადი რევოლუცია“ ან კლასიკური სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ, მაგრამ მათი შანსი მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ საქართველოს რუსეთთან ახალ დაპირისპირებამდე მიიყვანენ.**

# ვის სჭირდება რუსეთთან ურთიერთობების უკიდურესი დაძაბვა

## ქართველ ერს, მმართველ პარტიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს თუ «ნაცმოძრაობასა» და «ევროპულ საქართველოს»? ვინ იხეირებს კონფრონტაციის გაღრმავებით ან ახალი ომით?

**ჟენევის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა. რუსეთმა საქართველოს საზღვრის სიახლოვეს ორი ახალი დივიზიის შექმნა განიზრახა. საქართველომ, დიდ ბრიტანეთთან სოლიდარობის ნიშნად, ქვეყნიდან რუსი დიპლომატის გაძევების გადაწყვეტილება მიიღო. ეს და სხვა მსგავსი სიახლეები მიუთითებს, რომ რუსეთ-საქართველოს ისედაც დაძაბული ურთიერთობა ხანმოკლე პაუზის შემდეგ ისევ გართულდება, შესაბამისად, გაიზრდება საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება.**

29 მარტის ბრიფინგზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა **ჰიზერ ნაუერტმა**, დასავლეთის ქვეყნებიდან რუსი დიპლომატების გაძევებაზე საუბრისას, თქვა, რომ „საქართველო ბოლო ქვეყანაა, რომელიც ჩვენს ძალისხმევას შემოუერთდა. განაცხადა, რომ ქვეყნიდან ერთ ჯაშუშს გააძევებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო რუსეთის უკანა ეზოში მდებარეობს“. **საინტერესოა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში „ჯაშუში“ ნახსენები არ ყოფილა. იქ ნათქვამი იყო, რომ „სამინისტრო საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციის თანამშრომელს მიუღებელ პიროვნებად აცხადებს და მოითხოვს მის მიერ საქართველოს დატოვებას 7 დღის ვადაში“.** აგრეთვე, საგულისხმოა, რომ ქართული საინფორმაციო საშუალებების უმრავლესობამ ნაუერტის მიერ გამოყენებული სიტყვა „ბექ იარდ“ (უკანა ეზო) თარგმნა, როგორც „სიახლოვეს“ ან „მეზობლად“ (მდებარეობს), შესაძლოა, იმიტომ, რომ პირდაპირი თარგმანი დამამცირებელი ქვეტექსტის შემცველად ჩათვალა. სიტყვა „ბექ იარდ“ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით; აღწერდეს, როგორც უკანა ეზოს, ისე გავლენის სფეროს, ამასთანავე, გარკვეულ კავშირს დიდ სივრცესა და მცირე ობიექტს შორის. მოსკოვში „ბექ იარდს“ ამ კონტექსტში, დიდი ალბათობით, აღიქვამენ, როგორც „გავლენის სფეროს“; თბილისში კი, როგორც ჩანს, დაიბნენ და ამ სიტყვაზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

დიპლომატის გაძევებას მიესალმა „ევროპული საქართველო“, რომელიც ბოლო თვის განმავლობაში გამუდმებით მოითხოვს რუსეთის მიმართ ხისტი პოლიტიკის გატარებას, ხოლო მმართველ პარტიაში აზრთა სხვაობა გამოვლინდა. დეპუტატმა **დავით ჭიჭინაძემ** „ტვ პირველთან“ საუბარში განაცხადა: „სერგი კაპანაძემ მოითხოვა, მე როგორც ვიცი, და ჩვენი ხელისუფლება ისევ აყვა. ვფიქრობ, რომ რასაც ითხოვს ჩვენი ოპოზიცია, ყველაფერი არის ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო. დიპლომატის გაძევებაც სოლიდარობა არის. თუ ჩვენ ამ გადაწყვეტილებას ვიღებდით, უნდა მიგველო იქამდე, ვიდრე სერგი კაპანაძე განაცხადებდა ამაზე და შემდეგ მის ჭკუაზე სიარული, ვფიქრობ, სიკეთეს ჩვენს ქვეყანას არ მოუტანს. თუ ბოლომდე გადავჭრით ყველა მოლაპარაკების ფორმატს, ჩვენს მოსახლეობას რას ვუშვებით? ვიცი, რომ 700-800 ათასი მოქალაქე რუსეთშია, იმათ ხომ სჭირდებათ რაღაც? ახლა ის კავშირიც რომ გავწყვიტოთ, რომელიც შვეიცარიის მეშვეობით გვაქვს, ვფიქრობ, საკუთარ მოსახლეობას სირთულეს შევუქმნით და რუსებს კიდევ პრაქტიკულად ვერაფერს დავაკლებთ“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ „ევროპული საქართველოს“ თითქმის ყველა ინიციატივა გაიზიარა — ტატუნაშვილის საქმეს შეეხებოდა ეს, ჟენევის მოლაპარაკებებს თუ დიპლომატის გაძევებას. **როგორც ჩანს, „ევროპული საქართველოს“ ლიდერები საგარეო პოლიტიკაზე ისევ განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ, როგორც 2008-ში, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ და ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანეს.** მათი საგარეო პოლიტიკის უარყოფა 2012-ში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მესიჯს წარმოადგენდა — ბიძინა ივანიშვილი ხშირად საუბრობდა იმაზე, რომ ავანტიურიზმი რეალიზმმა და სიფრთხილემ უნდა ჩაანაცვლოს. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან დღემდე რუსეთთან ურთიერთობაში მხოლოდ რამდენიმე მეორეხარისხოვანი საკითხი მოგვარდა, კონფრონტაციის სწრაფი გაღრმავების საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ხელისუფლებას ჩამოსცილდნენ. დღეს ეს სიტუაცია იცვლება; როგორც ჩანს, ისევ ძველ რელსებს ვუბრუნდებით.

ეს ტენდენცია მმართველ პარტიაში ყველას როდი მოსწონს. გასულ კვირას დეპუტატმა **ზაზა პაპუაშვილმა** „ტვ პირველის“ ეთერში განაცხადა: „რუსეთზე რომ ლაპარაკობენ, სირცხვილია... ჩვენზე ძლიერი ქვეყნებია შეიარაღებით, ეკონომიკით, ფინანსებით... მიხედონ ამ რუსეთს. აილონ და ესროლონ „ჯაველინები“ და გააჩერონ ისინი. მე, ქართველ კაცს, რატომ მევალება, რომ შევუვარდე მუხლუხოებში? მე უნდა მოვისპო და ამოვწყდე, რომ სხვა ქვეყნებმა თქვან: ნახეთ, რუსეთი როგორ ექცევა პატარა საქართველოს? ეს არის ჩემი დანიშნულება? თუ უნდა გადავრჩე და გამთლიანებაზე ვიზრუნო?“

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მოუწოდებენ მთავრობას, რუსეთის მიმართ რადიკალური კურსი გაატაროს, ხოლო მას თითქოს ეშინია, რომ არასაკმარის პატრიოტიზმში, „პარაჟენცობაში“ დაადანაშაულებენ და სწორედ ისე იქცევა, როგორც მის ოპონენტებს სურს. ამ დროს ის, სავარაუდოდ, ნაკლებად ფიქრობს სოციოლოგიურ მონაცემებზე, რომლებიც მიუთითებს, რომ **საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება სურს,** და გადამეტებულ ყურადღებას აქცევენ რამდენიმე ასეული ადამიანის მიერ წარმოებულ ემოციურ კამპანიას მასმედიასა და სოციალურ ქსელებში. პრემიერმინისტრი იმის ნაცვლად, რომ დაეცვა თავისი განცხადება ტატუნაშვილის საქმესთან და ჟენევის ფორმატთან დაკავშირებით, ან მიეთითებინა ოპონენტებისთვის, რომ მათი პოლიტიკის შედეგი 2008 წლის კატასტროფა გახდა, ყრუ თავდაცვაზე გადავიდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა და „ევროქართველებმა“ მაქსიმალურად ისარგებლეს სიტუაციით, მან თქვა: „ამ ადამიანებს არ გააჩნიათ მორალური უფლება, რაიმე კონკურენციაში შევიდნენ იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა ქვეყანაში სრულიად სხვა განვითარების ატმოსფერო შეექმნა“, მაგრამ საზოგადოებას ამ რეპლიკისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია.



„ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ მიუთითებენ იმაზე, რომ დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობა დაიძაბა და ხელისუფლებამ, რომელიც თავს დასავლური ბანაკის ნაწილად მოიაზრებს, ამ ტენდენციის შესაბამისად უნდა იმოქმედოს. თავი დავანებოთ იმას, რომ ყველაზე აქტიურად რუსეთს ბოლო თვეებში ის ქვეყნები უპირისპირდებიან, რომელთაც, ნატოს წევრობიდან გამომდინარე, უსაფრთხოების მყარი გარანტია აქვთ, საქართველოს კი ის არ გააჩნია. აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: **თუ რადიკალური საგარეო პოლიტიკა საქართველოს რუსეთთან მორიგ დაპირისპირებამდე მიიყვანს, „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“, დიდი ალბათობით, შეეცდებიან, ისარგებლონ კრიზისით, რათა ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. მათ არ აქვთ საკმარისი ძალა იმისთვის, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებზე დაამარცხონ, „ფერადი რევოლუცია“ ან კლასიკური სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ, მაგრამ მათი შანსი მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ საქართველოს რუსეთთან ახალ დაპირისპირებამდე მიიყვანენ.** თავის დროზე ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ, მეტიც, ხელს უწყობდნენ რუსეთის იმპერიის მარცხს რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში, რადგან იცოდნენ, რომ ამის შედეგად წარმოქმნილი ქაოსი და დაბნეულობა დაეხმარებოდა, ხელისუფლებაში მოსულიყვნენ.

2008 წელს ოპოზიციურმა პარტიებმა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებაზე მორატორიუმი დააწესეს, მაგრამ „ევროპული საქართველოსა“ და „ნაცმოძრაობის“ წარსული არ გვაძლევს შესაძლებლობას, ვივარაუდოთ, რომ ეს პარტიები იმავეს გააკეთებენ, უფრო — პირიქით. გასაკვირი აქ სულ სხვა რამ არის: რატომ ვერ ხედავს ხელისუფლება ამ ძველისძველ, ბანალურ მანიპულაციას და მის ტყვეობაში ექცევა?!

**მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის რუსული ძალების სიახლოვე მთავარ მაგისტრალთან ცხინვალის რეგიონში, ერთმა სწრაფმა დარტყმამ შეიძლება ქვეყანა ორად გახლიჩოს, უბიძგოს ქართულ სარდლობას, მთელი ძალისხმევა მხოლოდ დედაქალაქის დაცვისკენ მიმართოს და დასავლელი პარტნიორების რეაქციას დაელოდოს. მათ დღეს საქართველოს დაცვის არანაირი იურიდიული ვალდებულება არ აკისრიათ**

ამასობაში რუსეთი საქართველოს საზღვართან ორ დივიზიას ქმნის. საგულისხმოა, რომ ქართველი სამხედრო ექსპერტების ძველი, ჯერ კიდევ 10-15 წლის წინანდელი შეფასებით, იმ ძალების მოცულობა, რომელიც რუსეთს შეუძლია გაშალოს და მოამარაგოს საქართველოში მთავარ მიმართულებაზე, სწორედ ორი დივიზიაა. უფრო მსხვილ ძალებს საბრძოლო მოქმედებების თეატრის „სივიწროვისა“ და კომუნიკაციების სტრუქტურის გამო, ლოგისტიკური პრობლემები შეექმნება. მარტივად რომ ვთქვათ, **საქართველო არ არის უკრაინა, რომლის საზღვრებთან რუსეთი სატანკო არმიას ქმნის. როგორც ჩანს, საქართველოს უშუალო სიახლოვეს უკვე არსებული ძალებისთვის ორი დივიზიის დამატებით, რუსეთს სურს, მიაღწიოს დაახლოებით სამმაგ უპირატესობას საქართველოს სახმელეთო ძალებთან შედარებით ჰიპოთეტური ომის პირველსავე დღეებში, საჰაერო სივრცეში ბატონობის პირობებში. მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის რუსული ძალების სიახლოვე მთავარ მაგისტრალთან ცხინვალის რეგიონში, ერთმა სწრაფმა დარტყმამ შეიძლება ქვეყანა ორად გახლიჩოს, უბიძგოს ქართულ სარდლობას, მთელი ძალისხმევა მხოლოდ დედაქალაქის დაცვისკენ მიმართოს და დასავლელი პარტნიორების რეაქციას დაელოდოს. მათ დღეს საქართველოს დაცვის არანაირი იურიდიული ვალდებულება არ აკისრიათ**, ისევე, როგორც 2008-ში და გამორიცხული არაა, „უკანა ეზოში“ განვითარებულ მოვლენების გამო მხოლოდ შეშფოთების, უკიდურეს შემთხვევაში, აღშფოთების გამოხატვით შემოიფარგლონ.

**ვის სჭირდება დღეს რუსეთთან ურთიერთობების უკიდურესი დაძაბვა, რომლისკენაც, ბოლო თვეა, სწრაფი ტემპით მივდივართ: ქართველ ერს, მმართველ პარტიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს თუ „ნაცმოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“? ვინ იხეირებს კონფრონტაციის გაღრმავებით ან ახალი ომით?**

ლუკა ნემსაძე

**ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება, ოპოზიციის თუ არასამთავრობო სექტორის, ვინც საქართველოს რუსეთთან კონფრონტაციას უჭერს მხარს, ავადმყოფი კი არა, სრულიად შეგნებული და კარგად მყოფი სამშობლოს მტერია და, რაც დაავალეს და რისთვისაც ფულს უხდიან, იმას აკეთებს.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსოფობიური სპექტაკლი — მსოფლიო უწესრიგობა

**მსოფლიოს ახალი წესრიგი — ეს ტერმინი თუ ცნება მეორე მსოფლიო ომის მიწურულს დამკვიდრდა პოლიტოლოგიაში, როდესაც იალტის ანტიჰიტლერული კოალიციის კონფერენციაზე, 1945 წელს, მოკავშირეებმა (სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი) გავლენის სფეროებად დაყვეს და გაინაწილეს პრაქტიკულად მთელი მსოფლიო.**

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **უინსტონ ჩერჩილმა** მალე დაარღვია დასავლეთსა (აშშ) და აღმოსავლეთს (სსრკ) შორის ნომინალური მშვიდობა (როდესაც ფულტონში ე.წ. ცივი ომის დაწყება ამცნო მსოფლიოს, პასუხად კი სტალინმა ე.წ. რკინის ფარდა დაუშვა), მას შემდეგ, თუ არ ჩავთვლით 1962 წლის ე.წ. კარიბის კრიზისს, ეს ახალი წესრიგი, გნებავთ, თამაშის ახალი წესები, ავად თუ კარგად, ოთხ ათეულ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდა — ნატოსა (აშშ) და ე.წ. ვარშავის პაქტის ქვეყნებს (სსრკ) შორის „ცივი ომის“ ცხელ, მესამე მსოფლიო ომად გადაქცევის საფრთხე, ასე თუ ისე, აცილებულ იქნა. აქედან გამომდინარე, თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტი — ყველაფერი მაშინ აიშალა, როდესაც სსრკ დაიშალა...

დიახ, ერთი შეხედვით, პარადოქსია, როდესაც ბოროტების იმპერიად შერაცხილი სსრკ-ის დაშლასთან ერთად დასავლეთსა და რუსეთს შორის ბუნებრივად გაქრა ფუნდამენტური იდეოლოგიური შეუთავსებლობა და თითქოს დედამიწაზე იდილიას უნდა დაესადგურებინა, მაგრამ მოხდა პირიქით — **მალე გაირკვა, რომ აშშ-ის მშვიდობის მტრედობა, ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა და ა.შ. სხვა მრავალი სიკეთე, რომელთა ქადაგებითაც ათეული წლების განმავლობაში ტვინს გვირეცხავდნენ რკინის ფარდის მიღმა არსებული „რადიო-ხმები“, მხოლოდ სსრკ-ის სამხედრო ძალმოსილების შიშით ყოფილა განპირობებული.** ამერიკელებმა, ხატოვნად თუ ვიტყვით, კრემლის გუმბათზე საბჭოთა დროშის დაშვებისთანავე დაიწყეს წითელი არმიის მემკვიდრე რუსეთის არმიის დასუსტებაზე ზრუნვა, რაც სსრკ-ის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის დაშლასაც ნიშნავდა, და არცთუ უშედეგოდ:

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა კრემლში, ჯერ ლოთი **ელცინის** „თამადობით“, გაიდარ-ჩუბაისების ლიბერალური, მარიონეტული ხელისუფლება დასვა, რომელმაც, ერთი მხრივ, რუსეთის უმოწყალო ძარცვას მიჰყო ხელი, ხოლო მეორე მხრივ, არმია, რომელიც ოდესღაც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს, ისე დააჩაჩანაკა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ამერიკული სპეცსამსახურების მიერ აგორებულ სამოქალაქო ომში **შამილ ბასაევის** ბანდფორმირებებსაც ველარ უმკლავდებოდა. ზემოხსენებული მსოფლიოს ახალი წესრიგი, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკის მეგავარსკვლავებმა გასულ საუკუნეში იალტის კონფერენციაზე დაუდეს სათავე, მიუხედავად იდეოლოგიური დაპირისპირებისა და მცირემასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტებისა, დაწერილ თუ დაუწერელ თამაშის წესებს, მხარეთა ურთიერთპატივისცემას გულისხმობდა და, ბირთვულ პარიტეტთან ერთად, ალბათ, ესეც იყო მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთი მიზეზი.

ის კი, **რასაც ძია სემი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ერთპიროვნულად აკეთებს ან ცდილობს, გააკეთოს, მსოფლიოს ახალი უწესრიგობაა, გნებავთ, ბრძოლა წესების გარეშე.**

ამ დოქტრინის (თუ ასე შეიძლება ითქვას) მიხედვით, ლამის მთელ დუნიას (ქუვეითი, ერაყი, ლიბია, იუგოსლავია და ა.შ.) ხომ გადაუარა და გადმოუარა აშშ-მა და არც „მეგობრები“ დაინდო — რომ იტყვიან, ლაჯებში ამოიდო „მოკავშირე“ ევროპა. ბრჭყალებში იმიტომ, რომ სსრკ-ში მოკავშირე რესპუბლიკებს უფრო მეტი გასდიოდათ კრემლში, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებს თეთრ სახლში — ეს მცირე ლირიკული გადახვევა... სერიოზულად კი, როდესაც ძია სემს რუსეთის დაშლა დროის ამბავი და ტექნიკის საქმე ეგონა, სწორედ ამ დროს, ახალი ათასწლეულის დასაწყისში, რუსეთს მხსნელად მოევლინა **ვლადიმერ პუტინი**; პრეზიდენტი, რომელმაც უმოკლეს ვადაში შეძლო ქვეყანაში აშლილობის ისე ჩაცხრობა, რომ 2007 წელს მიუნხენში მსოფლიოს განუცხადა: რუსეთის, როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშის, გარდაცვალების შესახებ მოარული ხმები სინამდვილეს არ შეეფერებაო. მსოფლიო ლიბერასტთა (წაიკითხე, ბრიუსელ-ვაშინგტონი) ოცნების კრახი საქართველომ მაშინ ირწმუნა, როდესაც მიუნხენიდან, სულ რაღაც, ერთ წელიწადში დასავლეთმა უდიდესი ძალისხმევის შედეგად რუსული ტანკები გორთან ძლივს შეაჩერა; ხოლო იქ, სადაც ვერ შეაჩერეს, დე იურედაც დავკარგეთ დე ფაქტოდ დაკარგული სოხუმ-ცხინვალი, პლუს ახალგორი და კოდორის ხეობა. მიუხედავად ამისა, ვაშინგტონმა პოსტსაბჭოთა სივრცეში მაინც განაგრძო თამაში, თამაშის წესების გარეშე და უკრაინაში ცნობილი მოვლენების დასაწყისში სთხოვა მოსკოვს, რომ **იანუკოვიჩს** სამხედრო ძალა არ გამოეყვანა მომიტინგეების წინააღმდეგ. სანაცვლოდ ვაშინგტონი პირობას დებდა, რომ არ დაუშვებდა კიევში სახელმწიფო გადატრიალებას. როგორც ვიცით, ვლადიმერ პუტინმა შეასრულა მიცემული პირობა; **ბარაკ ობამამ** კი, ჟარგონით თუ ვიტყვით, „ნაგლად გადააგდო“ რუსის „ვიზავი“ და მეტიც — არათუ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო, არამედ კიევის პროამერიკულმა ხელისუფლებამ ომი წამოიწყო დონბასლუგანსკში და დაემუქრა ყირიმს. რით დამთავრდა თუ გრძელდება ეს ამბები, ვნახეთ — **2014 წელს ვლადიმერ პუტინმა ბარაკ ობამას ცხვირწინ „აახია“ ყირიმი და სამუდამოდ შეუერთა რუსეთს.** შემდეგ იყო 2015 წლის 29 სექტემბერი, როდესაც პუტინმა გაეროს ტრიბუნიდან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცოდვა შეახსენა დასავლეთს (აშშ-ს) და ფრაზით **„ახლა მაინც გესმით თუ რა ჩაიდინეთ?“** გამოიჯახუნა გაეროს კარი. რუსებმა მეორე დღესვე დაიწყეს სირიაში ისლამისტი ტერორისტების პოზიციების დაბომბვა. და სირია, როგორც სახელმწიფო, გაქრობას გადაურჩა, ხოლო მისი პრეზიდენტი **ბაშარ ასადი — მუამარ კადაფისა** და **სადამ ჰუსეინის** ბედს. კიდევ ბევრის თქმა და გახსენება შეიძლება, რაც ზემოთ მოცემულ კონტექსტში შეიძლება ორგანულად ჩაჯდეს, კონტექსტში, რომელსაც დასავლეთის მიერ გამოუცხადებელი ომი ჰქვია ყველა მიმართულებით — სპორტული, ინფორმაციული, დიპლომატიური და ა.შ. დიპლომატიურმა უკვე მარაზმის, აბსურდის ფორმა მიიღო. მამა-შვილი მოწამლესო რუსებმა. ეს ბრალდება რომ პროვოკაციაა, დასტურად, სამხილები და გამოძიება კი არა, უბრალო ლოგიკა და საღი აზრიც კმარა — უკაცრავად, მაგრამ, **როგორც ნახმარი პრეზერვატივი არ სჭირდება არავის, ასევე არ სჭირდება გაშიფრული, მით უმეტეს, თავის დროზე დაპატიმრებული და სასჯელმოხდილი ჯაშუში.** აქედან გამომდინარე, ყველა ნორმალური ადამიანისთვის ცხადია, რომ ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **ტერეზა მეის** მიერ ატეხილი ისტერიკა და მოწოდება ევროკავშირის მიმართ: არიქა, სოლიდარობა გამოიჩინეთ და თქვენც გააძევეთ რუსი დიპლომატებიო, კარგად დადგმული პროვოკაციაა, რომლის სცენარიც, დიდი ალბათობით, ვაშინგტონში დაიწერა.



**როგორც ნახმარი პრეზერვატივი არ სჭირდება არავის, ასევე არ სჭირდება გაშიფრული, მით უმეტეს, თავის დროზე დაპატიმრებული და სასჯელმოხდილი ჯაშუში. აქედან გამომდინარე, ყველა ნორმალური ადამიანისთვის ცხადია, რომ ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ტერეზა მეის მიერ ატეხილი ისტერიკა და მოწოდება ევროკავშირის მიმართ: არიქა, სოლიდარობა გამოიჩინეთ და თქვენც გააძევეთ რუსი დიპლომატებიო, კარგად დადგმული პროვოკაციაა, რომლის სცენარიც, დიდი ალბათობით, ვაშინგტონში დაიწერა.**



ტერეზა მეი

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ისედაც არ გვაქვს დიპლომატიური კავშირი და, ამ მხრივ, ისედაც სოლიდარულები ვიყავით ბრიტანეთთან, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოუცხადა სოლიდარობა და იპოვა გასაძევებელი „დიპლომატი“. მართალია, როგორც იტყვიან, ჩუპჩ რანგის, მაგრამ მაინც — საქართველოში შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსეთის ინტერესთა სექციის თანამშრომელი...

ამის გამო სოციალურ ქსელებში გვალადავებენ და რას აღარ წერენ: **„ამერიკის პუდელი“; „ქართველები არ იყვნენ, რამდენიმე დღის წინათ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას რომ გვეხვეწებოდნენ?“; „საქართველოში ქართველები აღარ არიან, მხოლოდ ჯორჯიები დარჩნენ“; „უარი ვთქვათ მაგათ „ბორჯომზე“, ღვინოზე და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, წავიდნენ და ევროკავშირში გაყიდონ“; „ბევრი ჰალსტუხი გავუგზავნოთ“** და ა.შ. სოციალური ქსელები და ღადაობა იქით იყოს, მართლა რომ დაგვიწესონ ემბარგო რუსებმა, ევროკავშირი იყიდის ჩვენს პროდუქციას? ან, ფულადი გზავნილები რომ დაგვიბლოკონ, რას ვშვრებით მერე — ტერეზა მეი გამოგვიგზავნის სტერლინგებს? ან ყველაზე უარესი: რომ მისდგნენ რუსეთში მცხოვრებ არალეგალ ქართველებს და გამოაძევონ, ევროკავშირი მიიღებს ქართველ ლტოლვილებს? ის ევროპა ხომ არა, რომელთანაც ვითომ უვიზო რეჟიმი გვაქვს, მაგრამ ისე არიან ქართველების სტუმრობით „მოხიბლულნი“, რომ აქეთ გვიხდიან ფულს, ოღონდაც აქედან წაეთრიეთო. ამ ელემენტალური რალაცების ვერდამნახავ ხელისუფლებასა თუ ოპოზიციას რა ეპითეტებით აღარ ამკობენ ქართულ სოციალურ ქსელებში, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, არც დებილები არიან, არც უუნაროები, იდიოტები და ა.შ.

დიახ, სამწუხაროდ, რადგანაც უარესთან გვაქვს საქმე — **ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება, ოპოზიციისა თუ არასამთავრობო სექტორის, ვინც საქართველოს რუსეთთან კონფრონტაციას უჭერს მხარს, ავადმყოფი კი არა, სრულიად შეგნებული და კარგად მყოფი სამშობლოს მტერია და, რაც დაავალეს და რისთვისაც ფულს უხდიან, იმას აკეთებს.** არ ვიცი, მართალია თუ არა, და საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვის კონტექსტში მოსკოვის პროსპექტისთვის სახელის გადარქმევასა და მის ტატუნაშვილის პროსპექტად გადაკეთებას აპირებენო. ამაზე სარკისებურად გვიპასუხებენ რუსები — ბოლშაია გრუზინსკაიასა და მალენკაია გრუზინსკაიას ქუჩებს სახელებს გადაარქმევენ და შეიძლება ეკონომიკური სანქციებითაც დაგვსაჯონ.

**დავით მხეიძე**

**P.S. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში რუსეთ-საქართველოს ოდნავ დამთბარი ურთიერთობა, ზემოხსენებული მოვლენების გამო, საბოლოოდ თუ არ გაფუჭდა, დიდი ხნით მაინც გაიყინა. წინა წერილში მოზდოკსა და ვლადიკავკაზში გახსნილ რუსეთის ახალ, უპრეცედენტოდ ძლიერ სამხედრო ბაზებზე გვქონდა საუბარი, ბაზებზე, რომელთა სტრატეგიული მიმართულება, საჭიროების შემთხვევაში, თბილისი რომ არის, ამის გამოცნობას გენერლობა ნამდვილად არ სჭირდება. „საჭიროების შემთხვევა“ კი ბოკერიას ჭკუაზე მოარული ხელისუფლების პირობებში, როცა იქნება, დადგება და როგორც, სტანისლავსკის სწავლების მიხედვით, კედელზე დაკიდებული თოფი სპექტაკლის დასრულებამდე, როცა იქნება, გავარდება, ასევეა სტანისლავსკის გარეშეც — აშშ-ის მიერ დადგმული რუსოფობიური სპექტაკლის მიმდინარეობისას ის ორი სამხედრო ბაზა, როცა იქნება, აუცილებლად დაიქუხებს.**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამ ხელისუფლებამ კოაბიტაციის ფარგლებში უკვე იმდენი გააკეთა, რომ ერთი მერაბიშვილი ზის, მგონი, ციხეში. მის მიმართ თანაგრძნობის განცდაც კი გამიჩნდა, იმიტომ, რომ, ვინც დაიჭირეს, ყველა გარეთ არის. მეტიც — საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატებად სხედან დანაშაულის მონაწილეები და მურუსიძე აზის ქვეყანას თავზე. ერთი მერაბიშვილი რა გახდა?! ერთი და იმავე დანაშაულის მონაწილე პირებიდან ათს ჩაეხუტო და ერთი ჩასვა ციხეში, არასწორი საქციელია ხელისუფლების მხრიდან“.

# ნაცი ლომჯარიაში არ დაიმალებაო

## «ოცნების» რჩეული სახალხო დამცველი ვანო მერაბიშვილის ციხიდან გათავისუფლებასა და ჰომოსექსუალთა შორის ქორწინების დაკანონებას მოითხოვს

**სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ 2018 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტს ქვეყანაში 2017 წელს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. 347-გვერდიან ანგარიშში, სხვა საკითხებთან ერთად, მოხვდა საქართველოს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.**

**„კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა პირის თავისუფლებაში უხეში ჩარევით იშვიათი პრეცედენტია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში და მსგავს იშვიათ შემთხვევებს სახელმწიფოები უმეტესად ისეთი ღონისძიებებით პასუხობენ, რომლებიც პირის პატიმრობიდან გათავისუფლებას გულისხმობს“, — აღნიშნულია სახალხო დამცველის ანგარიშში.**

**სახალხო დამცველის მოთხოვნა ვანო მერაბიშვილის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ნიშნავს თუ არა იმას, რომ „სტრატეგიულ პარტნიორებზე“ საქართველო ისეა დამოკიდებული, თავისი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაც არ შეუძლია?! მერაბიშვილის ვადამდე გათავისუფლება ხომ არ გამოიწვევს მმართველი პოლიტიკური ძალის მარგინალიზაციას და დადგება თუ არა მერაბიშვილის საქმე საგარეო აქტორების დღის წესრიგში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებამდე? ომბუდსმენის 2017 წლის ანგარიშში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველი კონსტიტუციაში ქორწინების ცნების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის, რეგულირებას უარყოფითად აფასებს და მიუთითებს, რომ ამ ფონზე მნიშვნელოვანია, ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის სახელმწიფომ სამოქალაქო პარტნიორობა აღიაროს. ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრნენ პოლიტოლოგები: ჰამლეტ ჭიპაშვილი და გია ხუხაშვილი.**



### „სახალხო დამცველი ნაციონალებთან ერთად ძოვდა და საზოგადოებისთვის ისევე მიუღებელია, როგორც მერაბიშვილი“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— 2012 წელს, როდესაც ბიძინა ივანიშვილი გახდა პრემიერმინისტრი, ხოლო ძალაუფლება გადაიბარა „ქართულმა ოცნებამ,“ გამოაცხადეს კოაბიტაცია. არადა, საქართველოს მოსახლეობამ არც კი იცოდა კოაბიტაციის მნიშვნელობა. მერე ნელ-ნელა მივხვდით, რომ ეს კოაბიტაცია არის დამნაშავე, „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ მიმართული და არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მის დასჯას.

**საააკაშვილსა და მერაბიშვილს იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, რომ სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იყვნენ გამომწყვდეულნი, მაგრამ ასე არ ხდება, რადგან დასავლეთმა საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ასე გადააწყვეტინა და მიგვიყვანა სრულ იმპოტენციამდე მართლმსაჯულებისა და ქვეყნის მართვის საკითხებში.**

ე.წ. ოპოზიცია — ეს არის კრიმინალური დაჯგუფება, რომელსაც ჰქვია „ნაციონალური მოძრაობა“. ბიძინა ივანიშვილს 2012 წელს თავიდანვე ნორმალურად რომ აღექვა ვითარება, პირველივე ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო იმ მიმართულებით, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“ გამოეცხადებინა კანონგარეშე პარტიად და მისი ყველა დამნაშავე წევრი გაემწესებინა ციხეში, მაგრამ ეს ვერ გააკეთეს, რადგან საააკაშვილი და ნაციონალური ბანდა წლების განმავლობაში ჩახუტებული იყვნენ ევროპელ პოლიტიკოსებთან, როგორც საჩუქრებით, ისე კორუფციული სქემებით.**

სახალხო დამცველი ნაციონალებთან ერთად ძოვდა და ის საზოგადოებისთვის ისევე მიუღებელია, როგორც **მერაბიშვილი.** ნინო ლომჯარია მრავალი წლის განმავლობაში „ტივტივებდა“ არასამთავრობო ორგანიზაციებში. სწორედ ლომჯარია და ე.წ. ექსპერტები, აგრეთვე, თანამდებობის პირები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ მერაბიშვილს არაფერი ავნონ და ციხიდან როგორმე გამოიხსნან.

**— მერაბიშვილის ვადამდე გათავისუფლება ხომ არ გამოიწვევს ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური ძალის მარგინალიზაციას?**

— მილიონობით ლარის გამტაცებელი, ბანდიტი და ქურდი თბილისის ყოფილი მერის — **გიგი უგულავას** გამოსვლას საზოგადოებაც და მმართველი ძალაც კარგად შეეგუა. ამის პირველი ნიშანია ის, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ბანდიტ უგულავასთან ერთად, პოლიტიკურ თოქშოუში მონაწილეობდა, რაც იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ხელისუფლება მშვენივრად შეეგუა თავზე ლაფის დასხმას; ასე რომ, შეეგუება მერაბიშვილის ციხიდან გათავისუფლებასაც.

**— სახალხო დამცველი ანგარიშში კონსტიტუციაში ჩაწერილი ქორწინების ცნებას, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირს, უარყოფითად აფასებს და მიუთითებს, რომ ამ ფონზე მნიშვნელოვანია, ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის სახელმწიფომ სამოქალაქო პარტნიორობა აღიაროს...**

— **ლომჯარია გააკეთებს იმას, რასაც უკარნახებენ დასავლეთიდან. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი თითის ქნევით მოუწოდებდა ყველა ქვეყანას, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება დაეკანონებინათ, და რა გასაკვირია, ისეთი „მორჩილი“ პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა, როგორიც ნაციონალები არიან, აგრეთვე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ, გააკეთონ ის, რაც დასავლეთს უნდა?** რა სურს დასავლეთს? მას სურს, რომ საქართველოს ისტორიაში, ბუნებასა და კულტურაში რაც არ იჯდა ამ საუკუნეების განმავლობაში, ყველაფერი გაატაროს. სინდისგარეცხილმა არასამთავრობოებმა და იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც უკანალში უძვრებიან დასავლეთს, ვინაიდან იქიდან ფინანსდებიან ისინი, ფეხებზე დაიკიდეს ყოველივე ღირებული და ეროვნული. ახსოვს საზოგადოებას, დავით უსუფაშვილის პარლამენტის თავმჯდომარეობისას როგორ მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი და თითქოს ამით არაფერი დაშავებულა, მაგრამ ამ კანონის მიღებით ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა. ამის შემდეგ „ოცნების“ წარმომადგენლებმა საზოგადოებას თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს არ შემცდარან და იბრძოდნენ იმ ტრადიციების გასამაგრებლად, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოში. ამის გამოხატულება იყო 2014 წელს იმჟამინდელი პრემიერის, **ირაკლი ღარიბაშვილის,** განცხადება, რომ ის გამოდიოდა ინიციატივით, რომლის მიხედვით ოჯახი უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა. მედიასაშუალებებიდან კი ყოველდღიურად გვესმის საპირისპირო — მედია დაუფარავად ეწევა მამათმავლობის რეკლამირებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველ საზოგადოებას ცხვირში ძალად ტენიან მამათმავლობის პროპაგანდას. იმ საქართველოს პროტესტი კი, რომელიც იცავს ძველ ტრადიციებს, საკმარისი არ არის იმ მავნებლობის წინააღმდეგ, რომელსაც მამათმავლობა ჰქვია.



### „საქართველოს სახალხო დამცველი ორიენტირებულია არა ქართველ საზოგადოებაზე, არამედ ვიღაცაზე, ვინც აქამდე ინახავდა და „პატრონობდა“ — აი ეს არის ჩვენი ქვეყნის უბედურება!“

**გია ხუხაშვილი, პოლიტოლოგი:**

— მერაბიშვილის საქმე ორეტაპიან სიბრიყვეს უკავშირდება: პირველი — როდესაც ევროსასამართლომ ჩათვალა, რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ უკანონოდ იმოქმედეს; და მეორე — საქმის არასწორი წარმოება საერთაშორისო სასამართლოში, ანუ მისმა ჩაფლავებამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა. ვინ ჩააფლავა ეს ყველაფერი?

თუ ყველაფერი მართლაც მოხდა მერაბიშვილის მიმართ, ეს იყო იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩადენილი. ევროსასამართლოს არ უთქვამს, რომ მერაბიშვილი უდანაშაულოა, მან თქვა, რომ, პატიმრის მიმართ განხორციელდა გარკვეული უკანონო ქმედებები. ჩემი აზრით, აქ პოლიტიკა, უკვე შუაში აღარ არის. ან ვის ახსოვს მერაბიშვილი და საააკაშვილი? ეს ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული, დავემორჩილებით ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას — ეს ნიშნავს, რომ პერსპექტივა გვექნება, ვიყოთ ვეროკავშირში, თუ არ დავემორჩილებით, ეს პერსპექტივა არ გვექნება, ანუ ამით ქვეყანა არ დაიქცევა. შესაბამისად, აქ არის კონკრეტულ სამართლებრივ საკითხზე საუბარი. ამ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი რომ დადგეს საქართველოში, ევროსასამართლო დაწყნარდებოდა. ხელისუფლება მერაბიშვილს ვერც ბრალს უმძიმებს და ვერც ციხიდან უშვებს — აი ეს არის პრობლემა. რისი შემჩნევაც უნდათ, იმჩნევენ და რისი შემჩნევაც არ უნდათ, არ იმჩნევენ — ეს არის სიბრიყვე და ბავშვური საქციელი, რომლის შედეგებზე არ ფიქრობენ.

**— კონკრეტულად?**

— ამ ხელისუფლებამ კოაბიტაციის ფარგლებში უკვე იმდენი გააკეთა, რომ ერთი მერაბიშვილი ზის, მგონი, ციხეში. მის მიმართ თანაგრძნობის განცდაც კი გამიჩნდა, იმიტომ რომ, ვინც დაიჭირეს, ყველა გარეთ არის. მეტიც — საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატებად სხედან დანაშაულის მონაწილეები და მურუსიძე აზის ქვეყანას თავზე. ერთი მერაბიშვილი რა გახდა?! ერთი და იმავე დანაშაულის მონაწილე პირებიდან ათს ჩაეხუტო და ერთი ჩასვა ციხეში, არასწორი საქციელია ხელისუფლების მხრიდან.

**— როგორ შეაფასებთ სახალხო დამცველის მოთხოვნას, რომ სახელმწიფომ აღიაროს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის სამოქალაქო ქორწინება, ანუ დააკანონოს ჰომოსექსუალთა ქორწინება?**

— საქართველოში ლგბტ-ის საკითხზე საზოგადოებრივი განწყობა ერთმნიშვნელოვანია, როდესაც სახალხო დამცველი ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონებაზე საუბრობს, ის აბსოლუტურად არ ითვალისწინებს იმ რეალობას, რომელიც ქვეყანაშია. მან მშვენივრად იცის, რომ ეს ვერ დაკანონდება საქართველოში, რადგან დღევანდელი საზოგადოება ამას არ აღიარებს. ცხადია, რომ ომბუდსმენი ამას ჩვენთვის არ ლაპარაკობს, ის ეპრანჭება უცხოელ სპონსორებს. საქართველოს სახალხო დამცველი ორიენტირებულია არა ქართველ საზოგადოებაზე, არამედ ვიღაცაზე, ვინც აქამდე ინახავდა და „პატრონობდა“ — აი ეს არის ჩვენი ქვეყნის უბედურება!

ესაუბრა **სოფო კაკაჩია**

**P.S. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მერაბიშვილის საქმეზე საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიება სასამართლოს გადაწყვეტილების სრულფასოვნად და დროულად აღსასრულებლად, როგორც ამას ევროპული კონვენცია მოითხოვს.**

«ლომჯარია გააკეთებს იმას, რასაც უკარნახებენ დასავლეთიდან. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი თითის ქნევით მოუწოდებდა ყველა ქვეყანას, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება დაეკანონებინათ, და რა გასაკვირია, ისეთი «მორჩილი» პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა, როგორიც ნაციონალები არიან, აგრეთვე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, გააკეთონ ის, რაც დასავლეთს უნდა?»

**ხომ მოგვცეს ევროპაში უვიზოდ მიმოსვლის უფლება? ჰოდა, კეთილი ინებონ ნარკომანებმა და, თუ სურვილი აქვთ, 50 ევროდ აიღონ ბილეთი, გაფრინდნენ ჰოლანდიაში და უნდათ, ვენაში გაიკეთონ, უნდათ — სხვაგან. მთავარია, მომავალმა თაობამ არ უყუროს, როგორ ნადგურდება ერი, როგორ ვიძირებით ჭაობში და, რაც მთავარია, როგორ ცდილობენ ადამიანები ამ ყველაფრის „დაკანონებას“.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეცდომაა — დილერი, სწორია — დისტრიბუტორი

# ბარიგებს იმპორტიორებიც ხომ არ დავარქვათ და დღგ-ისგან გავათავისუფლოთ?!

**ალბათ, ყველას გახსოვთ, როგორი მასშტაბური იყო ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით გამართული აქციები. ისიც გემახსოვრებათ, მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის მხარდასაჭერ აქციაზე რამდენი ადამიანი მივიდა და როგორ მოითხოვდნენ ცნობილი თუ უცნობი სახეები და სახელები „ბახალას“ გამოშვებას. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ გიორგანაშვილს ბრალი დაუმძიმდა და ახლა სამუდამო პატიმრობა ან, უკეთეს შემთხვევაში, 20 წლით ელის თავისუფლების აღკვეთა.**

ნარკომომხმარებლების შეცოდებიდან ნელ-ნელა გადავედით „ბარიგების“ შეცოდებაზე. „თეთრი ხმაურის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი **დავით სუბელიანი** ამბობს: ნარკოტიკის გამსაღებლებს „ბარიგა“ არ უნდა დავუძახოთ, რადგან ეს საბჭოთა გადმონაშთია და არაკაცის სინონიმიაო. სუბელიანი იმასაც ამბობს, — „ბარიგებს“ დილერები უნდა დავუძახოთო.

დათო, სანამ მთავარ სათქმელზე გადავალ, გეტყვი, რომ „ბარიგა“, მართლაც, ცუდად ხვდება ყურს და ნარკოგამსაღებლებს, ამ სიტყვასთან ერთად, მკვლელები, არაადამიანები, ფაშისტები, გენოფონდის მტრები და ნაბიჭვრები უნდა დავუძახოთ. დილერი არა, ბიჭო, დისტრიბუტორი... იმპორტიორებიც ხომ არ დავარქვათ და დღგ-ისგან გავათავისუფლოთ?! **აი ასეთი არასამთავრობოების აქტივისტები წირავენ ქვეყანას დასაღუპად; სწორედ დასაღუპად, რადგან, თუ 1990-იანებში ნარკოტიკების გამო თაობა დავკარგეთ, ახლა ანალოგიური საფრთხის წინაშე ვართ. იმისთვის, რომ ევროპიდან გრანტები მიიღონ, არასამთავრობოების წარმომადგენლები „აპრავებენ“ ყველაფერს, სიკვდილს აკანონებენ და, რაც მთავარია, არა მხოლოდ ნარკომომხმარებლებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც წირავენ.** სამაგიეროდ, გახშირდა შემთხვევები, როცა სკვერებში სათამაშოდ გაყვანილი ბავშვები პოულობენ გამოყენებულ შპრიცებს, სულ უფრო ხშირად ვხვდებით დასვენების ადგილებზე „დობრი კაიფში“ მყოფ ახალგაზრდებსა თუ ხნოვანებს და ამ ყველაფერს „გაგებით უნდა მოვეკიდოთ, რადგან თურმე ისინი ავადმყოფები არიან და მკურნალობა სჭირდებათ. მკურნალობის გარდა, არასამთავრობოები კატეგორიულად მოითხოვენ, ნარკოტიკის გაკეთების უფლება ყველგან იყოს დაშვებული და ეს მაშინ, როცა ხელისუფლება სიგარეტის მოწევას კრძალავს.

მართლა გაუგებარია, რატომ ითრევს ფეხს ხელისუფლება ამ მიმართულებით?! რატომ კატეგორიულად არ ამბობენ პარლამენტარები არას ამ კანონპროექტის განხილვაზეც კი (არათუ მიღებაზე)? როგორ გგონიათ, ევროპასა და ამერიკას მართლა ჩვენი ახალგაზრდების თავისუფლების დარდი აქვთ? რატომ არის დაფარული ამერიკელთა მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები?

**„2017 წელს საქართველოს ხელისუფლებას არ აღურიცხავს დიდი ოდენობით უკანონო ნარკოტიკების ამოღების შემთხვევები. საქართველოს მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ დაახლოებით 50 000 ნარკომომხმარებელია. მეტადონი, ჰეროინი და ბუპრენოფრინი ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკებია საქართველოში და ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარების შემთხვევები იზრდება. 2017 წლის კვლევამ აჩვენა ნარკოტიკების მოხმარების ზრდა ახალგაზრდებს შორის, 11%-ით კი — მარიხუანის მოხმარების ზრდა. 2017 წელს აშშ-მა განაგრძო საქართველოს მხარდაჭერა ნარკოტიკებთან ბრძოლის კუთხით. საქართველოს მთავრობა დიდ ინტერესს იჩენს აშშ-თან შემდგომ თანამშრომლობაში. საქართველოს მთავრობა ანტინარკოტიკული პოლიტიკისა და ნარკოდანაშაულთან ბრძოლის პროცესში აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მისიებთან, პარტნიორ სახელმწიფოებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიურ წრეებთან“,** — აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, მაგრამ ამაზე ყურადღებას არავინ ამახვილებს და სწორედ ამერიკის სახელით იბრძვიან ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისთვის.


დავით სუბელიანი

იმავე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ნარკოდანაშაულით მოპოვებული ფულის გათეთრების საკითხზე:

**„საქართველოში არალეგალური შემოსავლის დიდ ნაწილს საბანკო სექტორში თაღლითობა, კორუფცია, კონტრაბანდა, გადასახადებისგან თავის არიდება და ორგანიზებული დანაშაული წარმოშობს. არსებობს არალეგალური ნარკოტიკების შიგა ბაზარი, აგრეთვე, საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო პუნქტს წარმოადგენს. რუსეთის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლი არ ვრცელდება და ისინი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მონიტორინგს არ ექვემდებარება. საქართველოს პროკურორებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ორგანიზებულ დანაშაულსა და ფულის გათეთრებას შორის კავშირების გამომჟღავნებას. 2017 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით, ფულის გათეთრების ბრალდებით 31 პროცესი და 8 გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი“**, — წერენ ანგარიშის ავტორები.

რა გამოდის: ამერიკა გვეუბნება, ილუპებით, ახალგაზრდობა წამალზეა შემჯდარი და თქვენ არაფერს აკეთებთო; არასამთავრობოები და პოლიტიკოსები კი გვეუბნებიან, რომ ლიბერალიზაცია სწორედ ამერიკისა და ევროპის მოთხოვნააო. გრანტებს არასამთავრობოები სწორედ ამერიკიდან და ევროპის ქვეყნებიდან იღებენ, ანუ იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ოფიციალურად გვაფრთხილებენ, ერი ნადგურდებაო, არაოფიციალურად კი ამ განადგურებაში ხელს გვიწყობენ.

სხვათა შორის, **ნარკომომხმარებლებსა და „ბარიგებზე“ კანონი წინა ხელისუფლების პერიოდში გამკაცრდა. რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ცუდი იყო (და იყო კიდეც), ამ მიმართულებით ისინი აშკარად სწორად იქცეოდნენ და ეს ახლა გამოჩნდა. ის, რომ მაშინ არავინ აპროტესტებდა ნარკომომხმარებლებისა და გამსაღებლების დაკავებას, ბევრ კითხვას აჩენს.** მაშინ ეშინოდათ და, რაც მთავარია, მაშინ ამ მიმართულებით ამოვისუნთქეთ — ნარკომანები გაქრნენ, „ბარიგები“ ფრთხილობდნენ და რეალურად, ძალოვანთა ფრთის ქვეშ ყიდდნენ წამალს, თუმცა ნარკოტიკებისადმი ინტერესი პრაქტიკულად განულებული იყო.

ახლა ვიღაც იკითხავს, გამოსავალი სად არისო. გამოსავალი ვიზალიბერალიზაციაშია. **ხომ მოგვცეს ევროპაში უვიზოდ მიმოსვლის უფლება? ჰოდა, კეთილი ინებონ ნარკომანებმა და, თუ სურვილი აქვთ, 50 ევროდ აიღონ ბილეთი, გაფრინდნენ ჰოლანდიაში და უნდათ, ვენაში გაიკეთონ, უნდათ — სხვაგან. მთავარია, მომავალმა თაობამ არ უყუროს, როგორ ნადგურდება ერი, როგორ ვიძირებით ჭაობში და, რაც მთავარია, როგორ ცდილობენ ადამიანები ამ ყველაფრის „დაკანონებას“.**

მოვუწოდებთ ხელისუფლებას: ფინანსური თვალსაზრისით 1990-იან წლებამდე არაფერი გვიკლია, კრიმინალის თვალსაზრისით შეიძლება გავასწროთ კიდეც და, თუ ნარკომანობა ისევ სასახელო გახდება და წამალს ყოველ კუთხეში გაიჩხერენ... არ გეტყვით, რომ არ შეგრჩებათ, რადგან პასუხის მომთხოვნი აღარავინ დარჩება, მთელი ერი გადაშენდება. ერში თქვენი შვილებიც შედიან, ბატონებო, და ამაზე იფიქრეთ, გაამკაცრეთ ნარკოპოლიტიკა და „ბარიგებს“ უპირობოდ უვადო პატიმრობა მიეცით, შეწყალების უფლების გარეშე. არ დაიწყოთ ახლა, ეს ადამიანის უფლებების დარღვევააო, ისინი ადამიანები არ არიან, არა!

**ბესო ბარბაქაძე**

# ნარკოპრეზიდენტი

## პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდადებული 1 812 პირი შეიწყალა

**მდიდარი სექსის მქონე, ქსოვის მოყვარულ პლასტილინა პრეზიდენტს — გიორგი მარგველაშვილს, რომელმაც 2001 წელს გამოქვეყნებულ თავის ე.წ. ფილოსოფიურ ესეში „ნიჩურტა! — მე ქართველი ვარ“ ქართველ ხალხს გონებასუსტი და დებილი უწოდა, რამდენიმე დღის წინათ კი განაცხადა, რომ არ ადარდებს, რას ეუბნება მოსახლეობის ნაწილი, ახლახან, რბილად რომ ვთქვათ, გამოუჩხრიკეს სკანდალური ფაქტი, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვსაზღვროთ, მოსახლეობის რომელი ნაწილის აზრი ადარდებს მას.**

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა 2013 წლის დეკემბრიდან დღემდე შეიწყალა 3 655 პირი, მათგან 1 645 — განსაკუთრებით მძიმე, ხოლო 1 812 — ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდადებული. ამას ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც სააგენტომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან რამდენიმე დღის წინათ გამოითხოვა.

განსაკუთრებით **მძიმე დანაშაულისთვის** (ითვალისწინებს 10 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთას) შეწყალებულია 1 645 მსჯავრდადებული: 2013 წელს — 71; 2014 წელს — 787; 2015 წელს — 1006; 2016 წელს — 834; 2017 წელს — 840; 2018 წლის განმავლობაში დღემდე — 117. **ნარკოტიკული დანაშაულისთვის კი სულ შეწყალებულია 1812(?!) მსჯავრდადებული.**



აი ამ მონაცემებიდან ჩანს, ფილოსოფოს პრეზიდენტს, რომელმაც განათლება ჯორჯ სოროსის მიერ შექმნილ ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში მიიღო და რომელმაც ქართველ ხალხს გონებასუსტი და დებილი უწოდა, მოსახლეობის რომელი ნაწილის აზრი ადარდებს, ამიტომ მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს განსაკუთრებით მძიმე და ნარკოდანაშაულების ჩამდენთა პრეზიდენტი.

**დავით ბერიძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდის უფრო მეტი ნარკომანი და ნარკობარიგა გვყავდა: რუსული და საბჭოთა „ჩაგვრის“ პერიოდში თუ ახლა — ევროამერიკული „ღირებულებების“ ზეობის ხანაში, როდესაც არა მხოლოდ ბიჭები, არამედ ქართველი გოგოების საკმაოდ დიდი ნაწილიც კი ნარკომანია?**

**1991 წელია. გამოცხადდა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. რეფერენდუმზე მისულმა მოქალაქეებმა ერთადერთ კითხვას უნდა უპასუხონ — ხართ თუ არა თანახმა, აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, ხოლო 2018 წელს ქართველებმა პრეზერვატივებზე დაახატონ თამარ მეფე, თბილისის ცენტრში დაბრუნდნენ არაბები, ბათუმი მიითვისონ თურქებმა, ბორდელებში ირანელებმა ჩაითრიონ არასრულწლოვანი ქართველი გოგონები, ახალგაზრდობის ნახევარი განარკომანდეს, სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი უცხოეთში გაიქცეს მძიმე სამუშაოზე ლუკმაპურის საშოვნელად?**

# დამოკიდებულების 27 გაელვება და პრეზერვატივებზე დახატული თამარ მეფე



**დამოუკიდებელი კი არა, დამოკიდებული ვართ ყველაზე და ყველაფერზე — ევროპაზე, აზიაზე, ამერიკაზე, ნატოზე, გაეროზე, ევროკავშირზე, ბაქოზე, ერევანზე, სტამბოლზე და კიდევ უამრავ რამეზე. ამერიკის ელჩი კი საქართველოს პრეზიდენტზეც და პრემიერმინისტრზეც მაღლა დგას და, არა მხოლოდ სახელმწიფო, ბევრ კერძო სტრუქტურაშიც კი დამლაგებელს ვერ დანიშნავ ამერიკის ელჩის თანხმობის გარეშე**

აჰ, უკაცრავად, იმ რეფერენდუმის კითხვა ასეთი და ამსიგრძე არ ყოფილა, ხო? იქ მხოლოდ ის გვკითხეს, გვსურდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, არა? კი ბატონო, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, **არ ჯობდა, კითხვა ზუსტად ისე და იმ ფორმით ყოფილიყო დასმული, როგორც მე შემოგთავაზეთ?** ეგ კი არა, დამიჯერეთ, მეტი პუნქტების დამატებაც შეიძლება ამ კითხვისთვის და უფრო ზუსტი და ჩამოყალიბებული სახით დაწერაც, თუმცა ესეც საკმარისია იმისათვის, რომ დავფიქრდეთ — გაეცემოდა თუ არა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისგან პასუხი „დიახ“, კითხვა რომ ასე ყოფილიყო ჩამოყალიბებული.

სავარაუდოდ, ქართველთა უმეტესობა ამ კითხვას „არა“-ს უპასუხებდა, თუკი ამას დაიჯერებდა. დიახ, აქ სწორედ დაჯერებაა მთავარი, რადგან **იმ პერიოდში, ალბათ, ერთეულები თუ ხვდებოდნენ, რომ ასეთი ნაჩქარევი, სპონტანური, მოუმზადებელი დამოუკიდებლობა ჩვენი სამშობლოს კარგს არაფერს მოუტანდა. სავარაუდოდ, ეს ერთეულებიც უფრო მატერიალურ, სოციალურ პრობლემებზე აკეთებდნენ აქცენტს და ყველაზე დიდი პესიმისტიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ რუსთაველის გამზირზე მუშტშემართული, „შავლეგ, შენი შავი ჩოხას“ ბოლო ხმაზე მომღერალი ქართველების უახლოესი შთამომავლები, არათუ შვილთაშვილები 100 წლის შემდეგ, არამედ უკვე მათივე შვილები პრეზერვატივებზე მეფე თამარის გამოსახულებას დაახატავდნენ, ღამის კლუბებში ძიგძიგი იქნებოდა ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის შვილთა მთავარი „საქმიანობა“ და ნარკოტიკის შოვნა და ერთმანეთში გაყოფა — მთავარი საზრუნავი.**

მართლაც და, ვინ დაიჯერებდა იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება?

**„მამული, ენა, სარწმუნოება“-ს რომ „სექსი, ნარკოტიკი, ურწმუნოება“ ჩაანაცვლებდა, ამას ვინმე იფიქრებდა?! არადა, არც ისე ძნელი მისახვედრი იყო!**

ზუსტად მახსოვს მაშინდელი პრეტენზიები რუსული, როგორც უწოდებდნენ, „მოდერნიზებული საბჭოთა“ იმპერიის მიმართ:

* ავღანეთში ქართველ ბიჭებს ხოცავენ! არადა, რეალურად ოცჯერ მეტი რუსი ეროვნების ჯარისკაცი მიჰყავდათ ავღანეთის ომში, ვიდრე ქართველი. **კუკიის სასაფლაოზე დღესაც არის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან ავღანეთში ინტერნაციონალური ვალის მოსახდელად გაწვეული მეომრების საძმო საფლავი. შეგიძლიათ, მიბრძანდეთ და დაათვალიეროთ — იქ დაკრძალულთა 80 პროცენტი საქართველოდან კი არის გაწვეული, მაგრამ ძირითადად აქ მცხოვრები რუსი სამხედროების შვილები არიან. დღეს კი, ქართველი ბიჭების სიკვდილისა თუ დასახიჩრების ამბავი ლამის ყოველდღე მოდის იმავე ავღანეთიდან;**

* კიდევ ერთი პრეტენზია — საბჭოთა „კაგებე“ განგებ ანარკომანებს ქართველ ბიჭებს, რათა ქართული გენოფონდი მოსპოს. ამ ბრალდებაზე დღეს უკვე ხმამაღლა ხარხარიც შეიძლება, სატირალი და თავში საცემი რომ არ იყოს. **როდის უფრო მეტი ნარკომანი და ნარკობარიგა გვყავდა: რუსული და საბჭოთა „ჩაგვრის“ პერიოდში თუ ახლა — ევროამერიკული „ღირებულებების“ ზეობის ხანაში, როდესაც არა მხოლოდ ბიჭები, არამედ ქართველი გოგოების საკმაოდ დიდი ნაწილიც კი ნარკომანია?** — ეს ხელისგულზე დევს. უი, ეს რა წამომცდა — „ნარკობარიგა“-მეთქი. ორგანიზაცია „თეთრი ხმაური“ ხომ კატეგორიულად მოითხოვს, ასეთი „დამამცირებელი“ სახელით არ მოვიხსენიოთ ნარკოტიკის რეალიზატორები და მათ რაიმე უფრო ღირსეული შესატყვისი მოვუფიქროთ. ჩემი ვარიანტია **„ნარკომოღვაწე“.**

* შემდეგი პრეტენზია — ქართველები დამცირებულები არიან და რუსებს საკუთარი თავი „მმართველ ერად“ მიაჩნიათ, ქართველებს ისე გვიყურებენ, როგორც მეორეხარისხოვნებს. აი, ეს გამოგონილი სისულელე რატომ სჯეროდათ მაშინ და რატომ გავრცელდა, რატომ ვერ ხედავდნენ ადამიანები რეალობას, რომ **სინამდვილეში ჩვენ „დამპყრობლებსაც“ კი არ მივიჩნევდით „ადამიანებად“ და რუსების ყოფა თბილისსა და სრულიად საქართველოში ყველაზე ღარიბული და ყველაზე მოკრძალებული იყო, ამას ვერ გეტყვით. დღევანდელობას კი თამამად შეგიძლიათ შეადაროთ და „მოძმე ევროპაში“ უმძიმეს სამუშაოებზე ლუკმაპურის საშოვნელად წასულ მილიონობით ქართველს საპირწონედ დაუყენოთ თუნდაც ერთი შემთხვევა, როდესაც იმ „იმპერიაში“ რომელიმე ქართველი ვინმეს მოსამსახურე, მომვლელი და მოჯამაგირე იყო, თუკი გაიხსენებთ ასეთს.** პირიქით კი, რამდენიც გსურთ — ყველა „წარჩინებული“ ქართველის ოჯახში აუცილებლად ნახავდით თითო რუს დუნიას, ვალიას, ტანიას თუ ქსენიას ბავშვის ან მოხუცის მომვლელად ან, უბრალოდ, შინამოსამსახურედ.

* ყველაზე დიდი პრეტენზია — რუსებს ქართველების გადაშენება სურთ. **სიტყვა „გადაშენების“ მნიშვნელობა ვინც იცის, იქნებ კარგად დაითვალოს, დღეს რამდენი ქართველი ცხოვრობს საქართველოში და მაშინ რამდენი ცხოვრობდა.** კი, ხდებოდა ქართველთა გადინება რუსეთში, მაგრამ ძალიან იშვიათად სამუდამოდ იქ დარჩენის მიზნით. ძირითადი ნაწილი მაინც უბრუნდებოდა სამშობლოს, თანაც კაი ნაპატივები, დანაყრებული და, ასე ვთქვათ, „ნაგულავები“. დღეს კი, თუ ვინმე „შემთხვევით“ დაბრუნდა, იმ წამსვე უკანვე გაქცევაზე უჭირავს თვალი.

**მაშ, რას ვზეიმობთ ხოლმე ყოველ 31 მარტს: ჩვენი ქვეყნის დაქცევას, განადგურებას, მოსპობას და მიწასთან გასწორებას? ზუსტად ვიცი, ახლა „პატრიოტულად აღტყინებულთა“ კონტრარგუმენტი — სამაგიეროდ დამოუკიდებლობა ხომ მოვიპოვეთო.**

მინდა, დავსვა უმარტივესი კითხვა: რას ნიშნავს სიტყვა „დამოუკიდებლობა“? ანუ, რა მოვიპოვეთ? ვისზე ვიყავით ადრე „დამოკიდებული“ და ვისგან ვართ ახლა „დამოუკიდებელი“? პასუხიც ელემენტარულია — მაშინ დამოკიდებული ვიყავით მხოლოდ და მხოლოდ რუსეთზე. უფრო ზუსტად, კრემლზე, სადაც ქართველებს, სხვათა შორის, არანაკლები გავლენა ჰქონდათ. არავინ უარყოფს, რომ რუსეთისგან, ისევე, როგორც მეფის დროს, საბჭოთა პერიოდშიც მოდიოდა ქართული ეროვნული ინტერესებისთვის მიუღებელი დირექტივები და ამ დირექტივების განცხორციელების მცდელობებიც იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი შემთხვევების 99 პროცენტს საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელები ხალხის მხარდაჭერით უმკლავდებოდნენ.

დღეს რა ხდება? — **დამოუკიდებელი კი არა, დამოკიდებული ვართ ყველაზე და ყველაფერზე — ევროპაზე, აზიაზე, ამერიკაზე, ნატოზე, გაეროზე, ევროკავშირზე, ბაქოზე, ერევანზე, სტამბოლზე და კიდევ უამრავ რამეზე. ამერიკის ელჩი კი საქართველოს პრეზიდენტზეც და პრემიერმინისტრზეც მაღლა დგას და არა მხოლოდ სახელმწიფო, ბევრ კერძო სტრუქტურაშიც კი დამლაგებელს ვერ დანიშნავ ამერიკის ელჩის თანხმობის გარეშე.**

**ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევს** არასოდეს ღირსებია ისეთი მლიქვნელური დახვედრა, იმდენი ვაზელინი და კუდის ქიცინი, როგორც ქართველები ამერიკის არათუ პრეზიდენტს, არამედ სახელმწიფო მდივნის მეშვიდე მოადგილესაც კი ვხვდებით. დამისახელებთ რომელიმე საბჭოთა ლიდერს, რომლის სახელობის ქუჩაც მის სიცოცხლეშივე დაარსდა თბილისში? შეგიძლიათ მომიყვანოთ უკანალში შეძრომის ასეთი სამარცხვინო მაგალითი საბჭოთა პერიოდიდან?

რამდენიმე დღის წინათ ისიც კი ვიზეიმეთ, ბათუმის პორტში თურქული სამხედრო გემები შემოდიანო. უკვე დაუფარავად საუბარობენ აჭარის ტერიტორიაზე თურქეთის პატრონაჟით ნატოს სამხედრო ობიექტის განთავსებაზე. **არავინ იცის, ამ „სამხედრო ობიექტში“ რა იგულისხმება, გადაიქცევა თუ არა ის ახლო მომავალში დიდ სამხედრო ბაზად და „თურქეთის პატრონაჟი“ რეალურად ნიშნავს თუ არა სწორედ თურქული სამხედრო ბაზის დაარსებას აჭარაში.**

სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბოლო პერიოდში სოციალური ქსელების ქართველ მომხმარებელთა გვერდები გაივსო ვიდეოებით, რომლებზეც ასახულია თურქების, ირანელების, არაბების მოუღებელი საქციელი თბილისის, ბათუმისა და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებში. **მათ მიერ გამოკრული აალაკატები და აფიშები, რომლებზეც ერთი სიტყვაც არ არის ქართული, და ქართველი მომხმარებლები თავის პოსტებში წუწუნებენ: „აი, როგორ იქცევიან თურქები, ირანელები, არაბები საქართველოში, ამას ოდესმე ბოლო მოეღება?“** ყოველივე ეს რომ ჩვენს „მოძმე ევროპას“ უთარგმნო, სოცქსელების ქართველ მომხმარებლებს აუცილებლად ქსენოფობებად შერაცხავს და მერე „ძაანგაევროპელებულ“ ქართველთა ჯგუფებიც იქით დაუწყებენ ბოდიშის მოხდას ევროპას: აი, ასეთი ველურები და გამოუსვლელები ვართ ქართველები, გვაპატიეთ, განვვითარდებით და უსიტყვოდ და უპრეტენზიოდ დავისვამთ თავზე ყველას — თურქსაც, არაბსაც და ირანელსაცო.

საბჭოთა იმპერიის პერიოდში კი თბილისში დედა ენის ძეგლი დადგეს.

დასკვნა ისევ უმარტივესია: კარგი, ჯანდაბას! დავიჯეროთ, რომ საბჭოთა პერიოდში რუსი გვჩაგრავდა, გვავიწროვებდა და ცდილობდა ჩვენს დამორჩილებას. დღეს იმავეს, ერთი კი არა, სულ ცოტა, 5 სახელმწიფო ცდილობს, თანაც გაცილებით უხეშად და გაცილებით წარმატებით. როგორ ფიქრობთ, რომელი სიტუაცია სჯობს?

მაშ, რა მოხდა 1991 წლის 31 მარტს? მოდი, ასე ვთქვათ: **31 მარტს 27 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც „უზარმაზარმა“ ქართველმა პოლიტიკოსმა ზვიად ძიძიგურმა „საშინელი სატანჯველი მოუვლინა“ რუსეთს, კერძოდ, გადაუკეტა რკინიგზა და დატოვა „ბორჯომის“ გარეშე. ამის შემდეგ რუსები „პახმელიაზე“ ვეღარ გამოდიან. დიახ, 27 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩავთვალეთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის საკმარისია „აქტის“ მიღება, ამის ტრიბუნიდან გამოცხადება, მუშტის მაღლა შემართვა, „შავლეგ, შენი შავი ჩოხას“ ღრიალი და „ჯოს! ჯოს! ჯოს!“ ბღავილი.**

ისიც გავიხსენოთ, რომ, მართალია, ეს რეფერენდუმი 31 მარტს ჩატარდა, მაგრამ მისი საბოლოო შედეგი, ანუ ის, რომ საქართველო დამოუკიდებელი და გარეშე ძალის კონტროლის ქვეშ არმყოფი სახელმწიფო იქნებოდა, სწორედ 1 აპრილს გამოგვიცხადეს.

**„საქართველოს ხელისუფლება ინფორმაციულ ვაკუუმშია, არ შეუძლია პრობლემის დანახვა, ეს არ ჩანს კაბინეტებიდან. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ისინი მიზანმიმართულად აფუჭებენ ყველაფერს. მათ გაფუჭებისთვისაც არ ჰყოფნით კომპეტენცია. უვიცობის ბრალია ყველაფერი, ნებისმიერი რიგითი ქართველი უკეთესად გააკეთებს საქმეს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მმართველები“.**

კარდაკარ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნატო რუსეთთან სავაჭროდ გვიყენებს»

**2018 წლის თებერვალში „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა“ და „ჰერთეიჯ ფაუნდეიშენის“ ორგანიზებით თბილისში გაიმართა შეხვედრა, რომლის თემა იყო „ნატოს წევრობა საქართველოსთვის აშშ-ისა და ევროპის ინტერესების კონტექსტში“. მომხსენებლელთა შორის იყვნენ აშშ-ის ელჩი საქართველოში — იან კელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი — მიხეილ ჯანელიძე და ატლანტიკური საბჭოს წარმომადგენელი — ბათუ ქუთელია, მთავარი მომხსენებელი – ლუკ კოფი, „ჰერთეიჯ ფაუნდეიშენის“ მკვლევარი და ნატოში საქართველოს გაერთიანების საინტერესო მოსაზრების ავტორი, რომლის თანახმად, პროცესის დაძვრა შესაძლებელია პოლიტიკური თანხმობის პირობით.**

ლუკ კოფის იდეის კრიტიკოსები ამბობენ, რომ მისი გაზიარება ნიშნავს საქართველოს მიერ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე უარის თქმას. რისკები, რომლებიც ლუკ კოფის ნაშრომის სცენარის განვითარების შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, უწინარესად, რუსული საფრთხეა, თუმცა საქართველოსთვის ეს უკვე ტრადიციული მდგომარეობაა. რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ პირებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ისინი არ დაუშვებენ ნატოს ბაზების განლაგებას თავიანთი ქვეყნის საზღვრებთან.

სანამ საქართველოს ხელისუფლება ნატოს სამიტისთვის ემზადება, რომელიც ივლისში უნდა გაიმართოს, რუსეთი საქართველოს საზღვართან ახლოს — ჩრდილოეთ ოსეთსა და დაღესტანში „უპრეცედენტო მოცულობის“ არმიის შეყვანას იწყებს, საუბარია დამატებით 2 დივიზიაზე, რომლებიც თანამედროვე სამხედრო ტექნიკით იქნება აღჭურვილი, აგრეთვე, იგეგმება სამხედრო ქალაქების აშენება და ეს ყველაფერი მზად 2018 წლის ბოლოს იქნება.

ინფორმაცია რუსულ მედიაში ვრცელდება, სადაც აღნიშნულია, რომ ამ ძალების დანიშნულება „რეგიონში ნატოს მხრიდან საფრთხეების შეკავება იქნება“. ასეთ ვითარებაში ქვეყანაში კვლავ დგება საკითხი — გვინდა თუ არა ნატო.

**ამ საკითხზე გვესაუბრებიან ვარშავაში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდა რევაზ კილასონია, რომელიც საერთაშიროსო ურთიერთობების სპეციალობას ეუფლება, და ექსპერტი სამხედრო საკითხებში ვახტანგ მაისაია.**



**„ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საქართველოს, საერთოდ, სჭირდება ნატოში შესვლა?“**

**რევაზ კილასონია, ვარშავაში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდა:**

— 27 წელიწადია, ნატოზე მხოლოდ „ვოცნებობთ“, იმიტომ, რომ არანაირი რეალური საფუძველი ნატოს წევრობისა არ არსებობს.

სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ — ნატოში გაერთიანება პოლიტიკური ნების საკითხია. თავის დროზე, არც თურქეთში ყვაოდა დემოკრატია და არც ბალტიის ქვეყნები გამოირჩეოდნენ შეიარაღებული ძალების „განსაკუთრებული მონაცემებით“, მაგრამ იყო პოლიტიკური ნება და მიიღეს კიდეც ეს ქვეყნები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. **საქართველომ თითქმის ყველა ვალდებულება, რომლებსაც ნატოსთან ურთიერთობა ითვალისწინებდა, შეასრულა, თანაც გადაჭარბებით, იქნება ეს შეიარაღებული ძალების მოდერნიზება, აღჭურვა, გადამზადება თუ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა, როგორც კოსოვოსა და ერაყში, ისე ავღანეთში. მაგრამ მაინც ვერ „მოვიგეთ“ ნატოელი პარტნიორების გული, ვერაფრით „მოვერგეთ“ მათ ე.წ სტანდარტებს.** პირიქით — ნატოს წევრი წამყვანი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა რამდენჯერმე გარკვევით განაცხადეს, რომ საქართველოს ადგილი ნატოში არ არის.

**— მიმდინარე წლის ივლისში დაგეგმილ ნატოს სამიტზე, შესაძლოა, განიხილონ საქართველოს ნატოში გაერთიანების საკითხი, ოღონდ მე-5 მუხლის ამოქმედების გარეშე...**

— რაც შეეხება ნატოში გაწევრებას მე-5 მუხლის ამოქმედების გარეშე, ვფიქრობ, უბრალოდ, ტესტი იყო ჩვენი პარტნიორების მხრიდან. მათ ეს თემა, ასე ვთქვათ, შემოაგდეს, თან არაოფიციალური პირების მიერ. უნდოდათ, გაეგოთ, რა რეაქცია ექნებოდა მოსახლეობას. მოსახლეობის რეაქცია კი მკაფიოდ ნეგატიური იყო. შემოგდებული პარადიგმით, **საქართველოს, ფაქტობრივად, უნდა ეღიარებინა, როგორც აფხაზეთის, ისე სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, რასაც საქართველო არასდროს გააკეთებს. თუ რატომ ვახსენე მოსახლეობა და არა მთავრობა, ამას მარტივი ახსნა აქვს — მთავრობა დღეს დამოუკიდებელ ნაბიჯებს ვერ დგამს,** ხელისუფლების წევრები, უბრალოდ, დასავლეთის მიერ დაქირავებული კლერკები არიან, რა სამწუხაროც უნდა იყოს ამაზე საუბარი.

**— ამ ინიციატივით, რომელიც „შემოგვიგდეს“, რუსეთი გაღიზიანდა და კავკასიაში სამხედრო ძალა გააძლიერა...**

— რუსეთი ნატოს სიახლოვის გამო არ არის კავკასიაში, ის, 300 წელია, უკვე კავკასიაშია. მისთვის კავკასია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც გეოგრაფიულად, ისე პოლიტიკურად და ეკონომიკურად. შესაბამისად, მოწინააღმდეგის ყველანაირი სამხედრო მანევრი (დიახ, ნატოს რუსეთი მოწინააღმდეგედ აღიქვამს, ისევე, როგორც ნატო — რუსეთს) რუსეთის საზღვრებთან რუსეთის მხრიდან რეაგირების გარეშე არ დარჩება.

**— საერთოდ, გვჭირდება კი ნატო?**

— რაც შეეხება ამ კითხვას, უნდა შევთანმხდეთ, რომ **ნატოს წევრობა პანაცეა არ არის ტერიტორიული თუ სხვა პრობლემის მოსაგვარებლად.** ამის მაგალითია ნატოს ორ წევრ ქვეყანას — საბერძნეთსა და თურქეთს — შორის ტერიტორიული დავა კვიპროსზე. ნატომ ეს კონფლიქტი ვერ მოაგვარა და დღეს ეს კონფლიქტი, ასე ვთქვათ, გაყინულია. დაგვიცავს თუ არა ნატო მისი წევრობის შემთხვევაში? — ესეც პოლიტიკური ნების საკითხია. გააჩნია, „დაცვაში“ რის გადახდას მოითხოვს, როგორც ჩვენგან, ისე ჩვენი პოტენციური მოწინააღმდეგისგან, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ამ ეტაპზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლა არარეალურია.

მეორე საკითხია, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საქართველოს, საერთოდ, სჭირდება თუ არა ნატოში შესვლა. სტრატეგიულ მიზნებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვგულისხმობ. ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები. დასამალი არ არის, რომ დღეს **ნატო რუსეთთან სავაჭროდ გვიყენებს. ასე ვთქვათ, ჩვენს ხარჯზე ცდილობს გარკვეული გეოპოლიტიკური უპირატესობის მოპოვებას რეგიონში.** რაც შეეხება რუსეთს, შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს კითხვა — არის რუსეთის ქმედებები იმპერიალისტური? — დიახ, არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც რუსეთის და ვერც სხვა რომელიმე ქვეყნის გეოპოლიტიკურ თუ გეოსტრატეგიულ ინტერესებს ვერ შევცვლით. უნდა ვეცადოთ, ორი ტიტანის შერკინებისას მათ შუაში არ აღმოვჩნდეთ და არ გავიჭყლიტოთ. სამწუხაროდ, ე.წ პოლიტელიტის ქმედებები იმედის საბაბს არ გვაძლევს.

## «მთავრობა დღეს დამოუკიდებელ ნაბიჯებს ვერ დგამს, ხელისუფლების წევრები, უბრალოდ, დასავლეთის მიერ დაქირავებული კლერკები არიან»



**„კვირიკაშვილი ქვეყნის ფორმალური პრემიერია, შესაბამისად, მისი ნებისმიერი სიტყვაც ფორმალურია. ასე რომ, ჩვენ უსაფრთხოების ჩიხში ვართ“**

**ვახტანგ მაისაია, სამხედრო საკითხების ექსპერტი:**

— საქართველო ბრძოლისუუნაროა, ამიტომ ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით ეძებს თავდაცვის წყაროს. ბევრჯერ ვიხილეთ რუსეთთან ჩვენი დამარცხება; ვიცით ისიც, რომ რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებაზე არ მოდის. მართალია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაძაბვა ვიღაცის ბრალია, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მტყუან-მართალის გარჩევის დრო არ არის.

ისიც აღსანიშნავია, რომ, **როდესაც ქვეყნის პრემიერი მიმართვას ავრცელებს და მეზობელი ქვეყნის ხელისუფლებას დიალოგს სთხოვს, თბილისის მერიის თანამშრომელმა რუსეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე არ უნდა იქილიკოს. ყველა სამსახური უნდა აკონტროლებდეს, რომ ქეთი ლაგვილავასნაირი, მაპატიეთ და, პირუტყვები, მძორი სუბიექტები თანამშრომლებად არ დასვან. ეს ქვეყნის იმიჯზეც ცუდად აისახება და ორმხრივ ურთიერთობებზეც.**

**— მას შემდეგ, რაც რუსეთმა განაცხადა, რომ კავკასიაში აძლიერებს თავდაცვის იარაღსა და ჯარებს, სწორია საქართველოს ხელისუფლებისა და განსაკუთრებით თავდაცვის მინისტრის საუბარი იმაზე, რომ ნატოსთან უფრო და უფრო ახლოს მივდივართ?**

— მოგეხსენებათ, რომ ნატოსთან ჩვენს ქვეყანას ვალდებულებები აქვს, ჩვენ სხვადასხვა მისიაში ვმონაწილეობთ... საქართველო დგას საფრთხის წინაშე, **ქვეყნის ხელისუფლება თვლის, რომ ნატოს ქოლგის ქვეშ საფრთხე არ გვემუქრება, მაგრამ ფაქტია, ალიანსში არ გვიღებენ.**

კვირიკაშვილი ქვეყნის ფორმალური პრემიერია. შესაბამისად, მისი ნებისმიერი სიტყვაც ფორმალურია. ასე რომ, ჩვენ უსაფრთხოების ჩიხში ვართ. ღმერთმა დაგვიფაროს და, **თუ ჩვენი ქვეყანა კვლავ ომის საფრთხის წინაშე დადგება, ის, რაც 2008 წელს მოხდა, აღარ განმეორდება, რუსეთს ვერავინ შეაჩერებს. ვგულისხმობ, საფრანგეთის პრეზიდენტის შუამავლობას.**

მიუხედავად იმისა, რომ ნატოსთან ინტეგრაციის მომხრე ვარ, საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას. აზერბაიჯანში სამხედრო წვრთნები რომ გაიმართა, რუსი სამხედრო ოფიცრები მიიწვიეს, რაც აზერბაიჯანს მანამდე არ უქნია. ასე რომ, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა რუსეთთან დაპირისპირება თავიდან აიცილოს. დაპირისპირების თავიდან აცილება ყველა ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია. არ ვამბობ, რომ რუსეთი ომს აპირებს, მაგრამ მას ამის გაკეთება, ნებისმიერ მომენტში შეუძლია.

კიდევ გავიმეორებ: ჩვენ უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ ჩიხში ვართ, რაც ნიშნავს ქვეყნის პოლიტიკური მართვის ისეთი მდგომარეობას, რომლის შედეგად ნებისმიერი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებით ხელისუფლება კიდევ უფრო ზრდის საფრთხის მასშტაბებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაშია, პირადად მე გამოსავალს ვერ ვხედავ. საქართველოს ხელისუფლება ინფორმაციულ ვაკუუმშია, არ შეუძლია პრობლემის დანახვა, ეს არ ჩანს კაბინეტებიდან. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ისინი მიზანმიმართულად აფუჭებენ ყველაფერს, მათ გაფუჭებისთვისაც არ ჰყოფნით კომპეტენცია. უვიცობის ბრალია ყველაფერი, ნებისმიერი რიგითი ქართველი უკეთესად გააკეთებს საქმეს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მმართველები.

## «როდესაც ქვეყნის პრემიერი მიმართვას ავრცელებს და მეზობელი ქვეყნის ხელისუფლებას დიალოგს სთხოვს, თბილისის მერიის თანამშრომელმა რუსეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე არ უნდა იქილიკოს. ყველა სამსახური უნდა აკონტროლებდეს, რომ ქეთი ლაგვილავასნაირი, მაპატიეთ და, პირუტყვები, მძორი სუბიექტები თანამშრომლებად არ დასვან. ეს ქვეყნის იმიჯზეც ცუდად აისახება და ორმხრივ ურთიერთობებზეც»

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პარტიას თუ კოალიაციას დაარქვეს „ქართული ოცნება“ და რა არის ქართული? ის, რომ დასავლეთის კარნახით, ქართველი საზოგადოების უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს? ის, რომ 24 საათის განმავლობაში გარყვნილების პროპაგანდა მიდის და მამათმავლობა ნორმად ცხადდება? ის, რომ ერთი სული აქვთ, ნარკოპოლიტიკა შეარბილონ და ნარკომანია წაახალისონ?**



## მამა გიორგი (რაზმაძე):

# რანაირად არის, ბატონო პრემიერო, ეროვნული ინტერესების დამცველი ის ხელისუფლება, რომელიც ანტიეროვნული ძალებითაა დაკომპლექტებული

**31 მარტს საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ქართული ოცნების“ მცხეთის საოლქო ორგანიზაციის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ხელისუფლების პოლიტიკას წარმატებული უწოდა და აღნიშნა: „როგორც ხედავთ, ჩვენ ვასრულებთ დაპირებებს, ხშირ შემთხვევებში დაპირებებზე მეტიც გაკეთდა, მაგრამ ამავე დროს ვიცით, რომ ეს არ არის საკმარისი, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა“...**



## გიორგი კვირიკაშვილი:

**როგორც ხედავთ, ჩვენ ვასრულებთ დაპირებებს, ხშირ შემთხვევებში დაპირებებზე მეტიც გაკეთდა, მაგრამ ამავე დროს ვიცით, რომ ეს არ არის საკმარისი, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა...**

**პრემიერის შეფასებით, დღეს თითოეულ მოქალაქეს მიაჩნია, რომ არსებული ხელისუფლება ყველაზე მეტად გამოხატავს ეროვნულ ინტერესებს. მეტიც, მისი თქმით, „ოცნების“ პოლიტიკის პრიორიტეტი ყოველთვის იყო და იქნება აღნიშნული მიმართულება...**

**შეგახსენებთ, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბების პირველივე დღიდან საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი პოლიტიკური სუბიექტებით დაკომპლექტდა. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ კი მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ყველაზე მოწინავე პოზიციებზე სწორედ ეროვნულ იდეოლოგიასთან შეუთავსებელი პარტიები, ასევე უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების კადრები და მათ შორის „ოცნებასთან“ კოაბიტაციაში მყოფი „ყოფილი“ ნაციონალები დააყენა. ამის შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკა, ფაქტობრივად, საზოგადოების ნების უგულებელყოფის გამოკვეთილ ინსტრუმენტად იქცა, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მისივე ინტერესების საწინააღმდეგო ძალად ჩამოყალიბდა...**

**„ქართულმა ოცნებამ“, სულ რაღაც, 4 წელიწადი მოანდომა დასავლეთიდან ნაკარნახევ ისეთ მიუღებელ საკანონმდებლო ცვლილებებს, როგორიცაა ანტიდისკრიმინაციული კანონი, კანონი მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის თაობაზე, მარიხუანის, ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დეკრიმინალიზაციას, ნარკოპოლიტიკის შემსუბუქებასა და ა.შ. თუმცა, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ნაწილია იმ საკანონმდებლო ვალდებულებებისა, რომლებიც ივანიშვილის ხელისუფლებამ ევროპაში შესვლისა და „ისტორიულ არჩევანთან“ ზიარების დაპირების სანაცვლოდ აიღო.**

**გამოხატავს დღეს ხელისუფლება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და აქვს ან შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას ამის რწმენა? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, თქვენი აზრით, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს გამოხატავს?**

— რომელ ეროვნულობაზეა ლაპარაკი... ერთი ადამიანი დამისახელოს ვინმემ, მაღალ თანამდებობის პირს ვგულისხმობ, რომელიც ეროვნულ პოლიტიკას ატარებს. სირცხვილია, უბრალოდ, ამის თქმა. ამათი ეროვნულობა მხოლოდ ერთ რამეში გამოიხატება: უსიტყვოდ, უყოყმანოდ ასრულებენ ცისფერი კომისრების ბრძანებებს. ამას თუ დავარქმევთ ეროვნულობას, ამ მხრივ, მართლაც ყველაფერი კეთდება პირნათლად და ზედმიწევნით...

**— რამდენიმე დღის წინათ პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველაზე მეტად სწორედ ეროვნულ ინტერესებს გამოხატავს. როგორ ფიქრობთ, ხალხს ეს სჯერა?**

— ვისაც შეუძლია, საღად შეხედოს მოვლენებს, ძალიან კარგად ხედავს და ხვდება, რა მოღალატეობრივ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე, უკვე წლებია.

რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, ძალიან საინტერესოა, რას ეძახის ეს ადამიანი ეროვნული ინტერესების დაცვას.

დავიწყოთ თავიდან: იყო დაპირება სამართლიანობის აღდგენის, რაც გულისხმობდა იმას, რომ დანაშაულებრივი რეჟიმი უნდა გასამართლებულიყო. შესრულდა? ადამიანები, რომლებიც იყვნენ მაშინდელი ხელისუფლების სათავეში და ქმნიდნენ რეპრესიულ სისტემას — აწამებდნენ, კლავდნენ, ართმევდნენ ქონებას — გასამართლდნენ? კაცს ჯერ მილიონობით ლარის გაფლანგვაზე დაუწყეს დავა, მერე გვეუბნებიან, რომ თურმე მისი ეს სასჯელი თუ ბრალდება უკვე „შთანთქმულია“. მაშინ, როცა რიგითმა მოქალაქემ ასი ლარი რომ მოიპაროს, მთელი ცხოვრება ციხეში მოუწევს ჯდომა.

ეს ერთი.

ახლა სხვა დაპირებები:

გაკეთდა ასეთი განცხადება, რომ მესამე წელი იქნებოდა კარგი და შემდეგი წლები — რაღაც ეკონომიკური საოცრება. ვინმემ რამე სიკეთე იგრძნო? ნებისმიერი მოქალაქე რომ გააჩეროთ ქუჩაში და ჰკითხოთ, გეტყვის, რომ კარგად ცხოვრობს? თუ ასე ძალიან გაინტერესებთ, წარმატებულია თუ არა თქვენი პოლიტიკა, გადით ხალხში და შეეკითხეთ უბრალო ადამიანებს, თუმცა ეკონომიკა ერთი მხარეა და კიდევ არის სხვა მომენტები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია. კონკრეტულად რას ვგულისხმობ: პარტიას თუ კოალიაციას დაარქვეს „ქართული ოცნება“ და რა არის ქართული? ის, რომ დასავლეთის კარნახით, ქართველი საზოგადოების უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს? ის, რომ 24 საათის განმავლობაში გარყვნილების პროპაგანდა მიდის და მამათმავლობა ნორმად ცხადდება? ის, რომ ერთი სული აქვთ, ნარკოპოლიტიკა შეარბილონ და ნარკომანია წაახალისონ? ის, რომ ყველაფერ ეროვნულს, ტრადიციულს დასცინიან, აქილიკებენ და ცდილობენ, გაამარგინალონ ყველა, ვინც კი მის დაცვას შეეცდება? ის, რომ ტრადიციულობა სიბნელედ ცხადდება? რანაირად არის, ბატონო პრემიერო, ეროვნული ინტერესების დამცველი ის ხელისუფლება, რომელიც თითქმის თავიდან ბოლომდე დაკომპლექტებულია ანტიეროვნული ძალებით?! ვინ — რესპუბლიკელები იცავდნენ ეროვნულ ინტერესებს თუ არასამთავრობოები, სოკოებივით რომ აღმოცენდნენ მაშინვე კოალიციაში?

**— სხვათა შორის, დაპირებები ახსენეთ და კვირიკაშვილმა იმავე გამოსვლაში ამ თემაზეც ვრცლად ისაუბრა. თქვა, რომ ხელისუფლება ზოგჯერ იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე ხალხს დაჰპირდა...**

— ჩვეულებრივი ცინიზმია. ესენი უკვე ისე გალაღდნენ თავიანთი დასავლელი მამამარჩენლების მხარდაჭერით, რომ დაუფარავად დასცინიან საზოგადოებას. სხვა რა დასკვნა შეიძლება გამოიტანო?! დაქცეული, გაუბედურებული, გალატაკებული ქვეყნის პრემიერი აცხადებს, რომ ხელისუფლება იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე ხალხს დაჰპირდა? — ეს იმ დროს, როცა ქვეყანა მოსახლეობისგან იცლება. თუნდაც თურქეთის საზღვართან მიდით, რიგი დგას ჩვენი მოქალაქეების, რომლებიც სამათხოვროდ გარბიან. ამის მაინც არ რცხვენიათ?!

რაც შეეხება „დაპირებების გადაჭარბებით შესრულებას“, გადაჭარბებით ესენი იცავენ ლგბტ-ების უფლებებს, რითაც ნამდვილად იწვევენ ცისფერი კომისრების აღფრთოვანებას. ყველა ვხედავთ, რომ ხალხი სიღატაკეში იხრჩობა. იძახეს „ევროკავშირი“, „ნატო“ — ვერც ერთს მიაღწიეს. რა მივიღეთ? დამოუკიდებლები არც ადრე ვიყავით და არც დღეს ვართ...

**— თუმცა დღეს უდიდეს მონაპოვრადაა მიჩნეული ის ფორმალური დამოუკიდებლობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიიღო საქართველომ.**

— მაშინ ყველა ვიყავით ეროვნულ მოძრაობაში და ყველას რაღაც გვჯეროდა, მაგრამ მე ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: თუ ჩვენ ამისთვის ვიბრძოდით და ვილვწოდით, მაშინ ეს ყოფილა ქართველების უდიდესი შეცდომა. რატომ? იმიტომ, რომ დღეს დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნისთვის, სამწუხაროდ, ნიშნავს ევროპულ ტრადიციებს, რომლებიც თავის თავში გულისხმობს მამათმავლობის, დედათმავლობის, ტრანსგენდერების და სხვა კიდევ ათასგვარი გარყვნილების დაკანონებას. ალბათ, ამას გულისხმობდა პრემიერიც თავის განცხადებაში, როცა თქვა, რომ თურმე ხელისუფლება ყველაზე მეტად გამოხატავს ეროვნულ ინტერესებს. როგორც ჩანს, მათთვის ეროვნულია სწორედ ის გარყვნილება, რომელსაც დასავლეთი გვთავაზობს, თავს გვახვევს და გვიკანონებს. ვფიქრობ, ამას არაფერი აქვს საერთო დამოუკიდებლობასთან, ეს არის ეშმაკის მონობა...

**— თქვით, რომ დასავლეთის მხარდაჭერით გულმოცემული ხელისუფლება საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრის და დასცინის. ნორმალურ საზოგადოებაში ამას შესაბამისი რეაქცია მოჰყვებოდა, სულ ცოტა, ხელისუფლებას ექნებოდა განცდა, რომ მსგავსი აბსურდული განცხადებები მის ავტორიტეტსა და ნდობას სერიოზულად შეარყევდა. თქვენი აზრით, ჩვენი საზოგადოება რატომ არის დღეს ასეთი უმოქმედო?**

— ამ ხელისუფლებამ წაართვა საზოგადოებას ყველანაირი იმედი და განცდა იმის, რომ რამე უკეთესობისკენ შეიცვლება, ამიტომაც არის დღეს ასეთი განწყობა. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ხელისუფლებისთვისაა ხელსაყრელი.

რაც შეეხება ეროვნული ინტერესების გამოხატვას, ჩემთვის ნაწილობრივ გასაგებია, რა შეგნებითა და რიტორიკით კეთდება მსგავსი განცხადებები. „ლიბერალებს“ რომ ჰკითხო, ჩვენი ისტორიული ფესვები ევროპაშია, ჭეშმარიტი კი ევროპული ფასეულობებია. ის კი არა, **ვაჟა ფშაველაც** და **ილია ჭავჭავაძეც** თურმე ლიბერალები ყოფილან, ანუ ეს არის იდეოლოგიური ბრძოლის, პროპაგანდის ერთგვარი სტრატეგია, რომ საზოგადოებაზე და განსაკუთრებით ახალგაზრდებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ. აი, ამის შემდეგ კი უკვე შენ, ვინც არ მიიღებ ამ „ლიბერალურ“ ამორალურობას, გეტყვიან, რომ ეროვნულ ფასეულობებს უარყოფ, იმ ფასეულობებს, რომლებსაც თურმე ილია და ვაჟა იცავდნენ; ანუ ისინი კი არ ებრძვიან ქვეყნის ისტორიულ ფესვებს, არამედ შენ და ამიტომ შენ ხარ ბნელი, ანტიეროვნული, საშიში ძალა, რომელიც უნდა განადგურდეს.

**— სამწუხაროდ, პროპაგანდის საშუალებებიც მათ ხელშია, სატელევიზიო მედია, ფაქტობრივად, ამ საქმის მედროშეა. თქვენი აზრით, რა გზა არსებობს იმისთვის, რომ ამა თუ იმ პოლიტიკურმა ძალამ (დღესდღეობით ეს ძალა „ქართული ოცნებაა“) საზოგადოებას შავი თეთრად არ მოაჩვენოს და ეროვნული იდენტობისთვის საშიში იდეოლოგია ეროვნულ ფასეულობად არ წარმოაჩინოს?**

— მთავარი უბედურება და უიმედობის უპირველესი მიზეზი დღეს, ჩემი აზრით, არის ის, რომ ძალა არ ჩანს, ნორმალური ძალა. პოლიტიკური პარტიები იმისთვის იბრძვიან და რიგში იმისთვის დგანან, რომ სალაფავი, რომელიც დარჩება ხელისუფლებას, თვითონ თქვლიფონ; ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობა კი მათთვის მეათეხარისხოვანია. აი, სანამ ეს არ შეიცვლება და საზოგადოება არ შეიგნებს, რომ არ შეიძლება მიეყიდო უნამუსო ადამიანებს, ძალაუფლება ყოველთვის ასეთი პარტიებისა და კოალიციების ხელში დარჩება; სახელმწიფო ყოველთვის იქნება მათი საჯიჯგნი და სათარეშო ასპარეზი, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააღრმავებს და გაამძაფრებს საზოგადოების ნიჰილიზმს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ოპერატიულ განყოფილებებში მიტროპოლიტ გაიოზზე მასალები უკვე არსებობდა, რადგან შემჩნეული იყო ძველი ხატებითა და საეკლესიო წიგნებით ვაჭრობაში. ამ კაცმა, რომელიც თავდაპირველად ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ იძულებული იყო, ღამე ეკლესიაში გაეთია ხოლმე, მოკლე ხანში თბილისში, ხილიანზე იყიდა სახლი, რომელშიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 65 ათას მანეთზე მეტი გადაიხადა“.**

ახალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საპატრიარქო კარის თამაშები

**განვაგრძობთ საუბარს გენერალ-მაიორ ვახტანგ გვარამიასთან. ის ამჯერად წილკნელი მიტროპოლიტის — გაიოზის (ბიძინა კერატიშვილის) კრიმინალურ საქმიანობაზე გვესაუბრება. თემა ამჟამადაც ძალიან აქტუალურია. 1970-იანი წლების ბოლოს პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ ისევე იბრძოდნენ, როგორც დღეს. ჩანს, პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ახალი ამბავი არ არის, არც ის არის ახალი, რომ ზოგიერთი მიტროპოლიტი სახელს უტეხს ეკლესიას.**

## როგორ ებრძოდა საქართველოს პატრიარქს მიტროპოლიტი გაიოზი და როგორ ცდილობდა ოქროს ჯვრისა და ზურმუხტების გაყიდვას

— 1977 წლის 9 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, **დავით V-ის (დევდარიანი)** გარდაცვალების შემდეგ წმინდა სინოდმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას (შიოლაშვილი) არჩევას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ.

1977 წლის 23 დეკემბერს გამართულმა საეკლესიო კრებამ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურად აირჩია ილია მეორე, 26 დეკემბერს კი მისი ინტრონიზაცია სვეტიცხოვლის ტაძარში გაიმართა. ამ პერიოდის განმავლობაში **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მომავალი მეთაურის წინააღმდეგ დაუფარავად და განსაკუთრებული აქტივობით იბრძოდა წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (ბიძინა კერატიშვილი), რამდენიმე თანამზრახველთან ერთად. ილია მეორის არჩევით კერატიშვილი გავლენას კარგავდა, ამიტომაც იბრძოდა.**

ილია მეორის აღსაყდრების შემდეგ მისი რეზიდენცია, რომელიც სიონის ეკლესიის გვერდით იყო, დაიწვა. კათოლიკოს-პატრიარქი, მიუხედავად იმისა, რომელი წყობილება იყო, სულიერ მამად მიგვაჩნდა. როგორც კი ეს ფაქტი შეგვატყობინეს, შემთხვევის ადგილზე წავიყვანე გამომძიებელთა ჯგუფი. იმხანად თბილისის შს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე ვმუშაობდი. ჩემთან ერთად იყვნენ სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი **ნოდარ წკრიალაშვილი**, არაჩვეულებრივი პიროვნება და საქმის ბრწყინვალე მცოდნე.

დავათვალიერეთ შემთხვევის ადგილი, ჩატარდა ექსპერტიზა და მივედით დასკვნამდე, რომ ხანძარი იყო არა უბედური შემთხვევა, არამედ წინასწარ განზრახული და ორგანიზებული დანაშაული.

დაიწყო გამოძიება. დაისვა კითხვები — ვის შეიძლებოდა ჩაედინა ეს ბოროტება? ვის აძლევდა ხელს? ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული? იმთავითვე ცხადი იყო, რომ საპატრიარქოს საქმეებში უცხო ადამიანი არ იქნებოდა გარეული. დადგინდა იმ ადამიანების წრე, რომლებზეც შეგვეძლო ეჭვი მიგვეტანა. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ **პატრიარქს აღსაყდრების პერიოდში ობსტრუქცია მოუწყო სასულიერო პირების გარკვეულმა ჯგუფმა. მათ შორის იყო მიტროპოლიტი გაიოზი.** სხვებიც მოყვნენ ჩვენი მხედველობის არეში და დაიწყო ამ პირების შესწავლა. ჩვენი თხოვნით, გამოძიებაში ჩაერთო ოპერატიული სამსახური და დაინტერესდა, უპირველეს ყოვლისა, წმინდა სინოდის წევრებით, რომლებიც აღსაყდრების კენჭისყრაში მონაწილეობდნენ და ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ილია შიოლაშვილისთვის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი გამხდარიყო.

მათგან **წამყვანი ფიგურა იყო მიტროპოლიტი გაიოზი. ოპერატიულ განყოფილებებში მასზე მასალები უკვე არსებობდა, რადგან შემჩნეული იყო ძველი ხატებითა და საეკლესიო წიგნებით ვაჭრობაში. ამ კაცმა, რომელიც თავდაპირველად ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ იძულებული იყო, ღამე ეკლესიაში გაეთია ხოლმე, მოკლე ხანში თბილისში, ხილიანზე იყიდა სახლი, რომელშიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 65 ათას მანეთზე მეტი გადაიხადა.** დავადგინეთ, რომ კერატიშვილს სურდა კათოლიკოსობა, მაგრამ იცოდა, რომ მას არ აირჩევდნენ და ამიტომ პატრიარქობის კანდიდატად წამოაყენა ერთ-ერთი სამოქალაქო პირი. საეკლესიო კანონებით გათვალისწინებული გარკვეული პროცედურებისა და რიტუალის დაცვის შემდეგ იგი შეიძლებოდა კათოლიკოსად აერჩიათ. ეს კაცი განათლებულიც იყო და საეკლესიო ცხოვრებაში კარგად გარკვეულიც, მაგრამ სუსტი ადამიანი გახლდათ. კერატიშვილის ჩანაფიქრით, მას მალე მოიცილებდა თავიდან და თვითონ დაჯდებოდა საქართველის პატრიარქის ტახტზე.

**— ვის ეკუთვნოდა იმხანად ეკლესიის ქონება?**

— ეკლესიის ქონება საკუთრების რომელ ფორმას ეკუთვნოდა იმ დროს, სადავო იყო, მაგრამ ის გარემოება, რომ გატაცებისა და გაყიდვის საგანი, უმეტეს შემთხვევაში, ქართული ეკლესიისთვის ისტორიულ და კულტურულ ფასეულობას წარმოადგენდა, გვაძლევდა უფლებას, ეს ნივთები საერთო-სახალხო (ეროვნულ), ანუ საზოგადოებრივ საკუთრებად მიგვეჩნია. სახელმწიფო ან საზოგადოების საკუთრების გატაცება კი უმკაცრესად ისჯებოდა. ასეთი დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ ოპერატიულ სამსახურს ხელმძღვანელობდა ჩემი მეგობარი ნოდარ წკრიალაშვილი.


მიტროპოლიტი გაიოზი

**ერთ დღეს ჩემთან მოვიდნენ ნოდარ წკრიალაშვილი და ოპერმუშაკი სტეპანოვი, მათ ქაღალდში შეხვეული რაღაც დადეს მაგიდაზე. გაშალეს. აღმოჩნდა ოქროს ჯვარი, რომელიც დაახლოებით 35 სანტიმეტრი სიგრძის იქნებოდა. მითხრეს, ამ ჯვარს კეტარიშვილი ყიდის, უნდა, რაც შეიძლება მალე შექმლოს მისი რეალიზაცია და მყიდველის მოსაძებნად ჩვენს კაცს მისცა, მან კი ჩვენ მოგვიტანაო.** მკითხეს, შეიძლება თუ არა ამაზე რეალიზატორის დაჭერაო. ვუპასუხე, ამ ჯვრის გაყიდვა იგივეა, რაც ჩვეულებრივი ოქროს საათის ან ოქროს ბეჭდის, ამის გამო კი ვერავის დააპატიმრებ-მეთქი.

იმ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლი ითვალისწინებდა უმძიმეს სასჯელს სავალუტო ოპერაციების დარღვევისთვის. უცნაური და, ამასთანავე, საინტერესო იყო ამ მუხლის განმარტება. კერძოდ, თუ პირი გაყიდდა ძვირფასთვლიან ბეჭედს, ეს დანაშაულად არ ითვლებოდა, მაგრამ, თუ ამოიღებდა ძვირფას თვალს ამ ბეჭდიდან და ცალკე გაყიდდა, ჩაითვლებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლით დასასჯელ სუბიექტად. ეს მუხლი კი ითვალისწინებდა 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სიკვდილით დასჯასაც კი. ეს ყველაფერი ჩემს კაბინეტში შემოსულ თანამშრომლებს ავუხსენი. აქვე ვიტყვი, რომ ასეთი რჩევების მისაღებად ჩემთან კოლეგები ხშირად მოსულან და მეც მათი დაკვალიანება არ დამზარებია.

მეორე დღეს წკრიალაშვილი და სტეპანოვი ისევ მოვიდნენ და მითხრეს, რომ კერატიშვილს შინ აქვს ტიხვინის ღვთისმშობლის უნიკალური ხატი, რომელიც უკანონოდ მიისაკუთრა, არ მინდა ვთქვა, მოიპარა, კათოლოკოს-პატრიარქ **დევდარიანისგან**, რომელიც უპატიოსნესი ადამიანი იყო. კერატიშვილმა ისარგებლა მისი ნდობით, მასთან სიახლოვით და ხატი მიისაკუთრა. ხატი მოოჭვილი იყო ზურმუხტის ქვებით. კერატიშვილს უთქვამს, ფული ძალიან მჭირდება, რადგან ხილიანზე ბინა ვიყიდე და ვალი მაქვს გასასტუმრებელიო. კოლეგებმა მკითხეს: „ზურმუხტი ძვირფას ქვად წავა?“ ვუპასუხე: რა თქმა უნდა, წავა.

ოპერმუშაკმა მითხრა, რომ კერატიშვილს ჩვენი აგენტის თანდასწრებით ხატიდან დანით სამი თვალი ამოუჩიჩქნია და გასაყიდად რკინის პატარა კოლოფში მოუთავსებია. აგენტს დაუპირებია გამორთმევა, მაგრამ კერატიშვილს უთქვამს: ვერ გენდობი, მე თვითონ წავიღებ გასაყიდადო.

პლეხანოვის გამზირზე, ყოფილ კინოთეატრ „ოქტომბერთან“ იყო ოქროს ჯართის შემსყიდველი პუნქტი. ეს კანონით იყო დაშვებული. თუ, მაგალითად, ოქროს საათს მიიტანდი ან ბეჭედს, იყიდიდნენ, მაგრამ, თუ გადააღნობდი, პასუხისმგებლობას ვერ აიცილებდი. დავგეგმეთ, რომ ჩვენს აგენტს კერატიშვილი იმ შემსყიდველ პუნქტში უნდა მიეყვანა. ასეთ პუნქტებში მომუშავე პირები ჩვენთან იყვნენ დაკავშირებული ან უშიშროებასთან, ან — ორივესთან ერთად.

დღევანდელ კანონმდებლობაში შემოღებულია საპროცესო გარიგების ცნება. დანაშაულს თუ აღიარებ და გამოძიებასთან ითანამშრომლებ, პასუხისმგებლობისგან თავისუფლდები. იმ პერიოდში ასე არ იყო. მე თუ დანაშაულის მონაწილე ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებდი და ვითანამშრომლებდი გამოძიებასთან, პასუხისმგებლობა მაინც მეკისრებოდა. დამუშავდა ამ ოპერაციის განხორციელების ზუსტი სცენარი, ვის რა უნდა ეთქვა და როგორ მოქცეულიყო. გათვალისწინებული იყო ოპერაციის მონაწილე აგენტების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაც.

მოკლედ, წაიყვანეს კერატიშვილი ძვირფასეულობის შემსყიდველ პუნქტში. ჩვენ ვსხედვართ და ველოდებით. დაახლოებით ერთ საათში მირეკავს წკრიალაშვილი, რომ ობიექტი დააკავს. მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა კომიტეტის წარმომადგენელი გავიყოლეთ და სასწრაფოდ მივედით დაკავების ადგილზე. გავეცი განკარგულება, იქ მოეყვანათ საპატრიარქოს წარმომადგენელიც, რადგან დაკავებული იყო საეკლესიო იერარქიის მეორე პირი. ისიც მოიყვანეს.

**— საეკლესიო პირის დაკავებამ ხმაური არ გამოიწვია?**

— პლეხანოვზე გავიზარდე, მაგრამ ერთად შეკრებილი ამდენი ადამიანი არასოდეს მინახავს. ოპერაცია კინოსეანსის დასრულებას დაემთხვა. სამღვდელო პირის დაკავების ამბავი სწრაფად გავრცელდა და იმდენი ცნობისმოყვარე შეიკრიბა, რომ პლეხანოვზე მოძრაობა გადაიკეტა.

შევედით შემსყიდველ პუნქტში. ერთი პატარა ოთახია. ვხედავთ, დგას მაღალი, წელში გამართული, შავოსანი სამღვდელო პირი, შავი წვერით, აბრიალებს თვალებს, ხელში კი დიდი კვერთხი უჭირავს.

— ვინ ბრძანდებით? — შევეკითხე.

— შენ ვინ გეკითხება? — უხეშად მიპასუხა.

ვუთხარი, ვინც ვიყავი და ავუხსენი, რომ ის, რაც აქ ხდებოდა, სწორედ მე მეკითხებოდა. ხელმეორედ ვკითხე ვინაობა. ამჯერად მიპასუხა, — მიტროპოლიტი გაიოზი ვარო.

— აქ რატომ მოხვედით? — ვკითხე.

— ეს ჩემი საქმეა, თქვენ არავინ გეკითხებათ, — მიპასუხა მან.

მაშინ პუნქტის შემსყიდველ თანამშრომელს მივმართე:

— რატომ მოვიდა ეს კაცი თქვენთან?

— ზურმუხტის სამი თვალი მოგვიტანა, მაგრამ ბოლო პერიოდში ძვირფასი ქვების შესყიდვა აგვიკრძალეს, ამიტომ უარი ვუთხარი, თუმცა ვასწავლე, ზურმუხტებს ვინ შეისყიდდა, — მიპასუხა პუნქტის თანამშრომელმა.

მარტო მოვიდა? — ვიკითხე მე.

— არა, ეს კაცი მოჰყვა, — მიპასუხა პუნქტის თანამშრომელმა და ჩვენს აგენტზე მიმითითა. — იმან მკითხა, რა ეღირებაო (მღვდელზე მიმითითა). ვუთხარი, 38-40 ათას მანეთზე მეტად ვერ გაიყიდება-მეთქი. ვინც მოჰყვა, იმან წამოიძახა:

— არა, ძმაო, ამ საქმეში მე ვერ გავერევი, თავი დამანებეთ!

ამ მომენტში შემოვარდნენ უფორმოები და მღვდელი დააკავეს.

— ასე იყო? — ვკითხე კერატიშვილს.

მღვდელმა მიპასუხა, — რა სისულელეებს ლაპარაკობენ ესენიო. ვუთხარი, ჯიბიდან ამოელო ყველაფერი, რაც ედო. უარი თქვა, გაჯიუტდა. მაშინ ვუბრძანე, გაეჩხრიკათ. იქ იყვნენ სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან მებრძოლი განყოფილების („ობხეესი“) უფროსის მოადგილე **ბორის გედევანიშვილი** და სხვა თანამშრომლები. ეცნენ კერატიშვილს, მაგრამ ვატყობ, კანკალებენ უჩვეულო სიტუაციისა და მორიდების გამო.

— ულმერთოები ხართ თქვენ! თვითონ ამოვიღებ ჯობიდან, რაც მაქვს, — განაცხადა კერატიშვილმა და მოგვაწოდა პატარა კოლოფი. გავხსენით, შიგ ზურმუხტის სამი თვალი და რამდენიმე ცირკონი თუ სხვა ნახევრადძვირფასი ქვა იდო. შევადგინეთ აღწერის ოქმი. ვეკითხები დაკავებულს: — სად ცხოვრობთ?

მან აგდებით მიპასუხა, თქვენ ვინ გეკითხებათო. კვლავ გავუმეორე შეკითხვა, რის შემდეგაც მითხრა, რომ ხილიანზე ცხოვრობდა.

— წავიდეთ ხილიანზე, — ვუთხარი მე.

— რატომ? — მკითხა.

ვუთხარი, რომ მისი სახლი უნდა გამეჩხრიკა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**
**(გაგრძელება იქნება)**

სახალხო დიპლომატია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენების პრობლემის წარმოქმნამდე აშშ-ის ავტორიტეტი საკმაოდ დაკნინებული იყო, რუსეთისამ კი წინა პლანზე წამოიწია, მაგრამ შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვიღაცას ხელს აძლევდა სიტუაციის ასეთი შემობრუნება. ის, რაც მოხდა, ეტყობა, კარგად გათვლილი გეგმის, დიდი თამაშის ნაწილია და ჩვენ ამ თამაშში თოჯინების როლი გვაკისრია. ტატუნაშვილის ტრაგედია ამ პროვოკაციის ბიძგის მიმცემია, დასაწყისია უარესის“.**



# როცა ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემის საკითხი წყდებოდა, საქართველოდან გაისმა სატელეფონო ზარი — ჯერ არ დააბრუნოთ!

**პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი ჩვენი მკითხველისა და ფართო საზოგადოებრიობისთვის კარგად არის ცნობილი, როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პრინციპული და გაბედული პოლიტიკოსი, როგორც ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული ადამიანი. წლების განმავლობაში ბევრი სიკეთე გაუკეთებია უხმაუროდ და უშურველად. ესეც საყოველთაოდ ცნობილია. დღეს ვისაუბრებთ ერთ მამულიშვილურ საქმეზე, რომლის მოგვარებაში მან, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, თუმცა თვითონ ასე არ ფიქრობს და მიაჩნია, რომ მთავარი და გადამწყვეტი პატრიარქის ჩარევა იყო, თვითონ კი გააკეთა მხოლოდ ის, რაც ქართველებისა და ოსების მეგობრობის აღდგენის მსურველ ნებისმიერ ქართველს უნდა გაეკეთებინა.**

საქმე ეხება საქართველო-რუსეთის კრიზისული ურთიერთობის გართულების მორიგ ფაქტს, რომლის მიზეზი შეიქნა ჩვენი თანამოქალაქისა და მამულიშვილის **არჩილ ტატუნაშვილის** ცხინვალში დატყვევების, გაუგებარ გარემოებაში გარდაცვალებისა და მისი ცხედრის ოჯახისთვის გადმოცემის არნახულად გაჭიანურებულ ანომალიურ შემთხვევას, რომელსაც მსოფლიო რეზონანსი მოჰყვა. ბატონი თემური დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობის ნებისმიერი მცდელობა გარკვეული ძალების შეშფოთებას იწვევს, რადგან მათ, ამ ძალებს, შეიძლება დაეწრიტოს ფულის შოვნის ის წყარო, რომლითაც იკლავენ დაუოკებელ მერკანტილურ სურვილს.

იუდები!

**ახლა კი მოვუსმინოთ ბატონ თემურ შაშიაშვილს:**

— „საქართველო და მსოფლიოს“ ამ ნომრის გამოსვლიდან რამდენიმე დღეში აღდგომას ვიზეიმებთ, — **დაიწყო ბატონმა თემურმა,** — მინდა, ყველა ქართველს, ყველა ოსს, ყველა აფხაზს, რომლებმაც საქართველოში განვითარებული პროცესების გამო დაკარგეს შვილები, ოჯახის წევრები, მივუსამძიმრო.

**მიზეზებს იმ რთული მოვლენებისა, რომლებიც თავს გადაგვხდა, ყოველთვის სხვაგან და სხვებში ვეძებთ. მიზეზთა მიზეზი კი არიან „ქუჩის პოლიტიკოსები“ ხელისუფლებაში, ურაპატრიოტები და გლობალისტები.** ფაქტმა, რომელზეც ვისაუბრებთ, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ **ომი არათუ დამთავრდა, არამედ წინაა და, თუ გონიერად არ ვიმოქმედებთ, გველოდება იმაზე უარესი, რისი მომსწრენიც ვართ დღეს.**

ქვეყანაში სასიკეთო არაფერი მოხდება, თუ სისტემური ცვლილებები არ განხორციელდება, ანუ თუ ემოციური პოლიტიკიდან აკადემიურ პოლიტიკაზე არ გადავალთ. ამას რომ ვამბობ, ალბათ, ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ ასეთია ჩემი პოზიცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის მაგალითებით არის განმტკიცებული.

მხოლოდ ერთს გავიხსენებ. 1991 წელია. საქართველოში მოსულია ეროვნული ხელისუფლება. ქუთაისში ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ვარ. შევიტყვე, რომ მილიცია შეიყვანეს ცხინვალში. ქუთაისიდანაც წაიყვანეს დიდი ჯგუფი ისე, რომ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. სასწრაფოდ ჩავედი ცხინვალში, შევხვდი ჩვენებს და ვუთხარი, რომ იარაღის გასროლა ჩვენსა და ოსებს შორის უბედურებისკენ მიმავალი გზაა. მაშინ „მხედრიონი“, გვარდია, სხვა შეიარაღებული ფორმირებები, მათ შორის, პარტიები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ავის ქმნაში: გაზეთებში იწერებოდა, როგორ დაამარცხეს ქართველებმა ოსები; ოსები წერდნენ, როგორ დაამარცხეს ქართველები. ეს იყო ამაზრზენი! ქუთაისელები გამომყვნენ, მათთან ერთად ოზურგეთელი მილიციელებიც წამოვიდნენ. მაშინ თანამდებობიდან გამათავისუფლეს.

**ნამდვილ ოსსა და ნამდვილ ქართველს ერთმანეთთან ურთიერთობა არ უჭირთ, ურთიერთობა უჭირთ სკამზე ორიენტირებულ ქართველსა და ოსს. იციან, რომ ერთმანეთთან ომით ერთმანეთი უნდა შექმნან ხელისუფლებაში — ომის პარტიებმა ომის პარტიები ყველგან მოიყვანეს ხელისუფლებაში.**

ჩვენ, ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა „ქუჩის პოლიტიკოსებს“ უნდა წავართვათ ჩვენი ძმობა, რომელიც მათ ფეხქვეშ გათელეს, წავართვათ ჩვენი ქვეყანა. რა არ აკადრეს იმხანად ერთმანეთს. ჩვენმა სახელგანთქმულმა ჩემპიონმა **რომან რურუამ** ერთხელ მითხრა, ციხეში ვნახეო ოსი კაცი, რომელმაც მისი ცოლ-შვილის გამაუპატიურებელ ქართველს ესროლა. ეს კაცი ბატონმა რომანმა გაათავისუფლებინა.

არჩილ ტატუნაშვილი არის გმირი, მაგრამ, ამასთანავე, არის პოლიტიკოსების მსხვერპლიც. ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა, ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ განაიარაღა ტატუნაშვილმა შვიდი ოსი და დაატყვევა. შეიტყო ეს მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა **მერაბიშვილმა**, სპეციალურად შეხვდა, გმირი უწოდა, ხელიდან საათი მოიხსნა და აჩუქა არჩილს.

ეს დაიწერა, გამოქვეყნდა და ხომ არ იყო ეს პუბლიკაცია წინასწარ გათვლილი პროვოკაცია, რომელსაც ტრაგედია მოჰყვა?!

— **ოსებმა ქართველი მილიციელები დააჩოქეს იმ დროს და ეს ფაქტიც გამოქვეყნდა პრესაში.**

— ეს მაშინ გამოქვეყნდა, მე ახალ პუბლიკაციაზე ვლაპარაკობ. ეჭვი ჩნდება რაღაც, თორემ იმ არეულ დროში ორივე მხარე ცოდავდა... მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ **ვლადიკავკაზში შენარჩუნებულია ქართული სკოლა, რომელშიც 150 ბავშვი სწავლობს, ჩვენი ოსი მეგობრების დამსახურებაა.** მათ ეს გააკეთეს საქართველოს პატრიარქისადმი უდიდესი პატივისცემისა და მოწიწების ნიშნად. პატრიარქის ურთიერთობა ვლადიკავკაზთან თავისთავად ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია.

**ჩვენ ახლა გვჭირდება დიდი შერიგების იდეოლოგია. ამისთვის კი აუცილებელია სიამაყე, შენდობა და სინანული. სიამაყე ჩვენი ისტორიული ურთიერთობის გამო; შენდობა იმისა, რაც ცუდი გაგვიკეთებია ერთმანეთისთვის; სინანული იმის გამო, რაც მოხდა. ქართველებისა და ოსების ურთიერთობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კავკასიაში მშვიდობას. არადა, სწორედ ეს ორი ერი დაგვაპირისპირეს ერთმანეთს.**

1991 წლის შემდეგ ჩვენ, ოსები და აფხაზები ვკარგავთ და ვკარგავთ ერთმანეთს. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს. ჩვენ ისინი დავკარგეთ მაშინ, როცა შეგვეძლო, არ დაგვეკარგა. ახლა უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთი.

— **ეგებ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასაც შეეხოთ მოკლედ?**

— რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა აბსურდის პოლიტიკაა: საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ უნდა ვეფეროთ, მეორე კი ამტკიცებს, რომ უნდა ვლანძღოთ, და ასეც იქცევა. ერთიც სისულელეა და მეორეც.

**რუსეთთან ურთიერთობაში შენ შეიარაღებული უნდა იყო ქართული ინტერესით. არც ერთ ჩვენს ხელისუფლებას არსად გაუმჟღავნებია, კერძოდ რა არის ქართული ინტერესის საგანი. ქართული ინტერესი თავის დროზე ამერიკის ლანძღვასა და რუსეთის ქებაში გამოიხატებოდა და ეს იყო შეცდომა. თუ ქართული ინტერესი დღეს ის არის, რომ ვლანძღოთ რუსეთი და ვაქოთ ამერიკა, ეს სისულელეა. მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც არ მოსწონთ რუსეთი, მაგრამ არ მესმის იმ ადამიანებისა, რომლებიც ფეხქვეშ ეგებიან ამერიკას.**

არ შეიძლება, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა იყოს ერთვექტორიანი — ან მხოლოდ რუსეთზე, ან მხოლოდ ამერიკაზე ორიენტირებული. ცალმხრივობაზე აგებული პოლიტიკის შედეგი იყო ის პროფაშისტური გამოხდომები, რომლებიც სოციალურ ქსელებში დაიწერა კემეროვოს ტრაგედიაზე და რომლებსაც სწორი შეფასება მისცა თქვენმა გაზეთმა.

ცალმხრივობა გამოიხატა კარიკატურულ გადაწყვეტილებაშიც, რომლის თანახმად, ერთი „რუსი დიპლომატი“ გააძევეს საქართველოდან: აძევებ „დიპლომატს“ იმ ქვეყნისას, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა, წლებია, გაწყვეტილი გაქვს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა დაბალანსებული, მრავალვექტორიანი უნდა იყოს.

**ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენების პრობლემის წარმოქმნამდე აშშ-ის ავტორიტეტი საკმაოდ დაკნინებული იყო, რუსეთისამ კი წინა პლანზე წამოიწია, მაგრამ შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვიღაცას ხელს აძლევდა სიტუაციის ასეთი შემობრუნება. ის, რაც მოხდა, ეტყობა, კარგად გათვლილი გეგმის, დიდი თამაშის ნაწილია და ჩვენ ამ თამაშში თოჯინების როლი გვაკისრია. ტატუნაშვილის ტრაგედია ამ პროვოკაციის ბიძგის მიმცემია, დასაწყისია უარესის.**

— **და სწორედ ამ ვითარების განსამუხტავად, უარესის თავიდან ასაცილებლად ჩახვედით პეტერბურგში თქვენს ოს მეგობართან, მსოფლიოში ცნობილ დირიჟორ ვალერი გერგიევთან, რომლის მაღალი ავტორიტეტი რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში უდავოა.**

— დიახ, ჩავედი. ისიც მყისიერად დაუკავშირდა ოსებს ცხინვალში და განუცხადა: მიხედეთ, რა ხდება! ეს ხომ კავკასიაა — როგორ შეიძლება, ადამიანი ამდენ ხანს დაუსაფლავებელი დარჩეს?! რას შვებით, რას აკეთებთ, ამაზე დიდ შეურაცხყოფას ოსებს ვერავინ მიაყენებსო.

— **ვის ელაპარაკებოდა?**

— არ მინდა დავაკონკრეტო, მაგრამ ელაპარაკებოდა მათ, ვისაც შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა. **ვალერი გერგიევმა** უფრო მეტიც გააკეთა — გაფრინდა მოსკოვში, შეხვდა ხელმძღვანელობას, უთხრა ის და ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნია, და გააკეთა ის, რაც აუცილებლად, თანაც, ოპერატიულად იყო გადასაწყვეტი.

მანამდე კი პეტერბურგში მოეწყო შეხვედრა გავლენიან ადამიანებთან, ხელოვნების, სპორტის სამყაროს წარმომადგენლებთან. იმ ორმოცკაციან აუდიტორიაში, რომელშიც 15-20 ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, გერგიევმა ერთი საათის განმავლობაში ისაუბრა საქართველოზე, კულტურისა და ხელოვნების ქართველ მოღვაწეებზე. მოხარული ვარ იმ დამოკიდებულებით, რომელიც მან გამოხატა საქართველოს პრემიერისა და **ბიძინა ივანიშვილის** მიმართ და თქვა, რომ ჩვენთან ურთიერთობის გაუმჯობესების დიდი იმედი აქვს.

ვალერი გერგიევი 1982 წელს, სტუდენტობის პერიოდში, გავიცანი **ლექსო თორაძის** კონცერტზე. ლექსო დისიდენტი იყო და პირველად მაშინ ჩამოვიდა საჭოთა კავშირში. კონცერტის პირველ ნაწილში სრულდებოდა **გია ყანჩელის** მეხუთე სიმფონია, რომელსაც დირიჟორობდა **ჯანსუღ კახიძე.** მეორე ნაწილში ლექსოს უნდა დაეკრა. ეს ამბავი თავისთავად საინტერესოა და მოყოლა სხვა დროისთვის გადავდოთ. იქიდან მოყოლებული გრძელდება ჩვენი მეგობრობა.

ვალერი გერგიევი წლების განმავლობაში ყველა ჩვენი დიდი კომპოზიტორის შემოქმედების პოპულარიზატორია. წარმოიდგინეთ, რომ ერთსა და იმავე პერიოდში პეტერბურგის თეატრალურ ▶

**«მოწმე ვარ, ტელეფონით რომ ელაპარაკებოდა მოსკოვში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ტატუნაშვილის ტრაგედიაზე, როგორი კატეგორიული იყო გერგიევი. იქითა მხრიდან ჰკითხეს — «ჩვენ შეგვიძლია მოვახსენოთ (ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვის გულისხმობდნენ), რომ ეს არის გერგიევის პოზიცია?» მან უპასუხა: «დიახ, ასეთია ჩემი პოზიცია, კავკასიაში წარმოუდგენელი მკრეხელობაა ცხედრის მინისთვის მიუბარებლობა. ის, რაც ხდება, არის ოსებისა და ქართველების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია... 15 თუ 16 მარტს ვთქვი, რომ 20 მარტს 2-დან 5 საათამდე გადმოასვენებდნენ ტატუნაშვილის ცხედარს — ეს გერგიევისგან ვიცოდი. ასეც მოხდა. ისიც უნდა ითქვას, რომ პრობლემის გადასაწყვეტად მოსკოვში დიდი მუშაობა გასწია ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ»**

**„წინასწარი ინფორმირებულობისა და კონსულტაციების გარეშე ხდება მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში არსებული ქონებისთვის დღეს მოქმედი ზონების შეცვლა. ზოგიერთ შემთხვევაში ინვესტორებს პირდაპირ ეზღუდებათ ინვესტიციების განხორციელება. გენერალურ გეგმაში წერია, რომ იგეგმება ეკონომიკური ზონების რელოკაცია, რაც გულისხმობს სავაჭრო ზონების სხვა ადგილზე — პერიფერიაში გადატანას, მაგრამ, რა თანხა დაუჯდება დედაქალაქის ბიუჯეტს ეს გამოსავალი, დასკვნა არ არსებობს“.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სივრცეში მთავარი რეჟისორი იყო **თემურ ჩხეიძე**, მთავარი მხატვარი — **მურაზ მურვანიძე,** სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი კი — **ვალერი გერგიევი.**

შექმნა ამ კაცმა უდიდესი სახელოვნებო ინდუსტრია. ვიღაც წერს, რომ პაუტინთან ახლოს არისო. მერე რა?! ჩვენ მეგობრებს კი არ უნდა ვკარგავდეთ, უნდა ვიძენდეთ. 36 წლის განმავლობაში მასთან კავშირი არ გამიწყვეტია და ამ ხნის განმავლობაში ქართველებზე მისგან კარგის მეტი არაფერი მსმენია. ერთადერთი გამონაკლისი იყო **მიხეილ სააკაშვილი**, რომლის მიმართაც უმძიმესი დამოკიდებულება ჰქონდა. და არა მისი პრეზიდენტობის გამო, არამედ დავოსში შეხვედრის დროს შექმნილი შთაბეჭდილების გავლენით. გერგიევი, მოგეხსენებათ, დავოსის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ერთ-ერთი ორგანიზატორია, ამიტომ შეხვდნენ ერთმანეთს. უბრალო დამთხვევა იყო. და ამ შეხვედრის შესახებ გერგიევმა მითხრა: ვნახე არანორმალური ადამიანი, რომელმაც სკამის გამო გარიგება შემომთავაზაო. რაღაც-რაღაცებს ეხვეწებოდა. რას, ამის თქმის უფლება არ მაქვს. გერგიევმა მაშინ უპასუხა, მე ასეთ რამეებში არ ვმონაწილეობო.

— **ფრჩხილები გავხსნათ და ვთქვათ, რომ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენების საქმის მოსაგვარებლად მიაკითხეთ გერგიევს.**

— თავი ვალდებულად ჩავთვალე, მიმემართა ჩემი ოსი მეგობრებისთვის. შემეხმიანენ ისინიც. მადლობა მინდა ვუთხრა ყველა მათგანს. ის კეთილგანწყობა, ყურადღება და მხარდაჭერა, რომელიც მათ გამოიჩინეს, ვერც კი წარმომედგინა.

დავაზუსტებ: გერგიევთან შესახვედრად გერმანიაში ჩავედი. მოგეხსენებათ, მიუნხენის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორია. იქიდან პეტერბურგში ჩავფრინდით. **პრობლემის მოსაგვარებლად გერგიევმა მოსკოვში ჩასვლა გადაწყვიტა. დილით გაფრინდა და საღამოს პეტერბურგში უნდა დაბრუნებულიყო, რადგან კონცერტი ჰქონდა ჩასატარებელი, მაგრამ მოსკოვში შეხვედრებმა იმდენი დრო წაიღო, რომ გერგიევის შემოქმედებითი მოღვაწეობის ისტორიაში პირველად ჩავარდა დაგეგმილი კონცერტი. წარმოუდგენელი რამ მოხდა — ვერ მოასწრო დაბრუნება,** მაგრამ ამისგან ტრაგედია არ შეუქმნია.

— **მოსკოვში ვის შეხვდა?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ, ალბათ, იმას, ვისაც, ტელეფონით კი არა, პირადად უნდა დალაპარაკებოდა; ვისაც ხელეწიფებოდა ამ უკიდურესად გამწვავებული საკითხის გადაწყვეტა. მე ვამაყობ გერგიევთან მეგობრობით: როცა გერგიევის მშობლიურ ქალაქ ვლადიკავკაზში ქართულ სკოლას გაუჭირდა, სწორედ იგი ამოუდგა მხარში; ქართველებს უდიდესი ასპარეზი აქვთ ყველგან, სადაც გერგიევი დირიჟორობს. მოწმე ვარ, ტელეფონით რომ ელაპარაკებოდა მოსკოვში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ტატუნაშვილის ტრაგედიაზე, როგორი კატეგორიული იყო გერგიევი. **იქითა მხრიდან ჰკითხეს: „ჩვენ შეგვიძლია მოვახსენოთ (ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვის გულისხმობდნენ), რომ ეს არის გერგიევის პოზიცია?“ მან უპასუხა: „დიახ, ასეთია ჩემი პოზიცია, კავკასიაში წარმოუდგენელი მკრეხელობაა ცხედრის მიწისთვის მიუბარებლობა. ის, რაც ხდება, არის ოსებისა და ქართველების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია“.**

ამასვე ეუბნებოდა თავისიანებს, რაზეც ცხინვალიდან უპასუხეს: ცხედრის გადაცემას 3 აპრილის შემდეგ, ადგილობრივი არჩევნების ჩატარების მერე ვაპირებთო. გერგიევი კატეგორიულად არ დაეთანხმა. **15 თუ 16 მარტს ვთქვი, რომ 20 მარტს 2-დან 5 საათამდე გადმოასვენებდნენ ტატუნაშვილის ცხედარს — ეს გერგიევისგან ვიცოდი. ასეც მოხდა.** ისიც უნდა ითქვას, რომ პრობლემის გადასაწყვეტად მოსკოვში დიდი მუშაობა გასწია ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ**, და ერთობლივმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო.

— **განმუხტავს ეს დაძაბულობას?**

— სანამ მოსახლეობა მხარს უჭერს ავანტიურისტ პოლიტიკოსებს, ვერ განმუხტავს. ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებაა. საქართველოს პოლიტიკოსების 99 პროცენტი სხვაზე გამარჯვებით არის დაკომპლექსებული.

ამ პოლიტიკოსების ხელში ქვეყანას მომავალი არ ექნება.

კარგა ხნის წინათ, იტალიაში რომ ვიყავი, ლაციოს პრეზიდენტმა მითხრა: რუსეთთან ყველაზე კარგი ურთიერთობა აქვს საფრანგეთს, გერმანიას, იტალიასა და ესპანეთს. ოთხივეს გვაქვს წაგებული ომი რუსეთთან, თქვენ გვასწავლით, რომ რუსეთთან ომის მოგება შეუძლებელიაო?! რუსეთთან ომი არის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა.

**დღეს საქართველოში რუსეთის ლანძღვით ხელისუფლების სათავეში მოდიან ანტიქართული, ვიღაცის მსახური ძალები და არა საქართველოს ინტერესების ერთგული დამცველები. ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ ჯერ თავს შევიკავებ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. დღეს მხოლოდ ერთს ვიტყვი: როცა წყდებოდა ცხონებული ტატუნაშვილის ცხედრის ოჯახისთვის გადაცემის საკითხი, საქართველოდან გაისმა სატელეფონო ზარი — ჯერ არ დააბრუნოთ!**

— **ეს რა თქვით, ბატონო თემურ?!**

— მეც არ მინდოდა, დამეჯერებინა... მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რაც რეალურად ხდება. არ ვარ მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი, მაგრამ ის, რაც მთავრობისა და, საერთოდ, ხელისუფლების მიმართ ხდება, ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაა. ქვეყნის უბედურების სათავე ქვეყანაშია. ქვეყანას, როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ, განათლებული ადამიანების მმართველობა გადაარჩენს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# «მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა მღელვარებას გამოიწვევს»



**თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა დასრულდა და ის განსახილველად დედაქალაქის მერიას გადაეცა. დოკუმენტი, რომლის შესამუშავებლად თბილისის მერიამ 2,8 მილიონი ლარი გადაიხადა, ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტმა“ მოამზადა. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე კი დასკვნა მოამზადა „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ “ (აფბა), რომლის ვიცეპრეზიდენტი პაატა ბაირახტარი განმარტავს, რომ გენგეგმაში, როგორც უფლებრივი საკითხების უგულებელყოფის თვალსაზრისით, ისე ეკონომიკური და ფინანსური საკითხების კუთხით მრავალი შეცდომა და დარღვევაა, რაც შეიძლება სოციალური მღელვარების საფუძველი შეიქნას.**

— გენგეგმა აუცილებლად უნდა იყოს მაღალი გამჭვირვალობის დოკუმენტი და ითვალისწინებდეს ყველა ჯგუფის მოსაზრებებსა და ინტერესებს. გენგეგმის არსებული ვარიანტის მიღების შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაზარალდება კერძო სექტორი, ამას გენგეგმის ავტორებიც არ უარყოფენ. ამ დოკუმენტის მიხედვით, **წინასწარი ინფორმირებულობისა და კონსულტაციების გარეშე ხდება მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში არსებული ქონებისთვის დღეს მოქმედი ზონების შეცვლა. ზოგიერთ შემთხვევაში ინვესტორებს პირდაპირ ეზღუდებათ ინვესტიციების განხორციელება.** გენერალურ გეგმაში წერია, რომ იგეგმება ეკონომიკური ზონების რელოკაცია, რაც გულისხმობს სავაჭრო ზონების სხვა ადგილზე, პერიფერიაში გადატანას, მაგრამ რა თანხა დაუჯდება დედაქალაქის ბიუჯეტს ეს გამოსავალი, დასკვნა არ არსებობს.

— **კონკრეტულად რომელ ეკონომიკურ სავაჭრო ობიექტზეა საუბარი?**

— გენერალური გეგმის არსებული მოდელის მიხედვით, **იგეგმება ელიავას ბაზრობის გადატანა ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღნიშნულ ადგილას კი სარეკრეაციო ზონა უნდა მოეწყოს. ელიავას ბაზრობის მესაკუთრე 144 ფიზიკური პირია, ხოლო მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთების ჯამური ღირებულება, აფბა-ს გათვლებით, სულ მცირე, 230 მილიონ დოლარს შეადგენს.** ამ გადაწყვეტილებას გენერალური გეგმის ავტორები პერიფერიებში ცხოვრების დონის ამაღლებითა და იქ სამუშაო ადგილების შექმნის სურვილით ხსნიან, მაგრამ გაუგებარია, კონკრეტულად რომელი ფაქტორების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოცდილების გათვალისწინებით ელოდებიან პერიფერიებში ინვესტიციების ზრდასა და ცხოვრების დონის ამაღლებას. მეტიც — უცნობია, ეკონომიკური ზონების რელოკაციის შემთხვევაში მოახერხებენ თუ არა ეს ზონები ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებას. გენერალური გეგმის ავტორების აზრით, გამოსავალი ადგილმონაცვლეობის ან გამოსყიდვის ფორმების მოძებნაშია, მაგრამ, **როდესაც მსგავსი ზომისა და მასშტაბის ეკონომიკურ ზონას ვეხებით, მიდგომა „ჯერ გავაკეთოთ და შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება“ არასწორია.** მაგალითად, ელიავას ბაზრის გადატანის შემთხვევაში, შეინარჩუნებს თუ არა ეს ეკონომიკური ზონა ეკონომიკურ აქტივობას, ამაზე ანალიზი არ არსებობს.

— **რა ბედი ელით ელიავას ბაზრობაზე დასაქმებულ ადამიანებს? გენერალური გეგმის დოკუმენტში თუ არის საუბარი კომპენსაციის საკითხზე?**

— გენგეგმის შემოთავაზებული ვერსიის მიხედვით, დედაქალაქში ასიათასობით კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთებს შეეცვლება იურიდიული სტატუსი, ეს დაახლოებით 25-30 ათასი ადამიანის კერძო საკუთრებას შეეხება. ამ რაოდენობის მესაკუთრეების დაკმაყოფილება მოუწევს დედაქალაქის ბიუჯეტს. აფბა-სთვის კვლევის პროცესში, ცხადია, შეუძლებელი იყო ამ რაოდენობის მესაკუთრეების გამოკითხვა და იმის დადგენა, როგორ აფასებს თითოეული მათგანი მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს ან შენობა-ნაგებობას, მაგრამ, **მინიმალური გასაშუალოებული თანხა რომ ავიღოთ, მაგალითად, 10 000 დოლარი თითო მესაკუთრეზე, ჯამში 300 მილიონს აღწევს, რაც დედაქალაქის ბიუჯეტის მესამედია. კომპენსაციის საკითხზე კი არც უფიქრიათ დოკუმენტის ავტორებს.** ვფიქრობთ, რომ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში უფლებრივი საკითხების უგულებელყოფა სოციალურ მღელვარებას გამოიწვევს და მათ აუცილებლად მოუწევთ, საკომპენსაციო თანხების გადახდა, როგორც მესაკუთრეებისთვის, რომელთა სახელზეც არის ეს შენობა-ნაგებობები, აგრეთვე, იქ დასაქმებულ ადამიანებზეც. თუმცა, სანამ ეს ეკონომიკური ზონა აეწყობა ან გადაეწყობა ახალ ეკონომიკურ რელსებზე, ისინი აუცილებლად დაზარალდებიან.

**«იგეგმება ელიავას ბაზრობის გადატანა ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღნიშნულ ადგილას კი სარეკრეაციო ზონა უნდა მოეწყოს. ელიავას ბაზრობის მესაკუთრე 144 ფიზიკური პირია, ხოლო მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთების ჯამური ღირებულება, აფბა-ს გათვლებით, სულ მცირე, 230 მილიონ დოლარს შეადგენს»**

## რა ხდებოდა უახლოეს წარსულში

2004 წლის 4 იანვარს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების 96%-ით გაიმარჯვა „ვარდების რევოლუციის“ ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა, რომლის წინასაარჩევნო პროგრამის პრიორიტეტებს შორის იყო ეკონომიკური რეფორმა. ამ ეკონომიკური რეფორმის ნაწილი იყო სასტუმრო „ივერიიდან“ აფხაზეთიდან დევნილების გამოყვანა და იქ მაღალი დონის სასტუმროს აშენება. 2005 წლის 6 სექტემბერს აფხაზეთიდან დევნილებს სასტუმრო „ივერიის“ შენობა იძულებით დაატოვებინეს. თითოეულ ოჯახს კი დაჰპირდნენ, რომ მუდმივი საცხოვრებელი ფართის შესასყიდად ინვესტორი, კომპენსაციის სახით, 7 000 აშშ დოლარს გადაუხდიდა. 2006 წლის ყოველწლიურ შემაჯამებელ მოხსენებაში მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა: „სასტუმრო „ივერია“, რომელშიც დევნილები ცხოვრობდნენ 10 წლის განმავლობაში, ჩვენი ნგრევის, დამცირებისა და გაუბედურების სიმბოლო იყო. დევნილებს კომპენსაცია მივეცით და სასტუმრო დავაცლევინეთ“.

საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის საანგარიშო მოხსენებაში კი ვკითხულობთ: **„დევნილ ციური ნოდიას დროებით საცხოვრებელ ადგილად კვლავ თბილისი, სასტუმრო „ივერია“ უწერია. მას კომპენსაცია ჯერ კიდევ არ აუღია და დღეს ისევ თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი“.**

**სოფო კაკაჩია**

**P.S. თბილისის მერიის 2 აპრილის გადაწყვეტილებით, „სითი ინსტიტუტს“ მიეცა ვადა, დაასრულოს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა. საბოლოო დოკუმენტაცია 1 ივნისს უნდა იქნას წარმოდგენილი. როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, დედაქალაქის მერია, კომპანიასთან ერთად, მუშაობაში ჩაერთვება და „მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ხარისხიანი გენგეგმის შემუშავებას“.**

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველომ ჩაყვინთა სოციალურ ქსელში და არ (ან ვერ) ამოყვინთა. თავიდან საზოგადოება, ნარცისის მსგავსად, აკვირდებოდა თავის ციფრულ ანარეკლს, შემდეგ კი... საკმაოდ სახალისო სერიალის — „შავი სარკის“ მესამე სეზონის პირველ სერიაში („პიკირება“) ნაჩვენებია სისტემა, რომლის ფარგლებში „ლაიქებზე“ დაფუძნებული რეიტინგი ადამიანის ცხოვრებაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს (კარიერა, კრედიტუნარიანობა და ა.შ.). ქართველი საზოგადოება ნელ-ნელა უახლოვდება ამ მდგომარეობას; რეალური და ვირტუალური სამყარო ერთმანეთს ერწყმის.**

# ასოციალური ქსელი

**ქართულ სოციალურ ქსელებში იმდენი ასოციალური რამ ხდება, რომ მათ თავისუფლად შეიძლება ანტისოციალური ეწოდოს. მათ ხშირად ადარებენ დიდ სარკეს, რომელშიც კარგად ჩანს საზოგადოების დაუნდობლობა და ჩამორჩენილობა, ისევე, როგორც რამდენიმე დადებითი, თუმცა ნაკლებად თვალშისაცემი, თვისება.**

როდესაც საქართველოში სოციალურ ქსელებს ახსენებენ, როგორც წესი, „ფეისბუკს“ გულისხმობენ. გარკვეულ როლს ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში სხვა ქსელებიც ასრულებენ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი (ან თუნდაც ყველა ერთად) ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაზე „ფეისბუკის“ მსგავს გავლენას არ ახდენს. სწორედ მარკ ცუკერბერგის სამფლობელოში ბინადრობს თითოეული ქართველის ციფრული ალტერ-ეგო და ხანდახან ისეთ შოკისმომგვრელ თავგადასავლებში ეხვევა, რომელთან შედარებით დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის უცნაური ისტორია უმცროსკლასელების ექსკურსიაა.

მსოფლიოში არც ისე ბევრი ქვეყანაა, რომელთა მეთაური (სიმბოლური, დეკორატიული, მაგრამ მაინც) სოციალურ ქსელებში შექმნილ მდგომარეობას სერიოზული პრობლემების ინდიკატორად განიხილავს. „ჩვენ ძალადობრივი საზოგადოება ვართ და ჩვენთან პრესტიჟულია ძალადობა. ჩვენ მოგვწონს აგრესია. ამას ძალიან ბევრ ადგილას ნახავთ. შეგვიძლია დავაკვირდეთ, თუ რამდენად აგრესიულები არიან ადამიანები სოციალურ ქსელებში. პრობლემა არის ის, რომ ადამიანები არა პოლიტიკური მიზეზით, არამედ გულწრფელად აგრესიულები არიან“, — განაცხადა იანვარში „პალიტრანიუსის“ ეთერში გიორგი მარგველაშვილმა. დავა იმაზე, საიდან მოდის ეს ძალადობა და აგრესია, ძალიან დიდხანს შეიძლება. ქვეყანაში, სადაც არც „ჩვეულებრივი“, არც ზნეობრივი კანონი არ კანონობს, წინა პლანზე ბუნებრივად ძალმომრეობა გამოდის ისე, როგორც ეს ველურ ტომებში ხდება. სწორედ ის წარმოადგენს სოციალური ლიფტის მთავარ ძრავას, ხოლო პროფესიონალიზმი, კავშირები და ფულიც კი დამხმარე როლს ასრულებს. ვინაიდან ჩვენ გვიჭირს იმის აღიარება, რომ 21-ე საუკუნეში გაქანებულ არქაიკაში ვცხოვრობთ, ძალადობის „დაშაქრებას“, მის ესთეტიზაციას ვახდენთ. შესაძლოა, არ მოგვწონს და არც პრესტიჟულად ვთვლით, მაგრამ მუდამ თან დავატარებთ, როგორც პირველყოფილი მონადირე თავის იარაღს, რომლის გარეშე მალე დაიღუპებოდა.

მოქალაქეების დიდ ნაწილს თვითდამკვიდრების აგრესიული მეთოდები სოციალურ ქსელშიც გადააქვს და აქტიურად იყენებს მათ, რასაც ხელს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ პოლიტიკური ფაქტორებიც უწყობს. „ფეისბუკმა“ ძველი რეჟიმის კრახში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა. მიხეილ სააკაშვილს შეეძლო, ინტერნეტის ეპოქის პირველი ქართველი ლიდერი გამხდარიყო, მაგრამ სატელევიზიო ეპოქის უკანასკნელ ლიდერად ჩამოყალიბდა. ის უდიდეს ყურადღებას აქცევდა ტელევიზიების კონტროლს და მათ საზოგადოების მართვის უმთავრეს ბერკეტად მიიჩნევდა. მოვლენები 10 ან 20 წლით ადრე რომ განვითარებულიყო, მას განსაკუთრებული პრობლემები არ შეექმნებოდა, მაგრამ **დაახლოებით 2009 წლიდან „ფეისბუკის“ როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

**2010 წლის გაზაფხულზე იქ საქართველოდან 350 ათასამდე მომხმარებელი დარეგისტრირდა. 2011 წლის მიწურულს კი, როდესაც რეჟიმის აგონია დაიწყო, მათმა რაოდენობამ 650 ათასს გადააჭარბა. სოციალური ქსელი ასრულებდა „ხმის გამაძლიერებლის“ როლს ბეჭდური და ინტერნეტგამოცემების პუბლიკაციებისთვის, რომელთაც რეჟიმი ადრე „წერე და იკითხეს“ პრინციპით უდგებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი სამოქალაქო აქტივისტის „სტატუსი“ საზოგადოებრივი აზრზე გაცილებით დიდ გავლენას ახდენდა, ვიდრე სამი (თუ რამდენი იყო) პროპაგანდისტული ტელევიზიის სიუჟეტები. რაც მთავარია, სოციალური ქსელი ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეებში ერთმანეთთან კავშირის, მუდამ ერთად ყოფნის შეგრძნებას აძლიერებდა და ნაწილობრივ ანეიტრალებდა შიშსა და დაბნეულობას, რომელიც ადამიანს მაშინ ეუფლება, როდესაც აცნობიერებს, რომ დაუნდობელი სახელმწიფო მანქანის პირისპირ დარჩა.**

სააკაშვილის რეჟიმი ცდილობდა, ოპოზიციის მსგავსად, „ფეისბუკი“ აქტიურად გამოეყენებინა, მაგრამ სათანადოდ ვერ აფასებდა თვისობრივ სხვაობას სოციალურ ქსელსა და ძველ ქართულ ინტერნეტფორუმებს შორის, მათი ვერტიკალური იერარქიითა და შენიღბული ტოტალური კონტროლით. რაც მთავარია, მან ვერ გააცნობიერა, რომ სოციალური ქსელის მომხმარებელი, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა, თვითონ შექმნას და გაფილტროს (ნაწილობრივ, მაგრამ მაინც) საინფორმაციო ნაკადი, რომელსაც იღებს, გაცილებით სკეპტიკურად უდგება ძველი ყაიდის სატელევიზიო პროპაგანდას და უფლებას იტოვებს, ის ეჭვქვეშ დააყენოს, მის საჯარო კომენტარს კი გაცილებით დიდი შედეგი მოაქვს, ვიდრე ტელემაყურებლის ბუზღუნს საკუთარ სამზარეულოში. „ფეისბუკრევოლუცია“ საქართველოში დაახლოებით 2006 ან 2007 წელს რომ დაწყებულიყო, რეჟიმი, შესაძლოა, მას ალღოს აუღებდა, თუმცა 2009-10-ში ის უკვე არაადეკვატური გახლდათ.




2012 წლის არჩევნების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა გააცნობიერეს სოციალური ქსელების როლი, გაზარდეს აქტიურობა „ფეისბუკში“ და ახალი ინტერნეტპროექტები დაქოქეს, თუმცა მათ წინააღმდეგ სხვა ფაქტორმა იმუშავა — ისინი ცდილობდნენ სწრაფი რევანშისთვის მიეღწიათ და წარმოაჩენდნენ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, როგორც კატასტროფულს, არსებითად კი, ახდენდნენ იმ მეთოდების კოპირებას, რომლებსაც ოპოზიცია 2011-12 წლებში იყენებდა.

მაგრამ **პოლიტიკურ პროპაგანდას აქვს ერთი დაუწერელი წესი: ვიდრე ამომრჩეველი მიიღებს მესიჯს „ხელისუფლება აუტანელია, უნდა ვიმოქმედოთ“, აუცილებელია, მოხდეს ნეგატივის კონცენტრაცია, რომელსაც თავისი ეტაპები აქვს. სააკაშვილი ჩქარობდა და ცდილობდა ამ ეტაპებზე „გადამხტარიყო“, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ მისი იდეა ახალი რევოლუციის შესახებ არა მხოლოდ ნეიტრალურმა ამომრჩევლებმა, არამედ ბევრმა მისმა მხარდამჭერმა აღიქვა, როგორც მარგინალური და მანიაკალური**, რამაც მათ ნაწილს „ევროპული საქართველოს“ მხარეზე გადასვლა ან განზე გასვლა გაუადვილა.

2012 წელს „ფეისბუკის“ ქართულ სეგმენტში ჩამოყალიბდა ორი პოლუსი, რომელიც დღემდე „სიძულვილის გენერატორის“ როლს ასრულებს **ნაციონალები**, რომელთაც წარსულში დაბრუნება სურთ, და **„ქოციონალები“**, რომლებიც, როგორც ჩანს, ცდილობენ, დრო გააჩერონ, რადგან გრძნობენ, რომ მომავალში შანსი არ აქვთ. ისინი ერთმანეთს ძალიან სჭირდებიან და ერთი მეორეს არსებობას უხანგრძლივებს. ორი დაჯგუფების შემადგენლობაში შედიან არა მხოლოდ დაქირავებული „ტროლები“ და ყოფილი და მოქმედი ჩინოვნიკები თავის სამეგობრო-სანათესაოსთან ერთად, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელთაც თანამოაზრეების გვერდით ყოფნა თავდაჯერებულობას ჰმატებს. ისინი გრძნობენ, რომ რაღაც მნიშვნელოვან მისიას ასრულებენ, ბნელ ძალებთან ბრძოლაში მონაწილეობენ, თუნდაც ის წარმოსახვითი იყოს. ზოგისთვის კი, უბრალოდ, აუცილებელია, თავი დიდი ერთობის ნაწილად იგრძნოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ველურ ტომს ან, სულაც, ხროვას წარმოადგენს. ასეთი ადამიანების კომპლექსები პოლიტიკური პროპაგანდის მანქანისთვის საწვავის როლს ასრულებს. ეს ეხება მეორე დიდ დაპირისპირებასაც — **ფსევდოლიბერალებსა** და **ფსევდოკონსერვატორებს** შორის. ეს ხომ საერთოდ მატრიცის ქვაკუთხედია — ქართული საზოგადოების ცხოვრებაში არ არსებობს არაფერი უფრო ხმაურიანი, დესტრუქციული და უნიჭო.

სოციალური ქსელი შეიძლება უზარმაზარ სივრცეს შევადაროთ (მაგალითად სტადიონს ან აეროპორტს), სადაც უამრავი ადამიანი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობს. იმისთვის, რომ მათი ყურადღება მიიპყრო, რაღაც თვალშისაცემი უნდა გააკეთო. ზოგი დახვეწილ ფსიქოლოგიურ ხრიკებს მიმართავს, თუმცა დიდი ნაწილი, აღზრდა-განათლების მწვავე უკმარისობიდან გამომდინარე, აუდიტორიასთან საუბარს „აეეეე!“, „ოეეეე!“ შეძახილებით ან პირდაპირ გინებით (სააკაშვილს აგინებს თუ ივანიშვილს, მნიშვნელობა არ აქვს) იწყებს. ვისაც ფიზიკური მონაცემები ხელს უწყობს, ხოლო ჭკუა და გონება არაფერს უშლის, შიშველდება. ამავე დროს პროფესორს (რეალური მაგალითია), რომელიც სოცქსელში საქართველოსა და ევროპის ისტორიაზე საოცრად ღრმა ტექსტებს აქვეყნებს, გაცილებით ნაკლები შანსი აქვს, ყურადღება მიიზიდოს. ამას არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა, ვინაიდან ის რეზონანსული ერთუჯრედიანი არა ერთი გარემოება — ბოლო წლებში ადამიანის „წონა“ სოციალურ ქსელში სულ უფრო მეტად მოქმედებს მის სტატუსზე რეალურ ცხოვრებაში, გავლენას ახდენს მის პრიორიტეტებზე, კომუნიკაციის სტილზე და ა.შ. **საქართველომ ჩაყვინთა სოციალურ ქსელში და არ (ან ვერ) ამოყვინთა. თავიდან საზოგადოება, ნარცისის მსგავსად, აკვირდებოდა თავის ციფრულ ანარეკლს, შემდეგ კი...**

**საკმაოდ სახალისო სერიალის — „შავი სარკის“ მესამე სეზონის პირველ სერიაში („პიკირება“) ნაჩვენებია სისტემა, რომლის ფარგლებში „ლაიქებზე“ დაფუძნებული რეიტინგი ადამიანის ცხოვრებაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს (კარიერა, კრედიტუნარიანობა და ა.შ.). ქართველი საზოგადოება ნელ-ნელა უახლოვდება ამ მდგომარეობას; რეალური და ვირტუალური სამყარო ერთმანეთს ერწყმის.** ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ მარგველაშვილი აგრესიაზე მას შემდეგ დაფიქრდა, რაც წაიკითხა, რას წერენ მასზე „ფეისბუკში“ (მეტწილად საშინელებას წერენ, მეტწილად სამართლიანად). **არაფერია გასაკვირი იმაში, რომ თვითდამკვიდრების ის მეთოდები, რომელთაც დღევანდელ საქართველოში „რეალში“ მაქსიმალური შედეგები მოაქვს, კერძოდ კი აგრესია, როგორც ძირითადი და უნივერსალური ინსტრუმენტი, „ფეისბუკშიც“ შესაბამის ადგილს იკავებს.**

სინამდვილეში, საზოგადოებას, აგრესია კი არა, სამართლიანობა მოსწონს, მაგრამ, ვინაიდან პოლიტიკური ელიტა, მოქმედი პრეზიდენტის ჩათვლით, ათწლეულების (თუ არა ასწლეულების) განმავლობაში ინარჩუნებს და აძლიერებს სისტემას, რომლის ქვაკუთხედი უსამართლობა და ძალადობაა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ვერ ხედავს სხვა გზას, გარდა იმისა, რომ ზედა ფენას მიბაძოს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სად ვლინდება ეს — ქუჩაში, ოჯახებში თუ „ფეისბუკში“. თუ არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება არა მხოლოდ მშვიდობა, არამედ საერთოდ არაფერი.

# პირნაავარდნილი ნაციონალი «ასავალ-დასავალის» ჟურნალისტებს ემუქრება




**გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტებმა 4 აპრილს პრესკონფერენცია გამართეს და მათ მიმართ მუქარაზე ისაუბრეს. ჟურნალისტმა ჯაბა ხუბუამ განაცხადა, რომ მას „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, „თავისუფალი ზონის“ ყოფილი წევრი ავთანდილ კემულარია ანგარიშსწორებით ემუქრება.**

„ავთანდილ კემულარია არის „თავისუფალი ზონის“ ყოფილი წევრი, რომელიც 2015 წელს თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ **ზაზა დავითაიას.** ამ საქმეზე კემულარიას მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. კემულარია ცნობილ იქნა სისხლის სამართლის დამნაშავედ და დაეკისრა ჯარიმის გადახდა 3000 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, ის კვლავ განაგრძობს „ასავალ-დასავალის“ და კონკრეტულად ჩემ მიმართ მუქარას. გამოაქვეყნა 200-კაციანი სია, სათაურით „ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან ქართული სახელმწიფოს განვითარებას“. იქ ჩამოთვლილი ადამიანები, მისი აზრით, ყველა დასახვრეტია. პირდაპირ დაწერა, რომ ტყვიას არ აქვს ხანდაზმულობის ვადა და არიან დასახვრეტები“, — განაცხადა ხუბუამ. მისი თქმით, კემულარია სოციალურ ქსელში წერდა, ემუქრებოდა და ამას კვლავ განაგრძობს:

**„სხვა გზა აღარ მრჩება, რომ მოვიდე და გაგლახო. სანამ ჩემით არ გაგლახავ, არ მოისვენებ“**, — ეს არის ძალადობის მუქარა, რის გამოც, ვაპირებ, მივმართო სამართალდამცავ ორგანოებს და შევიტანო საჩივარი პროკურატურაში კემულარიას წინააღმდეგ“, — აღნიშნა ჯაბა ხუბუამ.

**სეპარატიზმის მხრივ საფრანგეთს პრობლემა აქვს კორსიკასთან, ბასკებთან; რუმინეთს — ტრანსილვანიასთან; იტალიას — ჩრდილოეთ პროვინციებთან; სლოვაკეთს — უნგრელ უმცირესობასთან; ჩინეთს — ტაივანსა და ტიბეტთან; აშშ-ს — ტეხასის შტატთან; კანადას — ფრანგულენოვან კვებეკთან და ა.შ., მაგრამ ყველაზე მწვავე მაინც ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა (შოტლანდია, ჩრდილოეთი ირლანდია) და ბელგიაში (ფრანგულენოვანი ვალონია, ჰოლანდიურენოვანი ფლანდრია) შექმნილი ვითარებაა, რომელიც დაშლით ემუქრება ევროკავშირს.**

ჩას მოგვივა, დავითაო...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპული სეპარატიზმის (პუჩ)დემონი

**ორი წლის წინათ ესპანეთის საზღვრებს გარეთ ძალიან ცოტა ადამიანისთვის თუ იყო ცნობილი ეს სახელი და გვარი — კარლეს პუჩდემონ-ი-კაზამაჟო. დღეს კი მისი გამოსახულება ხშირად ჩანს გაზეთების პირველ გვერდებსა და ახალი ამბების სატელევიზო ეთერში. მადრიდში მას მიიჩნევენ, როგორც ესპანეთის №1-ელ მტერს, სახიფათო სეპარატისტს, რომელიც ძირს უთხრის ესპანეთის სამეფოს ტერიტორიულ მთლიანობას; ბარსელონაში კი მას მიიჩნევენ სუსტ ადამიანად, რომელიც თავისი ნელი მოქმედებითა და სიფრთხილით ღუპავს კატალონიის დამოუკიდებლობის საქმეს.**




**კარლეს პუჩდემონი** კატალონიის გენერალიტეტის (კატალონიის აღმასრულებელი ორგანო, შეიქმნა 1932 წელს. კატალონიის პარლამენტი კი უძველესია ევროპაში; შეიქმნა 1359 წელს) პრეზიდენტად 2016 წლის იანვარში აირჩიეს და ორ წელიწადზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში მოახერხა ჩაეტარებინა რეფერენდუმი (2017 წლის 1 ოქტომბერს), რომლის შედეგების მიხედვით კატალონიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა (2017 წლის 27 ოქტომბერს), მაგრამ ესპანეთის ხელისუფლებამ რეფერენდუმი უკანონოდ ჩათვალა, პუჩდემონისა და მისი მთავრობის 13 წევრის წინააღმდეგ კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ამბოხების მოწყობის მუხლით, რომელიც 30 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. პუჩდემონი ბელგიაში გაიქცა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა.

2018 წლის 25 მარტს პუჩდემონი, რომელიც ფინეთიდან ბრუნდებოდა, დანია-გერმანიის საზღვრების გადაკვეთისას გერმანიის პოლიციამ დააკავა და ამჟამად ის გერმანიაში იმყოფება.

კატალონიელების სეპარატისტული მოძრაობა მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერია. ის მყარ ეკონომიკურ ბაზისს, მდიდარ ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებს ეფუძნება. შუა საუკუნეებში კატალონია ყოველთვის სარგებლობდა ფართო უფლებებით ჯერ არაგონის, შემდეგ კი ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში, სანამ XVII-XVIII საუკუნეებში მადრიდი მათ შეკვეცას არ შეუდგა. 1714 წელს, როდესაც ესპანეთის ისტორიაში მკაცრი ცენტრალიზაციის ეპოქა დაიწყო, ყოველივე ავტონომიური გაუქმდა, ხოლო კატალონიური ენის გამოყენება აიკრძალა. საინტერესო ისტორიული ფაქტი: როდესაც ესპანური მემკვიდრეობისთვის გამართული ომის მიწურულს, 1713-14 წლებში, **ფილიპე V-მ** ბარსელონას ალყა შემოარტყა, ბრიტანელებმა, რომლებიც ადრე კატალონიელების მოკავშირეები იყვნენ (მაგრამ იმ მომენტში უკვე გაურიგდნენ ესპანეთის ახალ მონარქს), ქალაქი საზღვაო ბლოკადაში მოაქციეს. **ბრიტანეთის იმპერიის ისტორიაში ეს ვერაგობის ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითი იყო.**

XX საუკუნის 30-იან წლებში ესპანეთის დესტაბილიზაცია დაიწყო, კატალონიამ (აგრეთვე, ბასკების ქვეყანამ) ავტონომიური უფლებების მნიშვნელოვან გაფართოებას მიაღწია. ადგილობრივ ხელისუფლებას ცენტრალურთან მწვავე დაპირისპირება ჰქონდა, მაგრამ სამოქალაქო ომის პერიოდში ისინი მოკავშირეები გახდნენ. გენერალმა **ფრანკომ** გამარჯვების შემდეგ კატალონიის ავტონომია გააუქმა, ხოლო 4 ათასამდე კატალონიელი სიკვდილით დასაჯა. პროვინციის ათიათასობით მკვიდრი ციხეში აღმოჩნდა ან იძულებული შეიქნა, ქვეყნიდან გაქცეულიყო. წინააღმდეგობამ დიქტატურის მიმართ კატალონიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ელფერი შეიძინა. ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ ავტონომია აღადგინეს, ადგილობრივი მთავრობის უფლებები თანდათან გაფართოვდა, ისევე, როგორც ადგილობრივი ენის გამოყენების სფერო, რომელზეც დაახლოებით 7,5 მილიონი ადამიანი საუბრობს — ყოველივე რეგიონის ეკონომიკურ აღმავლობას დაემთხვა. კატალონია ესპანეთის ტერიტორიის 6,3%-ს იკავებს, ხოლო მოსახლეობა ესპანეთის მოსახლეობის 16%-ს შეადგენს, მაგრამ პროვინცია ქვეყნის საშინაო პროდუქციის 20%-ზე მეტს ქმნის და ექსპორტის მეოთხედზე მეტს უზრუნველყოფს. ამჟამად კატალონიასა და ბასკეთში ადგილობრივი ხელისუფლება აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების საკითხებს, ჰყავთ თავიანთი სამართალდამცავი ორგანოები, პარლამენტი. კატალონიასა და ბასკეთში ცხოვრების დონე უფრო მაღალია, ვიდრე ესპანეთის სხვა ავტონომიებში. ამის მიუხედავად, ადგილობრივი ელიტა ამით არ კმაყოფილდება და ესპანეთისგან სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვს.

ევროპის თანამედროვე საზღვრები კარლოს დიდის (742/747-814), ფრანკების მეფისა და ბავარიის ჰერცოგის, იმპერიის ნამსხვრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს შორის მრავალსაუკუნოვანი ომების შედეგად დადგინდა, თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, კეთილდღეობით სავსე ევროკავშირის ქვეყნებში დაძაბულობის უამრავი კერაა. მეტიც, ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად, დაძაბულობის კერების რაოდენობაც იმატებს.

სეპარატიზმის მხრივ **საფრანგეთს** პრობლემა აქვს კორსიკასთან, ბასკებთან, **რუმინეთს** — ტრანსილვანიასთან, **იტალიას** — ჩრდილოეთ პროვინციებთან, **სლოვაკეთს** — უნგრელ უმცირესობასთან, **ჩინეთს** — ტაივანსა და ტიბეტთან, **აშშ-ს** — ტეხასის შტატთან, **კანადას** — ფრანგულენოვან კვებეკთან და ა.შ., მაგრამ ყველაზე მწვავე მაინც ესპანეთში, **დიდ ბრიტანეთსა** (შოტლანდია, ჩრდილოეთი ირლანდია) და **ბელგიაში** (ფრანგულენოვანი ვალონია, ჰოლანდიურენოვანი ფლანდრია) შექმნილი ვითარებაა, რომელიც დაშლით ემუქრება ევროკავშირს.

საერთოდ კი, მსოფლიოში 300-მდე ხალხი ცხოვრობს (150 მილიონზე მეტი მოსახლეობით), რომლებიც რეალურად აცხადებენ პრეტენზიას ან ფორმალურად აქვს უფლება, განაცხადონ პრეტენზია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე.




**1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე პოტსდამში (გერმანია), ცეცილიენჰოფის სასახლეში გაიმართა ანტიჰიტლერული კოალიციის სამი სახელმწიფოს — სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის — ლიდერების შეხვედრა, რომელზეც მსოფლიოს ახალი წესრიგის, კონკრეტულად კი, ევროპის ახალი მოწყობის საკითხები განიხილეს, ანუ შეიმუშავეს გეოპოლიტიკური თამაშის ახალი წესები, რომლებიც „ცივი ომის“ (1950 წლიდან 1990 წლამდე) დაწყებისთანავე დაარღვია აშშ-მა, რომლის ძალისხმევითაც უზარმაზარი სახელმწიფო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, 1991 წელს 15 ნაწილად დაიშალა. ესენია: რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, მოლდოვა და თურქმენეთი. ამას მოჰყვა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომები და სეპარატისტული რეგიონების წარმოქმნა საქართველოში, ტაჯიკეთში, მოლდოვაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, მოგვიანებით — უკრაინაში, კერძოდ, ყირიმისა და დონბასის რეგიონში.**

***** აშშ-მა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა, სსრკ-ის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დანაწევრების შემდეგ, 1991-2006 წლებში, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციულ რესპუბლიკაში სისხლისმღვრელი ეთნიკური ომები გააჩაღეს, სერბეთი დაბომბეს და იუგოსლავია დაშალეს 6 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: სლოვენიად, ხორვატიად, ბოსნია-ჰერცეგოვინად, მაკედონიად, ჩერნოგორიად (მონტენეგრო), სერბეთად. იმავე პერიოდში იუგოსლავიის ავტონომიურ ოლქ კოსოვოში შევიდნენ გაეროს სამშვიდობო ძალები, თუმცა 1999 წელს აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა სამხედრო ძალის გამოყენებით კოსოვოს ოკუპაცია განახორციელეს და ეს ტერიტორია 2008 წელს სერბეთისგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს.

ამას ეწინააღმდეგებოდა რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის, რუსეთიც, რომელსაც, იუგოსლავიის დაშლით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპაში უკანასკნელი ბასტიონი წაართვა.

**ბევრს, ალბათ, ახსოვს 2008 წლის იანვრის ბოლოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება-გაფრთხილება, რომ კოსოვოს აღიარება მსოფლიოში პრეცედენტს შექმნის. იმავე 2008 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ უგუნური ნაბიჯები გადადგა, რომლებსაც შედეგად ცხინვალის რეგიონის დაკარგვა მოჰყვა. მანამდე კი აფხაზეთში განხორციელდა ეთნიკური წმენდა და ახლა ამ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია აღარ ვრცელდება.**

* აშშ-ისა და მისი ნატოელი მოკავშირეების, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის ძალისხმევით, რომლებიც 1991 და 2003 წლებში ერაყში ორჯერ შეიჭრნენ სხვადასხვა საბაბით და იქ სისხლის გუბეები დააყენეს, ერაყი დღეს რამდენიმე ნაწილად დაშლის პირასაა, განსაკუთრებით აქტიურობენ ქურთები, რომლებიც ამერიკის მხარდაჭერით ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნას მოითხოვენ.

*** 2011 წელს აშშ-მა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა დაბომბეს ლიბია, დაამხეს მუამარ კადაფის ხელისუფლება და ადრე ნავთობით მდიდარი და ეკონომიკურად აყვავებულ სახელმწიფოში დღეს სამოქალაქო ომია გაჩაღებული და რამდენიმე ქვეყნად იშლება.**

* დღესაც მიმდინარეობს სისხლისმღვრელი ბრძოლები სირიაში, სადაც ამერიკელები მხარს უჭერენ ქურთ სეპარატისტებს, რომლებიც სირიის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნას მოითხოვენ.

*** ამერიკელები მხარს უჭერდნენ ჩეჩნების სეპარატიზმს რუსეთში, კოლუმბიაში (პანამის თვითგამარჯვების მხარდაჭერა) ჩინეთში (ტაივანი) და ა.შ.**

ბევრი დასავლელი ექსპერტი მანიპულირებს „ხალხის თვითგამორკვევის“ უფლებით, მაგრამ არავინ ლაპარაკობს, რომ ეს „თვითგამორკვევა“ რეალიზებული უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ტერიტორიულ ფარგლებში. ამისთვის კი თითოეულმა სახელმწიფომ უნდა შექმნას თავისი „საშინაო თვითგამორკვევის“ სტანდარტები, რომლებიც შიგასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმებით იქნება უზრუნველყოფილი.

**ასე რომ, სეპარატისტული პუტჩის დემონი, კატალონიელ პუჩდემონში კი არა, აშშ-ში უნდა ვეძებოთ.**

მოამზადა
ლუკა მაისურაძემ

**ცნობისთვის:** კატალონია, ეკონომიკის მხრივ, ესპანეთის ყველაზე განვითარებული რეგიონია. კატალონიელები (7,5 მლნ — 2016 წლის აღწერის შედეგების მიხედვით) ესპანეთის მოსახლეობის (46,4 მლნ) დაახლოებით 16%-ს შეადგენენ, მაგრამ მთლიანი ეროვნული პროდუქტის 23%-ს აწარმოებენ.

რამდენიმე წლის წინათ კატალონიის მთლიანი შიგა პროდუქტი 170 მლრდ დოლარს აღემატებოდა, მოსახლეობის ერთ სულზე კი მშპ 24 858 დოლარი იყო (ამჟამად 27 613 ევროა), მიუხედავად ამისა, ამ მაჩვენებლით კატალონიას მხოლოდ მეოთხე ადგილი უკავია ესპანეთის ავტონომიებს შორის, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კატალონიის მშპ ტოლია ფინეთისა და დანიის მშპ-ს, ხოლო მეტია ირლანდიისაზე; მოსახლეობის ერთ სულზე მშპ იმდენივეა, რამდენიც გერმანიაში და მეტია საბერძნეთისა და პორტუგალიის მაჩვენებლებზე.

«ევროკავშირული სოლიდარობა»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა საპასუხო ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ — „ჟანგიანი“ ტანკებით შემოგრიხინდება ისევ, როგორც 2008 წელს; გამოაძევებს ასიათასობით ქართველს, რომელთა გადმორიცხული ფულით საქართველოში უამრავი ოჯახი სულდგმულობს; აკრძალავს თავის ბაზარზე ქართული ღვინის, მინერალური წყლებისა და პროდუქტების შეტანას და ამით მძლავრად დაარტყამს ისედაც გაჩანაგებულ საქართველოს ეკონომიკას? — ეს საქართველოსთვის „დამაშვრალ“ ბოკერიასა და თალაკვაძეს არ ადარდებთ. მათ მხოლოდ თავიანთი ამერიკელი პატრონების ზრახვების განხორციელება სურთ, იმ პატრონებისა, რომლებსაც საქართველო რუსეთთან დასაპირისპირებლად და ამ ქვეყნისთვის პრობლემების შესაქმნელად სჭირდებათ.**

# ვინ არის პირველი ვიოლინო სკრიპალების საქმეში

**„თქვენგან განსხვავებით, ჩვენ დოსტოევსკი წაგვიკითხავს. ჩვენ ის გვიყვარს და ვიცით. აი ფიოდორ მიხეილის ძის ციტატა: „ასი ბოცვრისგან არასოდეს გამოვა ცხენი, ასი ეჭვისგან არასოდეს შედგება მტკიცებულება. როგორც ერთი ინგლისური ანდაზა ამბობს, ეს მხოლოდ კეთილგონიერებაა, აი ვნებები კი, ვნებები შეეცადეთ, მოთოკოთ, იმიტომ, რომ გამომძიებელიც ადამიანია“. ასე უპასუხა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბორის ჯონსონს, რომელმაც პარალელი გაავლო რუსეთის მთავარი სამმართველოს ყოფილი თანამშრომლისა და ბრიტანეთის დაზვერვის „მი-6“-ის აგენტის — სერგეი სკრიპალის მოწამვლასა და ფიოდორ დოსტოევსკის რომან „დანაშაულსა და სასჯელს“ შორის. ჯონსონმა განაცხადა, რომ სკრიპალების საქმე ჰგავს „დანაშაული და სასჯელის“ დასაწყისს იმ თვალსაზრისით, რომ ყველამ იცის, ვინ არის დამნაშავე, ოღონდ საკითხავია: აღიარებს ამას თუ დაიჭერენ?“**



„ბორის, მითხარით, „დანაშაული და სასჯელი“ ბოლომდე წაიკითხეთ თუ მხოლოდ დასაწყისი და შემდეგ გაჩერდით? წაიკითხეთ დოსტოევსკი, თქვენთვის სასარგებლო იქნება“, — მიმართა **მარია ზახაროვამ** ფორინ-ოფისის ხელმძღვანელს, შემდეგ კი დასძინა, რომ ლონდონს აქამდე არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება სკრიპალების საქმეზე, ამასთანავე, თავს არიდებს რუსეთისთვის მომწამვლელი ნივთიერების სინჯების გადაცემას ექსპერტიზის ჩასატარებლად და უფლებას არ აძლევს რუსეთის საკონსულოს წარმომადგენლებს, მოინახულონ რუსეთის მოქალაქე **იულია სკრიპალი.**

მანამდე კი, 26 მარტს, მარია ზახაროვა გამოვიდა ტელეარხ „როსია-1“-ის გადაცემა „60 წუთში“ და დეტალურად ისაუბრა, რატომ წამოიწყო ეს პროპაგანდა დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც ხან ამბობს, რომ სკრიპალები მოწამლეს რესტორანში, ხან — ლუდხანაში, ხან — სახლში შესვლისას. ზახაროვამ ისაუბრა იმაზეც, **ვინ არის პირველი მევიოლინე სკრიპალების საქმეში:**

„ევროკავშირის რიგმა სახელმწიფოებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ლონდონს, მხარი დაუჭირეს მას თავიანთი ქვეყნებიდან რუსი დიპლომატების გაძევებაში. ამ ქვეყნების სია ბევრ რამეზე მიანიშნებს. რაზე მეტყველებს ციფრები: 60 კაცს აძევებენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, 23 კაცი კი უკვე გამოაძევეს დიდი ბრიტანეთიდან, სხვა ქვეყნებიდან კი — 1-დან 3-4 ადამიანამდე, უკრაინის შემთხვევაში (უკრაინაში 13 რუს დიპლომატს აუკრძალეს მოღვაწეობა — ნ.კ.) ყველაფერი გასაგებია. ეს რეჟიმი, უკვე დიდი ხანია, სოლიდარიზებულია შესაბამის სახელმწიფოსთან. **60 და 23 — ეს რიცხვები რომ არა, დღეს ვიმარჩიელებდით იმაზე, საიდან მოდის ეს საშინელი, ჯოჯოხეთური პერფორმანსი, რომელიც მოაწყო ლონდონმა, და სინამდვილეში ვინ არის ამ ვითარების ბენეფიციარი.** დღეს, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ეს ციფრები, **ეჭვის ნატამალიც აღარ რჩება, რომ უკან პროვოკაციისა, რომელიც მოაწყვეს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, დგანან მძლავრი ძალები, რომლებიც არიან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში.** აი მოტივი ჩვენს ქვეყანაზე შეტევის გაგრძელებისა საინფორმაციო, პროპაგანდისტული, პოლიტიკური და სხვა მიმართულებებით. სხვა ვარიანტს ეს განლაგება (სხვადასხვა ქვეყნიდან დიპლომატების გაძევების რაოდენობები — ნ.კ.) არ იძლევა. დანარჩენი ქვეყნები არიან ყბადაღებული „ევროკავშირული სოლიდარობის“ წარმომადგენლები და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რატომ? — დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი **ტერეზა მეი** ჩავიდა ევროკავშირის სამიტზე, რათა მოეწოდებინა სოლიდარობისკენ, ანუ მხარდაჭერისკენ საგარეო-პოლიტიკური კურსისა, რომელიც კანონია ევროკავშირის ქვეყნებისთვის, მაგრამ ყველას დაავიწყდა, რომ დიდი ბრიტანეთი გამოვიდა ევროკავშირიდან, დიდმა ბრიტანეთმა რეფერენდუმით მხარი დაუჭირა „ბრექსიტს“ — გამოსვლას ევროკავშირიდან. ევროკავშირის სამიტზე დიდმა ბრიტანეთმა მოითხოვა, სოლიდარობა გამოეცხადებინა ყველა ქვეყანას, რომლებიც დარჩნენ ევროკავშირში, მიუხედავად იმისა, რომ თვით ბრიტანეთი ტოვებს ამ გაერთიანებას. **ქვეყნები კი, რომლებმაც მიიღეს ის, რაც სურდათ, სახელდობრ, გააძევეს თავიანთი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი რუსი დიპლომატი, არიან აშშ და დიდი ბრიტანეთი.** ამ ქვეყნებში რომელი პოლიტიკური ძალები დგანან ამ რუსოფობური კამპანიის უკან, ყველასთვის ცნობილია...

**ევროკავშირის სამიტზე, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, დიდ ბრიტანეთს ქვეყნებისთვის არანაირი ფაქტობრივი ინფორმაცია არ მიუწოდებია იმის შესახებ, რაც მოხდა მათ ტერიტორიაზე. იყო მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები და ლოზუნგები, მოთხოვნა, რომ სოლიდარობა გამოეცხადებინათ ამ პოზიციისთვის. ამრიგად, ამ ქვეყნებს წარმოდგენაც არ აქვთ, რა მოხდა ბრიტანეთში.**

**ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსი დიპლომატის გაძევების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო ორმაგი აგენტის — რუსეთის დაზვერვის ყოფილი თანამშრომლისა და ბრიტანეთის დაზვერვის აგენტის მოწამვლის და არა არჩილ ტატუნაშვილის დაღუპვის გამო**



Support The Guardian | Subscribe | Find a job | Sign in | Search

International edition

The Guardian

News | Opinion | Sport | Culture | Lifestyle

World | UK | Science | Cities | Global development | Football | Tech | Business | Environment | Obituaries

Science

## The past Porton Down can't hide

**As an inquest reopens into the death of a young airman 51 years ago, Rob Evans reveals the secrets of Britain's nerve gas tests**

Advertisement

Rob Evans

Thu 6 May 2004

Tucked away in 7,000 acres of beautiful Wiltshire countryside lies one of Britain's most infamous scientific establishments. Porton Down, founded in 1916, is the oldest chemical warfare research installation in the world. The tight secrecy which has surrounded the establishment for decades has fed the growth of all sorts of myths and rumours about its experiments. One Whitehall official once remarked that Porton had an image of "a sinister and nefarious establishment".

ახლა იმაზე, რაც ხდება გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე, უშუალოდ **პორტონ დაუნზე**, რომელიც უცნაურად აღმოჩნდა ახლოს იმ ადგილთან, სადაც მოხდა თავდასხმა სკრიპალებზე.

2004 წლის 6 მაისს გაზეთმა „გარდიანმა“ გამოაქვეყნა **როზ ევანსის** მასალა, რომელიც ახლაც ხელმისაწვდომია და, ვიმედოვნებ, ამ გადაცემის შემდეგ არ წაშლიან „გარდიანის“ ვებგვერდიდან. ეს მასალა ეძღვნება ბაზა პორტონ დაუნს. **2004 წელს ეს მასალა დაიბეჭდა იმიტომ, რომ ამ წლის გაზაფხულზე განახლდა გამოძიება ახალგაზრდა მფრინავის სიკვდილის საქმისა, რომელიც გარდაიცვალა იმიტომ, რომ მასზე ჩაატარეს ექსპერიმენტი ქიმიური ნივთიერების გამოყენებით. მას ხელზე აწვეთებდნენ ნერვების დამბლის გამომწვევ ნივთიერებებს.** ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა. კიდევ ვიმეორებ: ეს არ არის რუსული პროპაგანდა, ეს არ არის კრემლის ხელი, ეს არის გაზეთი „გარდიანი“, ბრიტანული გამოცემა.

**პორტონ დაუნი დაარსდა 1916 წელს და მსოფლიოში უძველესი დაწესებულებაა, რომელიც აწარმოებს ქიმიური იარაღის კვლევებს. ეს არ არის უბრალო ქიმიური ლაბორატორია, ეს არის ადგილი, რომელშიც, როგორც გაზეთი წერს, ატარებენ ცდებს ადამიანებზე. ბრიტანელი ჟურნალისტის მონაცემებით, მსოფლიოში ყველაზე მეტი ექსპერიმენტი ადამიანებზე სწორედ პორტონ დაუნში ჩაატარეს.** ეს დიდი ბრიტანეთია. გაზეთი წერს, რომ საცდელ ბოცვრებად ჰყავდათ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც მოტყუებით ითანხმებდნენ ცდებში მონაწილეობაზე და მათი ჯანმრთელობა ძალიან დააზიანეს. ამ დაწესებულებაში დაამუშავეს უამრავი მასალა ნერვების დამბლის გამომწვევი აირების გავლენის შესახებ ადამიანის ორგანიზმზე. „ამ მონაცემების მიხედვით, — წერს „გარდიანი“, — პორტონ დაუნმა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისთვის შეიმუშავა ქიმიური იარაღისგან თავდაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალება“.

ჩვენ ეს საკითხი ქიმიური იარაღის ამკრძალავ ორგანიზაციაში დავაყენეთ, ვსაუბრობთ ამის შესახებ კოლეგებთან, მაგრამ საქმე ის არ არის, რომ ევროკავშირში მოქმედებს ჯოხის მოღერების დისციპლინა, და ვიცით, ვინც დგას ევროკავშირის უკან, ევროკავშირის უკან დგას ნატო. **ევროკავშირი — ეს არის ლამაზი პოლიტიკური ზედნაშენი, რომელიც, სამწუხაროდ, ვნახეთ რამდენიმე ვითარებაში, უკრაინის მიმართ, სირიის მიმართ, პრინციპულად ვერაფერს წყვეტს. ეს არის პოლიტიკური ზედნაშენი, ლამაზი ვიტრინა, რომლის უკანაც დგას მძლავრი გაერთიანება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სახით. მათი ძირითადი მიზანი რუსეთის დემონიზაციაა და, რასაც დღეს ვხედავთ, ეს არის გაგრძელება აღვირახსნილი რუსოფობიისა, თანაც არა მხოლოდ რუსეთის, როგორც ქვეყნის, არამედ რუსი ხალხის წინააღმდეგ. რაც შეეხება პასუხს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს დიდ ბრიტანეთს, მათ მიმართ პასუხი ადეკვატური იქნება“.**

მარია ზახაროვას გამოსვლაში ნათლად ჩანს, ვის სჭირდებოდა ეს აურზაური და ვინ არის პირველი ვიოლინო სკრიპაჩ-სკრიპალების (სკრიპაჩ — მევიოლინე) საქმეში — დიდ ბრიტანეთს ნამდვილი სოლიდარობა მხოლოდ აშშ-მა გამოუცხადა.

აღსანიშნავია, რომ მომწამვლელი ნივთიერებების საკვლევი ცენტრიდან პორტონ დაუნის დირექტორი **გერი ეიტკენჰედი** გაღიზიანებულია რუსეთის ოფიციალური პირების ეჭვებით: „ლაბორატორიიდან ტოქსიკური ნივთიერების არანაირი გაჟონვა არ მომხდარა, და ის ფაქტი, რომ სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი მოწამვლის შემდეგ ლაბორატორიასთან ახლოს იპოვეს, დამთხვევაა“, — განუცხადა ეიტკენჰედმა „ბი-ბი-სის“. **გასაგებია პორტონ დაუნის საკვლევი ცენტრის შეფის გაღიზიანება, რადგან გამოძიება არ ჩატარებულა და მომწამვლელი ნივთიერების გაჟონვის მტკიცებულებები არ არსებობს, მაგრამ რა, განა დანაშაულის პრეზუმპციის დარღვევით არ გამოაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა რუსეთი მთავარ დამნაშავედ?**

და კიდევ — გავრცელდა ინფორმაცია, რომ იულია სკრიპალი გამოჯანმრთელდა. სამხედრო ექსპერტების აზრით კი, „ნოვიჩოკით“ (სწორედ „ნოვიჩოკის“ — ნერვების დამბლის გამომწვევი ნივთიერებით — მოწამვლაში ადანაშაულებენ ბრიტანელები რუსეთს) მოწამლული ადამიანი ცოცხალი ვერ გადარჩება...

**ფაქტების, სამხილებისა და მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად, დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა, ქვეყნიდან გაეძევებინა 23 რუსი დიპლომატი, მას მხარი დაუჭირა აშშ-მაც, რომელმაც 60(!) რუსი დიპლომატის გაძევება მოისურვა, თუმცა მოგვიანებით განაცხადა, რომ ამ დიპლომატების გაძევების გადაწყვეტილება მიიღეს არა სკრიპალების საქმის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჯაშუშურ საქმიანობაში არიან შემჩნეული და მათ ნაცვლად ახალ 60 რუს დიპლომატს ელოდებიან როტაციის პრინციპით(!)...**

**თუ ლიტერატურულ პარალელებს გავავლებთ, როდიონ რასკოლნიკოვს ზუსტად შეეფერება ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი ტონი ბლერი. სწორედ მან მიიღო 2003 წელს გადაწყვეტილება ერაყის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებების დაწყებაზე იმ საბაბით, რომ ამ ქვეყანას თითქოს ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი. ყველამ იცოდა, რომ ერაყს ასეთი იარაღი არ ჰქონდა, მაგრამ თავი მოიკატუნეს და უხმოდ გამოუცხადეს სოლიდარობა ბრიტანეთს. შემდეგ ბლერმა, ისევე, როგორც რასკოლნიკოვმა, მოიბოდიშა და განაცხადა, რომ ჩადენილს ნანობს.**

სამარცხვინო ფაქტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ეს განცხადება საყურადღებო უნდა იყოს ამერიკის მარიონეტი საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომელმაც, ქართული ანდაზისა არ იყოს, „კუმ ფეხი გამოყო, — მეც ნახირ-ნახირო“, შვეიცარიის საელჩოში რუსეთის ინტერესების სექციიდან რუსი დიპლომატის გაძევება მოითხოვა.

აი ასე გამოეხმაურა სააკაშვილს სისხლიანი რეჟიმის იდეოლოგი, ამჟამად „ოპოზიციური“ პარტია „ევროპული საქართველოს“ ლიდერი **გიგა ბოკერია** საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას რუსი დიპლომატის გაძევების შესახებ:

„ეს არის შედეგი იმ საზოგადოებრივი აზრის, რომელიც არსებობს დღეს საქართველოში. ეს არის სწორი ნაბიჯი. ახლა მთავარია, რომ ჩვენი მთავრობა, რომელიც აქამდე არათანმიმდევრული იყო ამ საკითხებში, რასაც ის საზიანო და მავნებლური წერილი ადასტურებს, დღეიდან მაინც აღარ დაუბრუნდეს იმ გზას, რომ რუსეთთან ენის მოჩლექვით ლაპარაკით შეიძლება ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინ წაწევა და არ დაუბრუნდეს იმ გზას, რომ ჩვენი საზოგადოება დააშინოს ომის შიშით“.

„ეს ფაქტი არის მხარდაჭერისა და სოლიდარობის გამოხატვა კონკრეტულად ბრიტანეთის მიერ გადადგმული ნაბიჯის მიმართ. რუსი დიპლომატის გაშვება არის ამ სოლიდარობის დასტური“, — ეს კი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის — **არჩილ თალაკვაძის** განცხადებაა.

რუსი დიპლომატების გაძევებაზე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის, აგრეთვე, მათი ევროპელი მარიონეტების გადაწყვეტილებების შემდეგ რუსეთის პასუხმაც არ დააყოვნა. რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, გააძევოს დიპლომატები იმ ქვეყნებისა, რომლებმაც თავიანთი სახელმწიფოებიდან რუსი დიპლომატები გააძევეს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ ქვეყნების ელჩები დაიბარეს და საპროტესტო ნოტები გადასცეს. მანამდე ცნობილი შეიქნა, რომ რუსეთი 60 ამერიკელ დიპლომატს აძევებს და სანქტ-პეტერბურგში აშშ-ის საკონსულოს ხურავს.

„30 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს ავსტრალიის, ალბანეთის, გერმანიის, დანიის, ირლანდიის, ესპანეთის, იტალიის, კანადის, ლატვიის, ლიტვის, მაკედონიის, მოლდოვის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, უკრაინის, ფინეთის, საფრანგეთის, ხორვატიის, ჩეხეთის, შვედეთისა და ესტონეთის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები. **იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო მომენტში ჩამოთვლილ ქვეყნებს შეუერთდნენ ბელგია, უნგრეთი, საქართველო და მონტენეგრო, რუსეთი იტოვებს უფლებას, ამ სახელმწიფოების მიმართ საპასუხო ნაბიჯები გადადგას“,** — ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

და **რა საპასუხო ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ — „ჟანგიანი“ ტანკებით შემოგრიხინდება ისევ, როგორც 2008 წელს; გამოაძევებს ასიათასობით ქართველს, რომელთა გადმორიცხული ფულით საქართველოში უამრავი ოჯახი სულდგმულობს; აკრძალავს თავის ბაზარზე ქართული ღვინის, მინერალური წყლებისა და პროდუქტების შეტანას და ამით მძლავრად დაარტყამს ისედაც გაჩანაგებულ საქართველოს ეკონომიკას? — ეს საქართველოსთვის „დამაშვრალ“ ბოკერიასა და თალაკვაძეს არ ადარდებთ. მათ მხოლოდ თავიანთი ამერიკელი პატრონების ზრახვების განხორციელება სურთ, იმ პატრონებისა, რომლებსაც საქართველო რუსეთთან დასაპირისპირებლად და ამ ქვეყნისთვის პრობლემების შესაქმნელად სჭირდებათ.** თვითონ კი, ღმერთმა ნუ ქნას, საომარი კონფლიქტი რომ დაიწყოს, საქართველოდან გადაიხვეწებიან და ქართველ ხალხს უზარმაზარ სამხედრო მანქანას შეატოვებენ.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვეტილება რუსი დიპლომატის გაძევების თაობაზე მიიღო რუსეთის დაზვერვის ყოფილი თანამშრომლისა და ბრიტანეთის დაზვერვის აგენტის მოწამვლის და არა არჩილ ტატუნაშვილის დაღუპვის გამო. ეს „გულდათუთქული პატრიოტები“ მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებიან — გაატარონ ამერიკელი პატრონების ინტერესები, საქართველო კი ფეხებზე ჰკიდიათ.

ისე, **რომელმა ქვეყანამ გააძევა რუსი დიპლომატები, როცა ჩვენმა ქვეყანამ ტერიტორიები დაკარგა ან როცა არჩილ ტატუნაშვილი დაიღუპა? ან ვინმე ხელისუფლებიდან დაფიქრდა, რას მოგვიტანს რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება? მაგრამ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ ოპოზიციას ხომ დასავლელი პატრონების შიშით გონება აქვთ დახშული.**

სხვათა შორის, ეს ის არჩილ თალაკვაძეა, რომელმაც, გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობისას, 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 8 სექტემბრამდე, 237 354 ლარი „გამოიმუშავა“ — თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, რომელიც იმ პერიოდში 54 400 ლარი იყო, სახელფასო დანამატები ბევრჯერ აიღო.

გიგა ბოკერიას „პატრიოტულ“ საქმიანობაზე კი მოგვითხრობს ფრანგული ტელეარხის — „Canal+“-ის ჟურნალისტების მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „რევოლუცია. კომ. აშშ: აღმოსავლეთის დაპყრობა („USA: The Conguest of the East“), რომელშიც ნაჩვენებია აშშ-ის სამხედრო დაზვერვის ოფიცრის — **ბრუს ჯექსონის** „თბილი ურთიერთობა გიგა ბოკერიასთან, აგრეთვე, სააკაშვილთან...

ასე რომ, თავისუფლების ინსტიტუტში გამოზრდილი და ამერიკულ დემოკრატიას ნაზიარებ გიგა ბოკერიასგან, არც „ნაცმოძრაობის“ ყოფილი მხარდამჭერ არჩილ თალაკვაძისგან არ უნდა გაგვიკვირდეს რუსი დიპლომატების გაძევების მოთხოვნა (და ამით ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება), არა არჩილ ტატუნაშვილის დაღუპვის, არამედ ბრიტანეთის სპეცსამსახურის აგენტის მოწამვლის გამო...

**ნიკა კორინთელი**

# «ამხანაგო ჯონსონ, რას აკეთებდნენ პატივცემული ლორდები, სერები და პერები ჰიტლერთან სტუმრობისას 1936 წელს?»

**„როგორც გახსოვთ, კვირის დასაწყისში, — პირდაპირ დაიწყო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ყოველკვირეული ბრიფინგი 29 მარტს, — დიდ სიურპრიზს დავპირდით დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომლის ხელმძღვანელმა ბორის ჯონსონმა 2018 წელს რუსეთში გასამართი საფეხბურთო ჩემპიონატი 1936 წლის ნაცისტურ ოლიმპიადას შეადარა.**



მაშ ასე, 14 მარტს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ტერეზა მეიმ** განაცხადა, რომ 2018 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე რუსეთში არ ჩამოვლენ სამეფო ოჯახის წევრები.

21 მარტს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ბორის ჯონსონი** საერთაშორისო საქმეების საპარლამენტო კომიტეტის წევრების წინაშე გამოსვლისას დაეთანხმა მოსაზრებას, რომ რუსეთში გასამართი საფეხბურთო ჩემპიონატი შეიძლება შეადარონ 1936 წლის ოლიმპიურ თამაშებს მესამე რაიხში.

ახლა პასუხი:

თუ თქვენ, **ამხანაგო ჯონსონ**, ეს თამაშები ერთმანეთს შეადარეთ მათი ორგანიზების დონის მიხედვით, მაშინ ეს თვითკრიტიკაა, ვიდრე ჩხვლეტა, რადგან იმხანად **საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად შეაქო ნაცისტები ამ თამაშების მაღალ დონეზე მომზადებისა და ჩატარების გამო.** თუ თქვენ, ბორის ჯონსონ, მხედველობაში გაქვთ არა სპორტი ან თამაშების ორგანიზება, არამედ პოლიტიკური ვითარება, მაშინ ეს კიდევ უფრო მეტი თვალთმაქცობაა, **იმ პერიოდის გერმანია და მისი წყობილება ხომ ძალიან უყვარდა თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას?! ამ ფაქტის დემონსტრირებისთვის ყველა ბრიტანელს შევახსენებ იმ ნაცისტურ ოლიმპიადაზე დიდი ბრიტანეთის ოფიციალური წარმომადგენლების რაოდენობის მასშტაბს...**

ოფიციალური რეიხის მიერ 1936 წელს გამოშვებული ბროშურის თანახმად, რომელიც ახლა ხელში მიჭირავს და ეს ძალიან არასასიამოვნოა, ოლიმპიურ თამაშებს ესწრებოდა დიდი ბრიტანეთის ნაღები საზოგადოების უამრავი წარმომადგენელი.

კერძოდ, ლორდი **პორტალ ლავერსტოკი** და კაპიტანი **ევან ჰანტრი** — ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი და მისი გენერალური მდივანი; ოლიმპიური კომიტეტის წევრები: **ლორდი აბერდარი**, ლორდი **დევიდ ბერგლი**, სერ **ნოელ ბენეტი, უილიამ ჯონსი**, სერ **უილიამ ბერტონი**, მაიორი **ჰეკსტარ სმიტი** — კალათბურთისა და აფროსნობის საერთაშორისო ფედერაციების გენერალური მდივნები. ისინი პირადად შეხვდნენ ნაცისტური გერმანიის ოფიციალურ პირებს და მათთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებაში.

მაგრამ ყველაზე თვალთმაქცური და ფარისევლური, იცით, რა არის? — ის, რომ **ისინი, ბრიტანეთის დიპლომატიური კორპუსისგან განსხვავებით, რომელიც მესამე რაიხში სამუშაოდ იმყოფებოდა, იქ თავიანთი სურვილით ჩავიდნენ.** ბერლინში, ჰიტლერთან 1936 წელს ისინი ჩავიდნენ, როგორც ბრიტანეთის ისტებლიშმენტის წარმომადგენლები, როგორც ლორდთა პალატის წევრები, როგორც არისტოკრატები სახელმწიფოში, რომელიც 1936 წელს უკვე მოწამლული იყო შესაბამისი იდეოლოგიით; მეტიც — იმ მომენტში, როდესაც ბრიტანეთის სამეფო კარმა თავისი ჩასვლით პატივი დასდო რეიხს, იქ უკვე შექმნილი იყო საკონცენტრაციო ბანაკები და მოქალაქეების მიმართ მოქმედებდა ნიურნბერგის რასობრივი კანონები.

**და ამის შემდეგ ბრიტანეთს ჰყოფნის თავხედობა, რამე გვითხრას? სხვათა შორის, საბჭოთა კავშირი, ბრიტანეთისგან განსხვავებით, ნაცისტურ ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობდა თავისივე ინიციატივით.** ამის გამო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უარს ამბობდა სსრკ-თან კონტაქტზე 1951 წლამდე, სამაგიეროდ, განაცხადა, რომ „ნაცისტურ გერმანიაში თამაშებით უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული“.

**ჯონსონ,** არ მიგაჩნიათ სამარცხვინოდ, ან როგორც თქვენ გიყვართ ხოლმე თქმა, არ „იწვევს გულისრევას“ ამდენი ბრიტანელი უმაღლესი ფუნქციონერის მონაწილეობა 1936 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნაში? **რას აკეთებდნენ ეს პატივცემული ლორდები, სერები და პერები ჰიტლერთან სტუმრობისას? მოუყვებით თქვენს ქვეყანას ისტორიის ამ სახელოვანი ფურცლების შესახებ?**

რაც შეეხება ბორის ჯონსონის მიერ გავლებულ პარალელს სკრიპალების საქმესა და დოსტოევსკის „დანაშაულსა და სასჯელს“ შორის, ამ ნაწარმოების პერსონაჟი, გამომძიებელი (პორფილე) გულმოდგინედ იძიებს მკვლელობას, ბრიტანეთმა კი ყველა საერთაშორისო ნორმის უგულებელყოფითა და მტკიცებულებების გარეშე რუსეთი გამოაცხადა ამ მოწამვლის მონაწილედ. ლონდონს აქამდე, არათუ რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რაღაც სურათიც კი არ დაუხატავს, როგორ მოხდა ეს ყველაფერი. მიუხედავად ამისა, დაიწყო მასშტაბური პოლიტიკური და პროპაგანდისტული კამპანია.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ რუსეთს ამ ინციდენტთან არაფერი აკავშირებს და, თუ ლიტერატურულ პარალელებს გავავლებთ, **როდიონ რასკოლნიკოვს** ზუსტად შეეფერება ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი **ტონი ბლერი.** სწორედ მან მიიღო 2003 წელს გადაწყვეტილება ერაყის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებების დაწყებაზე იმ საბაბით, რომ ამ ქვეყანას თითქოს ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი. ყველამ იცოდა, რომ ერაყს ასეთი იარაღი არ ჰქონდა, მაგრამ თავი მოიკატუნეს და უხმოდ გამოუცხადეს სოლიდარობა ბრიტანეთს. შემდეგ ბლერმა, ისევე, როგორც რასკოლნიკოვმა, მოიბოდიშა და განაცხადა, რომ ჩადენილს ნანობს.

პირადად ჯონსონს შევახსენებ მის ნათქვამს:

**„მე მეკისრება სრული პასუხისმგებლობა ყველა შეცდომაზე, ყოველგვარი თავის მართლების გარეშე. ულრმეს მწუხარებას გამოვხატავ ერაყში განხორციელებული ოპერაციის მსხვერპლთა მიმართ“...**

ბატონო ბორის, თქვენც გამონახავთ საკუთარ თავში ძალებს და ზუსტად ასე გაბედავთ მონანიებას, რომ რუსეთის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს?

გელოდებით...“

# ჰაილ ჰიტლერ! ზიგ ჰაილ!

**მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ჯონსონი შეეცადა, პარალელი გაევლო ფაშისტურ გერმანიაში 1936 წელს ჩატარებულ ოლიმპიადასა და რუსეთში მიმდინარე წელს გასამართ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს შორის, აშშ-ში რუსეთის საელჩომ გამოაქვეყნა 1936 წელს ინგლისსა და გერმანიას შორის ბერლინში გამართული ამხანაგური(!) მატჩის ამსახველი ვიდეო.**



ვიდეოკადრებში კარგად ჩანს, როგორ ესალმებიან ტრიბუნაზე შეკრებილ საზოგადოებას ინგლისელი ფეხბურთელები ნაცისტური ჟესტით — მარჯვენა ხელის მაღლა აწევით. აღსანიშნავია, რომ ეს ამხანაგური(!) მატჩი გაიმართა მსოფლიო ომის დაწყებამდე 1 წლითა და 4 თვით ადრე — 1938 წლის 14 მაისს.

ამ ვიდეოს გამოქვეყნების შემდეგ თვით ბრიტანელები წერდნენ სოციალურ ქსელებში, რომ ჯონსონის განცხადება ფარისევლობის აპოგეაა.

**გვერდები მოამზადა ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჰიტლერი, მუსოლინი, ფრანკო, მაო ძედუნი, ჩან კაიში, კიმ ირ სენი, ბროზ ტიტო — ეს ის აისბერგები არიან, რომლებიც დიდხანს იდრეიფებენ მსოფლიოს პოლიტიკის ისტორიის ოკეანეში. სად არის ამ დროს „ყველაზე დიდი დიქტატორი დიქტატორთა შორის" (ჩერჩილი) — ამხანაგი სტალინი? თუ აისბერგებს გლობალური დათბობის შემთხვევაში წყლად გადაქცევა ელის, სტალინს თავზე ვერასოდეს გადაუვლის ტალღა, რადგან ის თავისი პოლიტიკური სიმაღლითა და „საქმენით მისით" ჯომოლუნგმას აღემატება და ასეთადვე დარჩება.**

# სტალინი და ფრანკო

**ახლახან ესპანეთში ვიმოგზაურე და მინდა, გაგიზიაროთ შთაბეჭდილებები და მოგაწოდოთ საინტერესო ცნობები სტალინისა და ესპანეთის, სტალინისა და ფრანკოს შესახებ.**

უცნაურია ძლიერი ნებისყოფისა და გაბედული ადამიანების ხვედრი და მომავალი, სჭირდებიან თუ არა ისინი ქვეყანას? — ვფიქრობ, უსათუოდ სჭირდებიან. ისინი ხომ გმირები არიან, რომლებიც ისტორიას ქმნიან. ისტორია კი, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ზუსტი აღწერა და დამახსოვრება, კაცობრიობას განვითარებისთვის, პროგრესისთვის სჭირდება.

**ფრანსისკო პაულინო ერმენეხილდო ტეოდულო ფრანკო ბაამონდე** 1892 წლის 4 დეკემბერს დაიბადა ესპანეთში, გალისიის პროვინცია ლა-კორუნიას ქალაქ ელ-ფეროლში, გარდაიცვალა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში 1975 წლის 20 ნოემბერს (ეჭვობენ, რომ მოწამლეს).

ფრანკო სუსტი აღნაგობის დაბალი ახალგაზრდა იყო. მისი სიმაღლე მხოლოდ 1 მეტრსა და 64 სანტიმეტრს აღწევდა. ტოლებში ყოველთვის დაჩაგრულად გამოიყურებოდა. ალბათ, ამან მისცა ბიძგი ახალგაზრდას, შორეული ნაოსნობის მეზღვაური გამხდარიყო, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში გაპარტახებულ ესპანეთის ფლოტს აღარ სჭირდებოდა საზღვაო აკადემიის კურსანტები და ფრანკოს სურვილიც აუსრულებელი დარჩა, ამიტომ გადაწყვიტა, სახმელეთო სამხედრო შენაერთში ემსახურა. ჯარში ყოფნის პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა ჯარისკაცმა არნახული სიმამაცე, სიმარჯვე და ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა, მას ხიშტით ბრძოლაში ბადალი არ ჰყავდა თავის ნაწილში. **ფრანკო ყველაზე ახალგაზრდა ოფიცერია ესპანეთის სამხედრო საქმის ისტორიაში — 23 წლის იყო, როდესაც კაპიტნის წოდება მიანიჭეს. 1916 წელს მძიმედ დაიჭრა მაროკოში გამართულ შეტაკებაში. მისმა სიმამაცემ მებრძოლებს შორის უზარმაზარი ავტორიტეტი მოუტანა და წარადგინეს კიდეც სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოზე. ის, 24 წლისა, ყველაზე ახალგაზრდა მაიორი (კომანდანტე) გახდა, ხოლო 33 წლისა — ყველაზე ახალგაზრდა გენერალი ესპანეთის ისტორიაში.**

მაროკოში ომი ფრანკოსათვის იღბლიანი გამოდგა — საბრძოლო მოწოდება: **„ან კუბო, ან გენერლის ოქროს ქამარი!"** ფრანკოსთვის გენერლის ქამრით დასრულდა. დიდი და მრავლისმომცველია ფრანკოს წარმატებული სამხედრო მოქმედებების ნუსხა და მათი ჩამოთვლით მკითხველს აღარ დავღლი, მე სხვა მხრივ მინდა დავახასიათო ფრანკო.

ფრანკოს სამხედრო კარიერისთვის არასოდეს გადაუხვევია. ის ყოველთვის არაპოლიტიკური იყო, მაგრამ მეორე რესპუბლიკის პერიოდში პრემიერმინისტრ **მანუელ ასანია-ი-დიასის** მიერ სამხედრო აკადემიის დახურვისას, რომლის დირექტორიც ფრანკო გახლდათ, მის მიერ კადეტებთან დასამშვიდობებლად წარმოთქმული სიტყვა პრემიერმინისტრმა შეურაცხყოფად მიიღო და ფრანკო 6 თვის განმავლობაში ჩამოაშორეს ყოველგვარ სამხედრო საქმეს და მეთვალყურეობა დაუწესეს. ალბათ, სწორედ ეს იყო ის ნაპერწკალი, რომელმაც ფრანკოში პოლიტიკური ალი აანთო.

**ესპანეთში სამოქალაქო ომი 1936 წლის ივლისში დაიწყო და 1939 წლის აპრილში დამთავრდა ფრანკოს გამარჯვებით, ამიტომ ფრანკოს ოფიციალურ ბიოგრაფიაში ესპანეთის პირველი პირის (კაუდილიო. „ბელადი" — ფრანკოს ოფიციალური ტიტული) თანამდებობაზე მისი ყოფნის დაწყების თარიღად წერია 1939 წლის 1 აპრილი, ხოლო დასასრულად — ფრანკოს გარდაცვალების დღე — 1975 წლის 20 ნოემბერი.**

მრავალპარტიულობამ და ხელისუფლების გაუთავებელმა ცვლამ (11-ჯერ შეიცვალა) სრულიად მოშალა, როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე ქვეყნის ეკონომიკაც, ესპანეთი უკიდურესად ღარიბი ქვეყნების რიგში ჩადგა. ფრანკომ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შეძლო, თავისი მმართველობის ქვეშ გაეერთიანებინა იდეოლოგიურად ერთმანეთისთვის მიუღებელი პოლიტიკური ძალები ერთ პარტიაში, რომელიც 1939 წელს ერთადერთ ლეგალურ პარტიად იქცა. ფრანკოს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი — **მარია დელ კარმენი.** მისი ქმარი იყო ფრანკოს მრჩეველი, რომელიც მოხერხებულად უპირისპირებდა ერთმანეთს ფრანკოს საწინააღმდეგოდ განწყობილ ადამიანებსა და პარტიებს. თვითონ ფრანკომ კი თავი წარმოადგინა, როგორც **„ქრისტიანული ევროპის დამცველად ათეისტური კომუნიზმისაგან".**

ფრანკომ რამდენიმე ბრძოლა გადაიხადა და მოიგო. ის მტრის გვამებს თავის ხელით აჭრიდა თავს. ქუჩებში, მოედნებსა თუ სახლებში რამდენიმე რესპუბლიკელი სოციალისტი თუ ანარქისტი ჰყავს დახვრეტილი. დიქტატორი პასუხს აგებდა მხოლოდ ღმერთთან, ასეთად იცნობდა ესპანელი ხალხი ფრანსისკო ფრანკოს 1939 წლის 1 აპრილიდან 1975 წლის 20 ნოემბრამდე. **მეორე მსოფლიო ომში ესპანეთი არ გაერთიანებულა გერმანიასა და იტალიასთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ არ ჩავთვლით ესპანელი მოხალისეების ე.წ. ცისფერ დივიზიას, რომელიც გერმანელთა მხარეს იბრძოდა, მაგრამ ეს სამხედრო შენაერთი 1943 წელს ფრანკომ გამოიწვია ფრონტიდან.**

ფრანკოს პრინციპულობასა და შეუვალობაზე მეტყველებს ისიც, რომ სამშობლოს ღალატში მხილებული ესპანელი საზოგადო მოღვაწე, რომლის შეწყალებასაც სთხოვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი,** თავისი ხელით დახვრიტა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილზე.



ფრანსისკო ფრანკო

**ფრანკო ყველაზე ახალგაზრდა ოფიცერია ესპანეთის სამხედრო საქმის ისტორიაში — 23 წლის იყო, როდესაც კაპიტნის წოდება მიანიჭეს. 1916 წელს მძიმედ დაიჭრა მაროკოში გამართულ შეტაკებაში. მისმა სიმამაცემ მებრძოლებს შორის უზარმაზარი ავტორიტეტი მოუტანა და წარადგინეს კიდეც სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოზე. ის, 24 წლისა, ყველაზე ახალგაზრდა მაიორი (კომანდანტე) გახდა, ხოლო 33 წლისა — ყველაზე ახალგაზრდა გენერალი ესპანეთის ისტორიაში**

ფრანკოს მიერ შედგენილი, დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული კონსტიტუცია, რომელმაც შეცვალა მონარქია საყოველთაო არჩევნებით, მისი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს მოქმედებდა. ფრანკისტების გავლენა ისე დიდი იყო, რომ არჩევნებში სახელისუფლო პარტიის დამარცხების შემდეგ მოსული მემარცხენე ორიენტაციის პარტიაშიც იმდენივე ფრანკისტი აღმოჩნდა, რამდენიც წინასახელისუფლო პარტიაში.

ახლაც კი, როდესაც მე ესპანეთის კომუნისტური პარტიის ოფისში პარტიის ლიდერებს ვესაუბრებოდი, ადასტურებდნენ, რომ დემოკრატიულად არჩეულ ახალ სამთავრობო პარტიაში, რომლის სახელწოდებაცაა „პარტიდო პოპულარი", უმრავლესობას კვლავ ფრანკისტები წარმოადგენენ, მაგრამ არის ორთოდოქსი ფრანკისტების პარტიაც — „ფალანგე ესპანოლა". **ესპანეთის მოსახლეობა ორ ბანაკადაა გაყოფილი — ფრანკისტებად და არაფრანკისტებად, ფრანკოს მოძულე და ფრანკოს მხარდამჭერ ესპანელებად. კატალონიელებს კი ჭირივით სძულთ ფრანკო.**

ყველაფრის მიუხედავად, ფრანკო ესპანეთში ცოცხალია, რასაც მასზე გაუთავებელი კამათი მოწმობს.

ცხენზე ამხედრებული ფრანკოს ძეგლი მის მშობლიურ ქალაქ ელ-ფეროლში 2002 წლამდე იდგა. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოცხადებულ ლაშქრობას ძეგლების წინააღმდეგ ფრანკოს ძეგლიც შეეწირა — ის ცენტრალური მოედნიდან გადაიტანეს ელ-ფეროლის საზღვაო მუზეუმში, სადაც დიდი პატივითა და დიდებით არის დაცული. მადრიდის ახლოს კი თვალსაჩინო მაღლობზე გაშენებულია პანთეონი, რომლის ცენტრალურ ადგილზე, არის გრანდიოზულ სვეტზე გამოსახული ჯვრის ქვეშ დასაფლავებულია ფრანკო. პანთეონის სახელწოდებაა „დაცემულთა ველი" (Valle de los Caidos).

ეს პანთეონი 1950-იან წლებში თვითონ ფრანკომ შექმნა და მას შერიგების პანთეონი დაარქვა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ფრანკოსათვის, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც კი დაეხვრეტა კატალონიელი და ბასკი სეპარატისტები.

**დღეს ფრანკოს საფლავი, მასზე აღმართული დიდი მემორიალით, ანდერძის თანახმად, მის მემკვიდრეებს ეკუთვნით. ესპანეთის მთავრობა დაინტერესებულია, მემორიალი სახელმწიფოს ხელში გადავიდეს, რისთვისაც ფრანკოს შთამომავლობას, როგორც ამბობენ, 50 მილიონ ევროს სთავაზობენ, მაგრამ შთამომავლები ისტორიას არ ყიდიან.**



ნათია ონიანი (ქარდავა) და გრიგოლ ონიანი ბარსელონაში

— როგორც იურისტი, როგორ დაასრულდებდი ამ გარიგებას? — შევეკითხე ესპანეთში მცხოვრებ ჩემი ძმის შვილიშვილს — **ნათია ონიანს (ქარდავას).**

— ართუ სახელმწიფო გარიგებებზე, თვითონ ჩემ თავზეც კი არ მიმიღია გარიგების გადაწყვეტილება, რადგან, როგორც ამბობენ, კომუნისტი ხარ მანამდე, ვიდრე გამდიდრდები, ფემინისტი — ვიდრე გათხოვდები, ათეისტი კი — ვიდრე ვარდნას არ დაიწყებს თვითმფრინავი, რომელშიც ზიხარ. მიპასუხა ჩემი ძმის უჭკვიანესმა შვილიშვილმა. ამ ღრმაშინაარსიანი ფრაზის მოსმენის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა არა მხოლოდ ჩემი ძმის შვილიშვილი, არამედ 50 წლის წინათ გარდაცვლილი ჩემი უფროსი ძმაც.

სჭირდება თუ არა ფრანკო ესპანეთს? — სჭირდება ისევე, როგორც **ალექსანდრე მაკედონელი** მაკედონიას და **ნაპოლეონ ბონაპარტე** — კორსიკას. რა იქნებოდა ესპანეთი **კოლუმბის** გარეშე, რომლის მონუმენტსაც დღეს ბარსელონაში, ზღვის ნაპირზე, 5 ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია? რა იქნებოდა ესპანეთი ფრანკოს გარეშე? — დაქუცმაცებული, მიტაცებულ-გამოტაცებული ულარიბესი ქვეყანა.

რა იქნებოდა წინარე ცივილიზაცია ალექსანდრე მაკედონელის გარეშე? — ლეგენდებისა და ზღაპრების დაუსრულებელი ოკეანე. საფრანგეთი ნაპოლეონის გარეშე? — შეღებილი სინდიოფალა. ან ინგლისი — დიდი ბრიტანეთის ლომად წოდებული და სისხლში ამოსვრილი „დემოკრატი" **ჩერჩილის** გარეშე?

უცნაური ბედის არიან ხალხისთვის თავგანწირული და ხალხს შეწირული გმირი ადამიანები. სტალინისა და ესპანეთის თემა ამ ქვეყანაში ჩემმა მოგზაურობამ წამოწია წინა პლანზე.

**ჰიტლერი, მუსოლინი, ფრანკო, მაო ძედუნი, ჩან კაიში, კიმ ირ სენი, ბროზ ტიტო — ეს ის აისბერგები არიან, რომლებიც დიდხანს იდრეიფებენ მსოფლიოს პოლიტიკის ისტორიის ოკეანეში. სად არის ამ დროს „ყველაზე დიდი დიქტატორი დიქტატორთა შორის" (ჩერჩილი) — ამხანაგი სტალინი? თუ აისბერგებს გლობალური დათბობის შემთხვევაში წყლად გადაქცევა ელის, სტალინს თავზე ვერასოდეს გადაუვლის ტალღა, რადგან ის თავისი პოლიტიკური სიმაღლითა და „საქმენით მისით" ჯომოლუნგმას აღემატება და ასეთადვე დარჩება.**

როდესაც დიქტატორ ფრანკოს მშობლიური ▶

**როდესაც დიქტატორ ფრანკოს მშობლიური ქალაქის მუზეუმში ცხენზე მჯდარი მეტრისა და 64 სანტიმეტრის მხედარი ვნახე, ხოლო "დაცემულთა ველის" პანთეონში — ფრანკოს ცასმიწვდენილი მემორიალური სვეტი, თვალწინ წარმომიდგა ლონდონის ტრაფალგარზე წამომართული ჩერჩილის გიგანტური ფიგურა, ხოლო პარიზში, ინვალიდთა სახლში — ნაპოლეონის განსასვენებლის ზღაპრული მონუმენტი, მაუზერზე ხელდადებული ათათურქის ძეგლი — ტრაპიზონის პარკში და მუსოლინის ძეგლი — რომში... გორის რაიონის სოფელ კარალეთის განაპირა მინდორზე — ადამიანთა მოდგმის ყველაზე დიდი წარმომადგენელის, სტალინის უპატრონოდ მიგდებული პირქვედამხობილი ბრინჯაოს ქანდაკება.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ქალაქის მუზეუმში ცხენზე მჯდარი მეტრისა და 64 სანტიმეტრის მხედარი ვნახე, ხოლო „დაცემულთა ველის" პანთეონში — ფრანკოს ცასმიწვდენილი მემორიალური სვეტი, თვალწინ წარმომიდგა ლონდონის ტრაფალგარზე წამომართული **ჩერჩილის** გიგანტური ფიგურა, ხოლო პარიზში, ინვალიდთა სახლში — **ნაპოლეონის** განსასვენებლის ზღაპრული მონუმენტი, მაუზერზე ხელდადებული **ათათურქის** ძეგლი — ტრაპიზონის პარკში და **მუსოლინის** ძეგლი — რომში... გორის რაიონის სოფელ კარალეთის განაპირა მინდორზე — ადამიანთა მოდგმის ყველაზე დიდი წარმომადგენელის, სტალინის უპატრონოდ მიგდებული პირქვედამხობილი ბრინჯაოს ქანდაკება.

შორეულ ესპანეთში ყურში ჩამესმა **ვაჟას** სიტყვები:

**„თუ ვერ ვიგუეთ,**
**ვერ შევიფარეთ,**
**კარგი შვილები რად**
**გვებადება?"**

აი რას წერს ერთი ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსი თავის თანამედროვეზე:

„სტალინურმა ეპოქამ უფლება მოუსპო ლამაზს, მშვენიერს, ნიჭიერს: მოღალატედ გამოაცხადა ყველა, ვინც ძმათაკვლის, სისხლისღვრის, ჯაშუშობის წინააღმდეგ წავიდა. საფუძველი მოუსპო ტრადიციული გლეხის არსებობას, მოიშორა შემოქმედი ინტელიგენცია, განუსაზღვრელი უფლებით აღჭურვა უღირსნი. ქვეყანა გაავსო ფსევდოინტელიგენციით, ფსევდომუშით, ფსევდოგლეხით. დაანგრია პატიოსანი და მართალი კაცის ცხოვრება. ბევრი წესიერი კაცი მოძმის გამყიდველად და უბედურ ლაქიად გადაიქცა. ომი გამოეცხადა ღმერთს, ანგელოზს, ხატს, ეკლესიას, ადამიანურ სარწმუნოებას, მამაო ჩვენოს თქმისათვის, პირჯვრის გადაწერისათვის ჯვარს აცვამდნენ, ხვრეტდნენ, ასახლებდნენ. სასწაულს ჰგავს, რომ საქართველოში კიდევ შემორჩნენ ადამიანები, რომლებსაც ღვთის ნაბოძები დიდი საჩუქარი — სიცოცხლე, საუკეთესო ასაკი, საყვარელ სამშობლოსა და ახლობლებს მოშორებულებმა, სადღაც შორეულ ჯოჯოხეთში გაატარეს. მათ ზოგიერთ თანამემამულეს ყოფნის კადნიერება, უდანაშაულოდ ტანჯულთა თანდასწრებით „ჰიმნი" უმღეროს საშინელ წარსულს. სტალინი პატარა ერებს აიძულებდა, სხვისი ცხოვრებით ეცხოვრათ. უგულებელყოფილი იყო მცირერიცხოვანი ერების ისტორია, მწერლობა, პოეზია, მეცნიერება, ყოფა, ხასიათი, ტრადიცია. იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ შეეძლოთ, მონის ცხოვრებით ეცხოვრათ. საშინელ ყოფას, საშინელი დასასრული ერჩიათ. ისინი ჯანყდებოდნენ და იღუპებოდნენ. ახლა ნეოსტალინელები იმ აჯანყებულ ადამიანთა დასჯას სამართლიანს უწოდებენ. „აი, ხომ ხედავთ, სტალინი მხოლოდ უდანაშაულებს არ ასამართლებდა", — თვალებს გვიხელენ ისინი. განა შეიძლება ისეთი სრულყოფილი უსამართლობის წინააღმდეგ, როგორიც იყო სტალინური „სამართლიანობა", რაიმე მოქმედებას დანაშაული ეწოდოს? თუ სტალინური პოლიტიკური მანქანა ოდესმე სჯიდა დამნაშავეებს, ეს ხალხი იყვნენ დამსჯელთა თანამზრახველნი, რომელთა სიცოცხლე, სხვადასხვა „სახელმწიფოებრივი" მოსაზრებით, უკვე საჭირო აღარ იყო. ახლა ის ცოდვილი ადამიანები უდანაშაულო მსხვერპლად არიან შერაცხილნი, რაც მათ შთამომავალთ ყალბ უფლებას აძლევს, ასეთი წინაპრებით თავი მოიწონონ".

**ქართველ ერს ათასწლეულებში ისეთი სილამაზე არასოდეს შეუქმნია, როგორიც სტალინურ ეპოქაში შეიქმნა — დაწყებული შავი ზღვის ნაპირებიდან, დამთავრებუყლი ალაზნის ნაპირებამდე. არათუ სულიერს, უსულო და უსიცოცხლო, გადამწვარ ყამირს სტალინურტმა ეპოქამ ოქროს თავთავი დააასხა და საუკუნეებგამოვლილი ჭაობი ნარინჯებისა და ოქროს ბაღების წალკოტად აქცია.**

სილამაზისა და მშვენიერების სიმბოლოებად არიან წარმოდგენილი **ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, ქეთევან მაღალაშვილი, გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, სერგო ქობულაძე, გურამ ქუთათელაძე, თამარ აბაკელია** და სხვ.

ნიჭიერების ვარსკვლვთცვენა იყო სტალინური ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი. მსოფლიოს მცნიერული მიღწევების ცის ტატნობზე ბრწყინავდნენ საბჭოთა მეცნიერები: **მუსხელიშვილი, ბერიტაშვილი, ვეკუა, უზნაძე, კუპრაძე, ხარაძე, დურმიშიძე, ჩიქობავა, შანიძე, ჩუბინაშვილი, ჯანელიძე, ჯავახიშვილი, ზურაბიშვილი, დავითაშვილი, ნათიშვილი...** ქართულ ლექსსა და პროზას იცნობდნენ არა მხოლოდ დედამიწის ერთ მეექვსედზე, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც წერა-კითხვა იცოდნენ ადამიანებმა. ვის არ ჰქონდა წაკითხული **გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, გოგლა ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუას, ირაკლი აბაშიძის, დავით კლდიაშვილის, იოსებ ნონეშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, დემნა შენგელაიასა და სხვათა ნაწარმოებები.**

სტალინური ეპოქის შვილები არიან: **ალექსი მაჭავარიანი, ოთარ თაქთაქიშვილი, შალვა მშველიძე, არჩილ კერესელიძე, სულხან ცინცაძე** და სხვა მრავალი. საოპერო და დრამატული ხელოვნების ზოგადსაკაცობრიო სახელებია: **ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, პეტრე ამირანაშვილი, დავით ანდღულაძე** და სხვა მრავალი.

თუ ჩამოთვლილ ნიჭიერ ადამიანებს ვინმე აკლია, ეს ცხოვრების მრუდე სარკეში დამნახავთა კისერზეა, ვინც ასეთ აზრებს წერს წარსულზე.

*** „საფუძველი მოუსპო ტრადიციული გლეხის არსებობას, მოიშორა შემოქმედი ინტელიგენცია, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა უღირსი".**

ამ წინადადებაში რამდენი სიტყვაც არის, იმდენი ცილისწამება, ბოღმა და სიცრუეა. 3-მილიონიან ქვეყანას ჰყავდა შემოქმედებითი ინტელიგენციის უამრავი ბრწყინვალე წარმომადგენელი. რაც შეეხება ტრადიციული გლეხის მოსპობას და განადგურებას, ბევრ მკითხველს, ალბათ, ახსოვს და ყოფილა კიდეც ისეთ სოფლებში, როგორებიც იყო ზემო და ქვემო ქედი, არხილოსკალო, ჯაფარიძის კოლმეურნეობა, გამარჯვების, ზემო ქედის, ალვანის, სართიჭალის, ოკამის, სამთავისის, ტყვიავის, კარალეთის, შრომის, ნატანების, ხუცუბნის, ქობულეთისა და ბათუმის კოლმეურნეობები, რომლებშიც შრომის ნაყოფიერება და ერთი შრომადღის ანაზღაურება უსწრებდა ევროპის ნებისმიერი ფერმერისთვის გაცემულ ანაზღაურებას. მაშ, სად ჩანს, რომ სტალინმა გლეხს გლეხობა დააკარგვინა? ზემომოყვანილი სტრიქონების ავტორი ცოცხალი რომ იყოს და ხედავდეს დღეს რა მდგომარეობაშია მისი სოფელი, როგორ მოისპო და განადგურდა გლეხობა, ასეთ სისულელეს აღარ დაწერდა.

*** „ქვეყანა გაავსო ფსევდოინტელიგენციით, ფსევდომუშით, ფსევდოგლეხით.**

მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, რომლებიც ჩამოვთვალე თუ ფსევდოინტელიგენციაა, ამის შეფასება მკითხველისათვის მიმინდვია და იმისიც, როგორი იყო სტალინის ეპოქაში საქართველო, თუ 3 მლნ მოსახლეობის მქონე რესპუბლიკა 14 მილიარდი მანეთის ღირებულების პროდუქციას აწარმოებდა, მანეთის ღირებულება კი გაცილებით აღემატებოდა იმჟამინდელი ამერიკული დოლარის ღირებულებას. მე ამის ამის დამწერს ვერ გავაკრიტიკებ წარსულში ჩემთან მეგობრობის გამო.

*** „პირჯვრის გადაწერისთვის ჯვარს აცვამდნენ, ხვრეტდნენ, ასახლებდნენ".**

ამ წინადადების პასუხად ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ:

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **პეტრე შარიამ**, რომელსაც პოეტობაზეც ჰქონდა პრეტენზია, სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, რელიგიურ თემაზე დაწერა პოემა, რომელიც იმქვეყნიურ ცხოვრებას ეხებოდა. მოშურნეებმა დასტამბული პოემის ერთი ეგზემპლარი გაუგზავნეს სტალინს, რომელიც, რა თქმა უნდა, ნაწარმოებს გულდასმით გაეცნო. იმის გამო, რომ შარია ცენტრალურ კომიტეტში იდეოლოგიას განაგებდა, სტალინმა რჩევა მისცა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს, შარიასთვის მოენახათ შესაფერისი თანამდებობა და ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად გადაიყვანეს.

აქედან გამომდინარე, მეცნიერის ნათქვამი, პირჯვრის გადაწერის გამო ხვრეტდნენ და ასახლებდნენო, მტკნარი სიცრუე და პროვოკაციაა.

*** „სტალინი პატარა ერებს აიძულებდა, სხვისი ცხოვრებით ეცხოვრათ. უგულებელყოფილი იყო მცირერიცხოვანი ერების ისტორია, მწერლობა, პოეზია, მეცნიერება, ყოფა, ხასიათი, ტრადიცია".**

სტალინის თემაზე ათწლეულები ვიმუშავე და ათასგვარი ცილისწამება და შეურაცხყოფა წამიკითხავს, მაგრამ მსგავსი ბრალდება მის მიმართ არასოდეს მსმენია და არც წამიკითხავს.

არსებობს სტალინის ხელმოწერილი დეკრეტი, რომელშიც ადგილობრივ ხელისუფლებებს ავალებს, ყველგან გახსნან დაწყებითი სკოლები ადგილობრივ ენებზე, რათა, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. რაც შეეხება ნაციონალური ენისა და დამწერლობის გამოყენებას, ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითში:

სოჭში სტალინის დასვენებისას კრემლმა დირექტივა გაავრცელა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების მთავრობებისთვის მხოლოდ რუსულ ენაზე გაეგზავნათ წერილები და პარტიული მასალები. ეს დირექტივა სტალინმა სოჭში მიღებულ ფოსტაში აღმოაჩინა, რის გამოც **მოლოტოვს** გაუგზავნა სასწრაფო შიფროგრამა, რომელშიც კატეგორიულად აფრთხილებდა, რომ მიღებული დირექტივა ანტისახელმწიფოებრივია და დისკრიმინაციული.

„საბჭოთა კავშირი არ არის რუსეთის სახელმწიფო და ვალდებულება არ აქვს მასში შემავალ ხალხებს, დაემორჩილონ ერთი ერის ნებასა და სურვილებს. კეთილი ინებეთ და, სასწრაფოდ შექმენით მთარგმნელთა ბიურო, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა დიდი თუ მცირე ერების ენების მთარგმნელები. დირექტივა სასწრაფოდ გააუქმეთ და მისწერეთ ადრესატებს, საქმის წარმოება მოახდინონ მხოლოდ ნაციონალურ ენებზე და ამავე ენებზე გამოგზავნონ ყველა დოკუმენტი ცენტრალურ კომიტეტში. შესრულება მაცნობეთ", — აი ასეთი კატეგორიული ტონით ავალებდა ბელადი თავისი მოვალეობის დროებით შემსრულებელს. ძვირფასო მკითხველო, მე სულ რამდენიმე ციტატა შევაფასე და წარმოიდგინეთ, კიდევ რამდენი რამ იქნება განსამარტავი და შესაფასებელი ამ ტენდენციურ წიგნში... ევროპის „მოწინავე" ქვეყნების მოედნებზე აღმართულია ფრანკოს, მუსოლინის, ნაპოლეონის, მაკედონელისა და სხვა დიქტატორთა ძეგლები, ხოლო პლანეტის უდიდესი ადამიანის — იოსებ სტალინის ძეგლი, ასეთი ტენდენციური ავტორების ნაწარმოებების გამო, გორის რაიონის სოფელ კარალეთის მინდორზე პირქვეა დამხობილი...

ეს, ალბათ, ის უზარმაზარი ლოდია, რომელიც კავკასიონს მოსწყდა, როგორც ამას საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ამბობს, და მას ვერაფერი გააჩერებს.

*** რა იქნებოდა საქართველო უსტალინოდ? — ორად გახლეჩილი ისლამური სახანო (თურქეთისა და ირანის).**

*** რა იქნებოდა მამარდაშვილის გარეშე საქართველო?** — ვინ არის მამარდაშვილი? — იკითხავს გორს მიახლოებული მგზავრი.

**მაშ, რატომ უნდა ჩანაცვლებოდა გორის შესასვლელში აბრაზე სტალინის სახელს მამარდაშვილის სახელი?**

ვაი, ჩემო სამშობლოვ!



**მადრიდის ახლოს თვალსაჩინო მაღლობზე გაშენებულია პანთეონი, რომლის ცენტრალურ ადგილზე, გრანდიოზულ სვეტზე გამოსახული ჯვრის ქვეშ დასაფლავებულია ფრანკო. პანთეონის სახელწოდებაა «დაცემულთა ველი» (VALLE DE LOS CAIDOS)**



სტალინის ძეგლი სოფელ კარალეთში

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სევიერმა სასამართლოში უჩივლა იუტას შტატის გუბერნატორს, გენერალურ პროკურორსა და ოლქის მდივანს, რომლებმაც 2017 წელს ნება არ დართეს, დაეკანონებინა ურთიერთობა ლეპტოპთან. მოსამართლე ნაფერმა თავისი გადაწყვეტილება — უარი ეთქვა მომჩივანისთვის, ახსნა იმით, რომ სევიერი „ნოუთბუკზე“ ქორწინებით კი არ არის დაინტერესებული, არამედ სურს, ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ქორწინების ლეგალიზაციის გაუქმება ქვეყანაში.**


სოფი ლიონე

# ფრანგ ცოლ-ქმარს ეჭვი შეეპარა, რომ მათი ძიძა გრძნეულია და დაწვა იგი

**ფრანგ წყვილს, რომელიც ლონდონის გარეუბანში ცხოვრობს, ბრალად წაუყენეს 21 წლის ძიძის — სოფი ლიონეს მკვლელობა.**

ახალგაზრდა ფრანგი ქალის დამწვარი სხეული ბაღში, ფერფლის ფენის ქვეშ აღმოაჩინეს. მეზობლების ყურადღება მიიპყრო კოცონმა და დამწვარი ხორცის სუნმა, ამიტომ პოლიციას დაურეკეს. **საბრინა კუაიდერი** და მისი ბოიფრენდი **კისემ მედუნი** დაეჭვდნენ, რომ მათი ორი შვილის ძიძა გრძნეული იყო და რომ მან ბრილიანტის ყელსაბამი მოიპარა. ამას გარდა, წყვილი დარწმუნებული იყო, რომ ლიონე მოქმედებდა კუაიდერის ყოფილ ქმართან შეთანხმებით.

ახალგაზრდა ქალს ისე ეპყრობოდნენ, როგორც მძევალს — სცემდნენ, აწამებდნენ და აშიმშილებდნენ. სოფის სიკვდილის ზუსტი მიზეზის დადგენა რთულია.

სასამართლო სხდომა გრძელდება, რა სასჯელი ელის ფრანგ წყვილს, ჯერ უცნობია.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ამერიკელი «ნოუთბუკზე» დაქორწინების უფლებისთვის იბრძვის

**ამისთვის იბრძვის ადამიანი, რომელიც არც ფსიქიკურად ავადმყოფია, არც გიჟი და ეპატაჟური პიროვნება, რომელიც ყურადღების მისაპყრობად ყველაფერს იკადრებს, ის არის ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს ღირსება და სირცხვილი...**



„ნოუთბუქის“ ცოლად მოყვანა სურს და მიეცით უფლება, უფლებადამცველებო ყველა ქვეყნისა!

მაგრამ არგუმენტმა, რომ „ნოუთბუქი“ საკმაოდ „ზრდასრულია“ დასაქორწინებლად, გავლენა ვერ მოახდინა მოსამართლეზე, ისევე, როგორც ერთნაირსქესიანთა დაქორწინების შესაძლებლობის აღიარებული პრაქტიკის მოხმობამ.

გაჯიქდა საოლქო სასამართლოს მოსამართლე **დევიდ ნაფერი**, ისე გაჯიუტდა, რომ არც კი მოისურვა **კრის სევიერის** სარჩელის განხილვა, რომელმაც განაცხადა, რომ, რადგან ლეგალიზებულია ერთნაირსქესიანთა დაქორწინება, მას ნება უნდა დართონ, ცოლად შეირთოს „ნოუთბუკი“, ანუ კომპიუტერი. მომჩივანმა თავის სარჩელში ჩართო **ჯონ ჰანტერ-უმცროსის** და **უიტნი კოულის** მოთხოვნა პოლიგამიურ ქორწინებაზე ნებართვის მიცემის შესახებ.

სევიერმა სასამართლოში უჩივლა იუტას შტატის გუბერნატორს, გენერალურ პროკურორსა და ოლქის მდივანს, რომლებმაც 2017 წელს ნება არ დართეს, დაეკანონებინა ურთიერთობა ლეპტოპთან. მოსამართლე ნაფერმა თავისი გადაწყვეტილება — უარი ეთქვა მომჩივანისთვის ახსნა იმით, რომ სევიერი „ნოუთბუკზე“ ქორწინებით კი არ არის დაინტერესებული, არამედ სურს, ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ქორწინების ლეგალიზაციის გაუქმება ქვეყანაში.

საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს ფლორიდაში სარჩელის შეტანისას მომჩივანმა განაცხადა: „თუ გეებს აქვთ უფლება, დაქორწინდნენ მათი სექსუალური მისწრაფების ობიექტზე მაშინაც კი, როცა მათ შესაბამისი სექსუალური ნაწილები არ გააჩნიათ, მაშინ მეც უნდა მქონდეს უფლება, ცოლად მოვიყვანო ის სექსუალური ობიექტი, რომელსაც უპირატესობას ვანიჭებ“.

შტატების უმრავლესობაში არასრულწლოვნებს ნებას რთავენ, დაქორწინდნენ სასამართლოს ან მშობლების თანხმობის შემთხვევაში, 27 შტატში კი ქორწინების მინიმალური ასაკი საერთოდ არ არის განსაზღვრული. შტატის გენერალურმა პროკურორმა აღნიშნა, — იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელის „ნოუთბუკს“ უკვე შეუსრულდა 15 წელიწადი, იგი ქორწინებაზე ნებას არ დართავს.

სევიერმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. მანამდე მსგავსი სარჩელები მან სხვა შტატებშიც შეიტანა, მაგრამ ყველგან წააგო საქმე. ტენესიში კი მას, როგორც დიპლომირებულ იურისტს, საადვოკატო საქმიანობა აუკრძალეს.

მსგავსი ანომალიები ადრეც მომხდარა: მაგალითად, ბრიტანელმა **ამანდა ლიბერტიმ**, რომელსაც „ინტიმური ურთიერთობა“ ჰქონდა ორ ქალთან, განაცხადა, რომ დანიშნულია ერთ მათგანზე; იტალიელი ქალბატონი **ლაურა მესი** კი საკუთარ თავზე დაქორწინდა.



# უმადურმა ჰომოსექსუალებმა ყოფილი საყვარელი გაქურდეს და მისი სახლის დაწვას შეეცადნენ

**ფლორიდის შტატში (აშშ) ორმა მამაკაცმა ყოფილი საყვარელი გაქურდა და მისი სახლის დაწვას რაგუს სოუსის საშუალებით შეეცადა.**

**დერიკ ირვინგი** და **ჯონ სილვა** მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც შეაღწიეს იმ მამაკაცის სახლში, რომლის სახელს არ ასაჯაროებენ და იქიდან ტელევიზორი და კონდიციონერი გამოიტანეს. პოლიციის ცნობით, გაქურდვისას სახლში არავინ იმყოფებოდა. სახლში ვიღაც რომ შევიდა, მეპატრონეს დაცვის სისტემამ აცნობა ტელეფონზე. მან გამოიძახა სამართალდამცველები, რომლებმაც დააკავეს ქურდები იმ მომენტში, როცა აპირებდნენ, გასცლოდნენ იქაუროობას. მანქანაში მათ უპოვეს კონდიციონერი, მტვერსასრუტი, ტელევიზორი, გამათბობელი, მარიხუანის დამაქუცმაცებელი მოწყობილობა და რაგუს ცარიელი ქილა.

„ისინი ცდილობდნენ, ისე მოეწყოთ საქმე, რომ მე თითქოს ჩართული დამრჩა ელექტროქურა, რომელზეც იდგა სოუსით სავსე ქვაბი, მაგრამ ვინ დგება ღამის ორ საათზე სოუსის მოსამზადებლად?!“ — განაცხადა დაზარალებულმა.

ირვინმა და სილვამ აღიარეს, რომ დაზარალებულთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ. „ყველაფერი დაიწყო ამ ურთიერთობით, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა“, — დაუდასტურა პოლიციელებს სახლის პატრონმა.

ორივე მამაკაცს წაუყენეს ბრალდება შეუიარაღებელ ქურდობასა და ცეცხლის გაჩენის მცდელობაში.

# სატანის კოსტიუმში გამოწყობილი ტრანსვესტიტი პატარა ამერიკელებს წიგნებს უკითხავს

**პატარა „მის ფეთხუმი“, უფრო ზუსტად კი, ფერუმარილით სახედახატული მამაკაცი ქალის მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარი ბავშვებსა და მათ მშობლებს ლექსებს უკითხავს, „უწყინარ“ შეკითხვებს უსვამს: „ვის სურს ტრანსვესტიტობა?“**



ეს გამაოგნებელი შოუ ბრუკლინის საჯარო ბიბლიოთეკაში გამართა.

ახლა ნიუ-იორკიდან ლონგ ბიჩში, კალიფორნიაში, გადავინაცვლოთ. მიშელ ობამას სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა (აშშ-ში დამკვიდრებული სტანდარტული პრაქტიკაა ბიბლიოთეკისთვის მისი დამაარსებელი ფილანტროპების სახელების მინიჭება. ამ პრაქტიკის უნიჭო მიბაძვით მიხეილ სააკაშვილმა თავისი სახელობის ბიბლიოთეკა დაგვიტოვა სააკაშვილის მოედნიდან დიდუბეში გადასასვლელი ხიდის თავში: ხიდისთავის მათხოვარი).

როგორც ჩანს, ბიბლიოთეკები შეერთებულ შტატებში ტრადიციული ფასეულობების წინააღმდეგ გაშლილი შეტევის ავანგარდში ჩააყენეს. მიშელ ობამას სახელობის ბიბლიოთეკაში ლგბტ-ების ერთთვიურის მოწყობაც ამის დასტურია, მაგრამ რატომ მიიწვიეს ბავშვებისთვის წიგნის წასაკითხად რქიანი დემონი, რომელიც თავის თავს **ქსოჩი მოჩის** უწოდებს, გამოცანად რჩება.

იმის იმედილა გვრჩება, რომ ბიბლიოთეკის ადეკვატურმა თანამშრომელმა, რომელმაც შეატყო, რომ მემარცხენე-ლიბერალურ იდეოლოგიასთან ბავშვების ზიარება გარდაუვალია, გადაწყვიტა მისი უსასიზღრესი ფორმით წარდგენა.

მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია, რადგან შტატებში ლეგალურად მოქმედმა ორგანიზაცია „სატანის ეკლესიამ“ მხარი დაუჭირა ამგვარ წამოწყებას.

**„მედასავლეთეთა“ განცხადებით, ლვოვსა და ტერნოპოლში იმ დღეებში დაცარიელებული იყო ბაზრები, არ მუშაობდნენ საწარმოები და დაწესებულებები, ქუჩებში ხალხი არ ჩანდა, ყველანი კიევში იყვნენ წასულნი. ქალაქში მოძრაობდა ნარინჯისფერი დროშებით მორთული ავტომანქანები, რომლებიდანაც ლიდერები ყველას კიევში, მაიდანზე, წასვლისკენ მოუწოდებდნენ. კიევში ჩასულები იმედოვნებდნენ, რომ დედაქალაქში ორიოდ დღეს დაჰყოფდნენ, ემზადებოდნენ რადას შტურმისა და მილიციასთან შეტაკებისთვის, მაგრამ ამის ნაცვლად დახვდათ კარვები.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე, იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**

**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიო“, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსურობის მიზეზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს „ვარდების რევოლუციის“ სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**


სერგეი ყარა-მურზა




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-11 (425-435)

უკრაინაში ჩატარებული არჩევნები იყო ბინძური, ძალა კი — იუშჩენკოს მხარეს. ერთ-ერთი დამკვირვებელი ნოემბრის ბოლოს წერდა: „ნარინჯისფერმა“ ძლიერმა ფსიქიკურმა ტერორმა აიძულა ზოგიერთი მოხელე, ეღიარებინა, რომ იანუკოვიჩის სასარგებლოდ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული რესურსი, მაგრამ დღემდე არავის დაუძალებია მოხელეებისთვის, ეღიარებინათ, რომ მათ ადმინისტრაციული რესურსი იუშჩენკოს მხარდასაჭერად გამოიყენეს, თუმცა გამორიცხული არ არის, მათგან აღიარებითი ჩვენების მიცემის მოწმენი გავხდეთ“ (ვ. ბოგდანოვი, „ნეზალეჟნაიას აპოთეოზი“, „პოლიტიჩესკი ჟურნალი“, 2004, №48).

## კონსტრუქციული მოლაპარაკებები და საერთაშორისო შუამავლები

„ნარინჯისფერი რევოლუცია“ მნიშვნელოვან ტექნოლოგიად წარმოგვიდგა სახელმწიფოსთვის ხელების დაბორკვის საქმეში. მოლაპარაკებების მიზანი იყო, შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ რევოლუციონერები მზად არიან, გამართონ დიალოგი და მიაღწიონ კომპრომისს. მოლაპარაკების პროცესის გასაკონტროლებლად კიევში ერთმანეთის მიყოლებით ჩავიდნენ „საერთაშორისო შუამავლები“ — საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი **ხავიერ სოლანა,** ეუთოს გენერალური მდივანი **იან კუბიში**, პოლონეთისა და ლიტვის პრეზიდენტები **კვასნიევსკი** და **ადამკუსი.** მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ **კუჩმა** და პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი. ყოველ ჯერზე მეორდებოდა პირობა, რომ ხელისუფლება არ იძალადებდა, ოპოზიცია კი პირობას დებდა, რომ სამთავრობო დაწესებულებებს მუშაობის საშუალებას მისცემდა (დაპირება არც ერთხელ არ შეუსრულებია).

ერთ-ერთი ასეთი სხდომის შემდეგ სოლანა და კვასნევსკი გამოვიდნენ ჟურნალისტებთან, ხელი ჩამოართვეს კუჩმასა და იანუკოვიჩს და გადაეხვივნენ **იუშჩენკოს.** მაიდანზე მომიტინგეებისთვის მნიშვნელოვანი იყო, სცოდნოდათ, რომ მათ მხარს უჭერს „მთელი ცივილიზებული მსოფლიო“: მაიდანზე ევროპარლამენტის დეპუტატების, **ნემცოვისა** და **ლეხ ვალენსას** გამოსვლები, **გორბაჩოვისა** და **ჰაველის** მისალოცი განცხადებები საკმარისი არ იყო, სჭირდებოდათ აშკარა ჟესტები დასავლეთის მაღალი თანამდებობის მოხელეებისა და ისინიც არ დააკლდნენ იქაურობას.

## არაძალადობრივი რევოლუცია უკრაინულად: კარვის ქალაქები

არაძალადობრივი ოკუპაცია ქვეყნის ნევრალგიური ტერიტორიისა (განსაკუთრებით დედაქალაქში), მაგალითად, სამთავრობო შენობების, მიმდებარედ ან სიმბოლურ ადგილებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიაა, რომელიც ჯონ შარპის სახელმძღვანელოშია აღწერილი. ეს ტექნოლოგია ფართოდ გამოიყენეს „ნარინჯისფერი რევოლუციისას“ უკრაინაში. ეს გამოცდილება ფრიად ყურადსაღებია, რადგან პრაქტიკული მუშაობის პრიზმაში მნიშვნელოვანი მხარეები იკვეთება. ჩვენ აქ მოვიხმობთ მოკლე ცნობებს, რომლებიც 2004 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა რუსულ ინტერნეტში სათაურით „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ორგანიზაცია და ეკონომიკა“, ასევე, უკრაინული საიტის მასალებში.

არცთუ ხალხმრავალი მიტინგი მაიდანზე (დამოუკიდებლობის მოედანზე კიევის ცენტრში) კენჭისყრის დამთავრებისთანავე დაიწყო, მაგრამ 2004 წლის 24 ნოემბრიდან, არჩევნების მეორე ტურის საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ, ოპოზიციის ლიდერებმა თავიანთ მომხრეებს მოუწოდეს უვადო მიტინგისკენ. ფუნქციობა დაიწყო კარვების ქალაქმა, რომელშიც ერთდროულად 2-3 ათასი კაცი იმყოფებოდა. პირველ დღეს 200 კარავი გაიშალა, მომდევნო სამ დღეში — დამატებით 300. იმის გამო, რომ ბანაკის ორგანიზატორი იყო „პორა“, საერთო ზედამხედველობას სწორედ ის აწარმოებდა. „პორას“ ხალხი ინიშნებოდა ბანაკის კომენდანტებად და მათ მოადგილეებად. ამას გარდა, „პორა“ განაგებდა ფინანსურ და მატერიალურ ნაკადებს.

ასეთი კარვები გაიშალა პარლამენტის შენობასა და პრორეზნაიას ქუჩის გასწვრივ. ეს ბანაკები პირველსავე დღეს მოაწყო „პორამ“, რისთვისაც საარჩევნო შტაბის დახმარებით წინასწარ შეუკვეთა რამდენიმე ასეული ოთხადგილიანი ნარინჯისფერი კარავი Wenzel Yellowstone. თითოეული 170 დოლარი ღირდა და დამზადებული იყო აშშ-ში. მაინცდამაინც ამ მოდელის არჩევა აიხსნება იმით, რომ მათ გასაშლელად განსაკუთრებული სამაგრები საჭირო არ არის. ამ კარვების გარდა, გამოყენებული ჰქონდათ დიდი, 20-კაციანი საარმიო კარვები, რომელთა ნაწილი მწარმოებლებისგან თითოეული დაახლოებით 250 დოლარად შეიძინეს.




**გენერატორებისთვის ბენზინს ქალაქის ავტოგასამართ სადგურებში ყიდულობდნენ, კოცონებისთვის შეშას იძენდნენ ლუდის მწარმოებელ ქარხნებსა და სუპერმარკეტებში. საინტერესოა, რომ საკვებით მომარაგების საქმით დაკავებული იყო ევანგელისტური ეკლესიაც. ამ ორგანიზაციამ შექმნილი ვითარება მომხრეების გადასაბირებლად გამოიყენა. ევანგელისტებმა ბანაკში არა მხოლოდ გაშალეს «კარავი სალოცავად», არამედ აქტიურად ავრცელებდნენ თავიანთ ლიტერატურას მომიტინგეებს შორის**

YHA-YHCO-მ, სამხედრო-პატრიოტულმა ორგანიზაცია „ტრიბუზმა“, რომელთაც უკრაინაში თავთავიანთი განყოფილებები აქვთ, სტუდენტურ „პორასთან“ ერთად, გაშალეს ქვედა კარვების ქალაქი. გამოიყენეს უწინდელი კავშირები არმიასთან და ამ ბანაკების მომსახურებისთვის მიიღეს ახალთახალი საველე სამზარეულოები და დიზელ-გენერატორები, ახლები და უხმარი, ასევე, კამუფლაჟი და ფეხსაცმელი კიევში განლაგებული სამხერო ნაწილების საწყობებიდან. გათბობის დანადგარების წყალობით კარვებში თბილოდა.

**„მედასავლეთეთა“ განცხადებით, ლვოვსა და ტერნოპოლში იმ დღეებში დაცარიელებული იყო ბაზრები, არ მუშაობდნენ საწარმოები და დაწესებულებები, ქუჩებში ხალხი არ ჩანდა, ყველანი კიევში იყვნენ წასულნი. ქალაქში მოძრაობდა ნარინჯისფერი დროშებით მორთული ავტომანქანები, რომლებიდანაც ლიდერები ყველას კიევში, მაიდანზე, წასვლისკენ მოუწოდებდნენ. კიევში ჩასულები იმედოვნებდნენ, რომ დედაქალაქში ორიოდ დღეს დაჰყოფდნენ, ემზადებოდნენ რადას შტურმისა და მილიციასთან შეტაკებისთვის, მაგრამ ამის ნაცვლად დახვდათ კარვები.**

კარვების ქალაქები სექტორებად იყო დაყოფილი ქვეყნის ტერიტორიების მიხედვით: ყველაზე დიდი სექტორი ლვოველებს ეკუთვნოდა. ამ ხნის განმავლობაში ბანაკების მომარაგება რეგულარულად და შეუფერხებლად ხდებოდა, თუმცა ბოლოსკენ არც ისე ბარაქიანად, როგორც პირველ დღეებში. „დემოკრატიის დამცველთა“ რაციონიდან, მაგალითად, ხორცი, ფაქტობრივად, გაქრა.

გენერატორებისთვის ბენზინს ქალაქის ავტოგასამართ სადგურებში ყიდულობდნენ, კოცონებისთვის შეშას იძენდნენ ლუდის მწარმოებელ ქარხნებსა და სუპერმარკეტებში. საინტერესოა, რომ **საკვებით მომარაგების საქმით დაკავებული იყო ევანგელისტური ეკლესიაც. ამ ორგანიზაციამ შექმნილი ვითარება მომხრეების გადასაბირებლად გამოიყენა. ევანგელისტებმა ბანაკში არა მხოლოდ გაშალეს „კარავი სალოცავად“, არამედ აქტიურად ავრცელებდნენ თავიანთ ლიტერატურას მომიტინგეებს შორის.**

საკვებითა და თბილი ტანსაცმლით მომარაგებაში კიეველებმაც გამოიღეს ხელი, მაგრამ მათი მოტანილი, რა თქმა უნდა, მომიტინგეებს არ ეყოფოდათ, სპონსორები რომ არა.

ხალხის ორგანიზებულად ჩაყვანა წინასწარვე ჰქონდათ გათვალისწინებული. მაგალითად, პირველი რეისისთვის გამოიყენეს ავტობუსები, რომლებიც პოლონეთიდან ლვოვის გავლით მოემართებოდნენ — მგზავრები „უპარდონოდ“ ჩამოსვეს. დასავლეთ უკრაინის ქალაქებში აქტიურად აგროვებდნენ სახსრებს „მომიტინგეთა საჭიროებისთვის“. მაგალითად, ქალაქ ლუცკის მასწავლებლებმა შეაგროვეს და ორგანიზატორებს გადასცეს 3500 გრივნა. საწარმოები თანამშრომლებს თავიანთი ავტობუსებით ამგზავრებდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც დამოუკიდებლად ჩადიოდა კიევში.

გადაზიდვა-გადაყვანაში ჩართული იყო ავტოსაწარმოებიც, რომელთა ხელმძღვანელები მხარს უჭერდნენ იუშჩენკოს. შტაბები მძღოლებს ბენზინის საყიდელი ფულით უზრუნველყოფდნენ. მძღოლები თავადაც აქტიურად მონაწილეობდნენ მიტინგებსა და დემონსტრაციებში. დამატებით სახსრებს მათ არ აძლევდნენ, მაგრამ, როგორც მომიტინგეებს, მათაც ენახებოდათ კიევში გატარებული დღეების ხელფასი.

**დამახასიათებელი ნიშანია „ამბოხებულთა“ არნახული ორგანიზებულობა და სრული მორჩილება იმ ბრძანებებისა და განკარგულებებისადმი, რომლებიც ზემოდან გაიცემოდა და აგიტაციის აწყობილი სტრუქტურის მეშვეობით მასებში ვრცელდებოდა. „ნარინჯისფერ რევოლუციებში“ სტიქიურობის ნატამალიც არ არის, რომელიც, როგორც ცნობილია, თან ახლავს ნებისმიერ სახალხო ამბოხს. უზარმაზარი ეკრანები, ბიოტუალეტები, გამოსაცვლელი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ასევე, კვება და სამკურნალო საშუალებები რაღაც ვერ ეწერება რევოლუციის ხატებაში.**

ხუთასკარვიან მინიქალაქში ყველა სამუშაო — ნაგვის ცენტრალიზებული გატანიდან მომიტინგეთა ოპერატიულ ინფორმირებამდე — ორგანიზებული იყო საარმიო პრინციპებით. ჰქონდათ სპეცოპერაციებისა და ძალოვანი სტრუქტურების განყოფილებები. დისციპლინა რკინისებურია — არსად ჩანდა მთვრალი კაცი, დედას არავინ იგინებოდა; ჰქონდათ თავიანთი ეკლესია, აფთიაქები, საავადმყოფოები, მობილური ტელეფონების შეკეთებისა და დამუხტვის პუნქტები. ბანაკში შესასვლელად საჭირო იყო საშვი ან აკრედიტაცია და, როგორც არმიაში, ყოველი ღამისთვის ახალი პაროლი.

ბანაკის განრიგი მკაცრია: გარეშე ადამიანს უშვებდნენ მხოლოდ იქ მცხოვრების თავდებით. ქალაქის ტერიტორიაზე „მშრალი კანონი“ მოქმედებდა, თუმცა ბოლო დღეებში ეს წესი ხშირად ირღვეოდა, ნარკოტიკის მოხმარების ერთი შემთხვევაც აღირიცხა. მთვრალსა და კაიფის ქვეშ მყოფს ულაპარაკოდ აძევებდნენ ბანაკიდან.

ბანაკის პერიმეტრს მორიგეობით იცავდნენ იქ მცხოვრებნი. ამ საქმეს „პორას“ ხელმძღვანელები ედგნენ სათავეში. YHCO-ს წევრები ასრულებდნენ შიდა უსაფრთხოების ფუნქციას: პერიოდულად ჩხრეკდნენ კარვებს. ამბობენ, რომ ზოგჯერ ამგვარი ღონისძიებების შემდეგ იკარგებოდა ნივთები, მაგრამ ქურდობა და მსგავსი ქმედება ასე თუ ისე აღკვეთილი იყო.

კარგი ორგანიზება და ზუსტი იერარქია იყო „პორაში“. ცალკეული ადამიანები ხელმძღვანელობდნენ მიმართულებებსა და განყოფილებებს, „სპეცოპერაციებს“, რომლებიც გულისხმობდა სპეციალურად შექმნილი ჯგუფების ღამით გაგზავნას კიევის ცალკეულ რაიონებში აგიტაციის ჩასატარებლად, ფურცლების გასაკრავად და ნარინჯისფერი ლენტების მანქანებზე დასამაგრებლად.

კარგად იყო ორგანიზებული მომიტინგეთა ჯანდაცვა. კიევის მერის — **ომელჩენკოს,** მცდელობით, სამედიცინო პუნქტები გახსნილი იყო „უკრაინულ სახლში“, ოქტომბრის სასახლეში, დედაქალაქის ადმინისტრაციის შენობაში, პროფკავშირების სახლში, სასტუმრო „კრეშჩატიკში“, კინოთეატრ „ორბიტაში“, ორ ამბულატორიაში. დღე-ღამის განმავლობაში ყოველ მედპუნქტში ეხმარებოდნენ 800-2000 დაზარალებულს, ძირითადად გასცემდნენ გრიპის საწინააღმდეგო და სიცხის დასაწევ პრეპარატებს. მორიგეობდა სასწრაფო დახმარების მანქანები.

**გაგრძელება მომდევნო ნომერში**

უცნობი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მომოიხედეთ გარშემო და დაინახავთ, რამდენი კარგი ადამიანია, რამდენი სუფთა, მხიარული სახეა ირგვლივ. თუ რაიმე სისაძაგლეს დავინახავთ, იცოდეთ, ეს ჩვენშია. მსგავსი მსგავსს იზიდავს, ბუნების კანონია. თუ ვინმე ქურდბაცაცა შევამჩნიე, ესე იგი, მე თვითონ მომიპარია რამე. ვიდრე სხვებს განიკითხავთ, მანამდე საკუთარ თავს შეხედეთ.

# რა მოაქვს ადამიანის ცხოვრებაში მართლმადიდებლობას პეტრე მამონოვის მაგალითზე

**მკითხველს შევახსენებთ, რომ პ. მამონოვი რუსი მუსიკოსი, პოეტი და მსახიობია. იგი მთავარ როლს თამაშობს 2006 წელს რეჟისორ პაველ ლუნგინის მიერ გადაღებულ ფილმში „კუნძული“ („Остров“). ის აგრეთვე გადაღებულია ფილმში „იერეი სან. სამურაის აღსარება“ („Иерей-сан. Исповедь самурая“). ბრწყინვალე აღდგომის წინ დაბეჯითებით გირჩევთ, ნახოთ ორივე ეს ფილმი.**



**იხსენი საკუთარი თავი და ეს გეყოფა. დააბრუნე ღმერთი შენში, მიმართე შენი მზერა სხვებზე კი არა, საკუთარ თავზე, ჩაუღრმავდი საკუთარ თავს. შეიყვარე შენი თავი და მერე ეს სიყვარული მოყვასის სიყვარულად აქციე. ნორმა ეს არის.**

წარსულში სკანდალისტი და პროვოკატორი, სსრკ-ში ერთ-ერთი საუკეთესო როკ-ჯგუფის შემქმნელი, სასმელის და დროსტარების დიდი მოყვარული პეტრე მამონოვი 45 წლის ასაკში ძლიერ შეიცვალა — მიყრუებულ სოფელში გადასახლდა, მართლმადიდებლურად მოინათლა და ჯანმრთელი ცხოვრების წესს მიჰყო ხელი.

„არ მახსოვს გუშინდელი დღე და არც მინდა, მახსოვდეს. მე წინ მივისწრაფვი. მთელი მარადისობა მაქვს წინ. ცხოვრების მანძილზე ცუდსაც ჩავდივართ და კარგსაც. მე ჩემს სახეზე მთელი ჩემი მანკიერებანი, საწუხარი და სიხარულიც მაწერია. ჩვენი სახეც და ჩვენი ტანიც ჩვენი ცხოვრების შედეგია.

**ცხოვრების გზაზე შეხვედრილი ყოველი ადამიანი ანგელოზია.**

ის შენი დამხმარეა და ტყუილად არ შეგხვედრია. ის შენ ან გამოცდას გიწყობს და ან სიყვარულს გიზიარებს.

ახალგაზრდობაში ერთი შემთხვევა მქონდა. ერთხელ ერთ ჩემ ამხანაგთან ერთად გვიანობამდე ვსვამდით. მეორე დილას ვურეკავ, ვკითხო, სახლში როგორ მივიდა და რა მესმის — „ელექტრიჩკის“ ქვეშ ჩავარდნილა და ორივე ფეხი დაკარგა. წარმოუდგენელი უბედურებაა, არა? სანახავად რომ მივედი და მოვიკითხე, ესე მიპასუხა: შენ რა გიჭირს, აი მე კიდევ ... და საბანი გადაიხადა . საშინელი სანახაობა იყო... ის ძალიან ამაყი იყო, ამ შემთხვევის შემდეგ კი ძალიან მოკრძალებული და მხიარული ადამიანი გახდა. იმედი არ დაუკარგავს, პროთეზები დაიყენა, ცოლი შეირთო, ოთხი შვილი შეეძინათ. მერე საბავშვო მოთხრობების წერა დაიწყო, სიხარულითა და ბედნიერებითაა გაბრწყინებული. აი, ასე კურნავს ღმერთი ჩვენს სულებს ფიზიკური ტკივილებით! ვინ იცის, მას რომ ის უბედურება არ შემთხვეოდა, იქნებოდა ისევ ისე სიამაყეში და ჩახმებოდა ბოლოს ძველი პურის ქერქივით.

ასეთია ძნელადგადასატანი, მაგრამ უმოკლესი გზა სულიერი განწმენდისაკენ. საჭიროა ყოველ წუთს სწავლობდე, ყოველ წუთს ფიქრობდე რა თქვა... და ყოველ წუთს ქმნიდე, ქმნიდე, ქმნიდე...

ხანდახან ცხოვრება გცემს, მაგრამ ეს დარტყმები წამალია. „სასჯელი“ — ეს სიტყვა „სჯა“-სგან წარმოსდგება. სასჯელი განსჯისთვის, გაკვეთილის სასწავლად გვეძლევა („Наказание“ — от слова „наказ“. А наказ — это урок, учение).

ღმერთი ჩვენ გვმოძღვრავს, როგორც მზრუნველი მამა. დაგვაყენებს კუთხეში პატარა ბავშვივით, რომ მეორედ ცუდი აღარ ჩავიდინოთ. ჩვენ ცელქი ბავშვებივით გასხლტომა გვინდა, მამას კიდევ მაგრად ვუჭერივართ, რომ მატარებელს არ ჩავუვარდეთ ქვეშ. ასეა ღმერთიც.

ცდუნებები — ეს გამოცდებია. გამოცდები რისთვისაა? რომ ვისწავლოთ (ჭკუა) და ისინი ჩავაბაროთ. ამ გამოცდების გავლით ჩვენი სული უფრო დაუფრო სუფთა ხდება.

ოქროს ცეცხლში ადნობენ, რომ გაასუფთაონ. ასეა ჩვენი სულებიც. შეჭირვება უდრტვინველად უნდა გადავიტანოთ. ცხოვრების გმობა და ვაებას მიცემა — „ღმერთო, რისთვის?“ შეცდომაა. ეს ჩვენი გასავლელი გზაა, რომელიც ჩვენი ცხოვრებით დავიმსახურეთ.

**სიცოცხლის ნამდვილი მიზანი სიყვარულია.**

რისთვის ვცხოვრობთ? დიდხანს ამ კითხვას პასუხს არ ვცემდი, ყურადღებას არ ვაქცევდი. ვკაიფობდი, ვსვამდი, ვჩხუბობდი, ვამტკიცებდი, რომ „მე ვარ მთავარი!“. ცხოვრების მთავარი არსი კი სიყვარულში ყოფილა.

სიყვარული ნიშნავს, რომ მსხვერპლი გაიღო. მსხვერპლის გაღება — ეს გაცემაა. უმარტივესი სქემაა.

ეს მაინცდამაინც არ ნიშნავს, რომ ეკლესიაში იარო, სანთელი დაანთო, ილოცო. აი, შეხედეთ, 2002 წელს ჩეჩნეთში რა მოხდა: დგას რვა ჯარისკაცი,უწვერული ბიჭები და ერთ-ერთმა შემთხვევით ხელყუმბარას „ჩეკა“ გამოაძრო... იქვე მდგარი პოდპოლკოვნიკი, 55 წლისა, ოთხი შვილის მამა, ეკლესიაში ერთხელაც რომ არ ყოფილა და ერთი სანთელი არ დაუნთია, არც დაფიქრებულა, ყუმბარას თავისი სხეულით გადაეფარა და ნაფლეთებად იქცა, ჯარისკაცები კი გადაარჩინა. ის პირდაპირ სამოთხეში მოხვდა. ესაა მსხვერპლის გაღება. იმაზე უფრო მეტი, ვიდრე სხვებისთვის საკუთარი სიცოცხლი გაღებაა, ქვეყანაზე არ არსებობს.

ომში ყველაფერი ჩანს, ომის დროს ცუდიც და კარგიც ზედაპირზეა წამოწეული და ძალიან სწრაფად მიმდინარეობს.

ყოველდღიურობაში კი ყველაფერი გაუფერულებულია. გვგონია, რომ კეთილი საქმეებისთვის ხვალინდელი დღეც გვაქვს, ზეგინდელიც... და ამაღამ რომ მოკვდე? რას იზამ ხუთშაბათს, ოთხშაბათს თუ მოკვდები? კეთილი საქმის კეთება გადასადები არ არის.

მგონია, გუშინ იყო, ოლეგ იანკოვსკი გვერდით რომ მეჯდა. აგერ, მისი „კურტკა“ ისევ მანდ დევს, ეგერ, მისი ჩიბუხი... და სად არის დღეს ოლეგ ივანოვიჩი? ჩვენ ჯერ კიდევ „მეფის“ გადაღებებზე დავმეგობრდით, ბევრს ვლაპარაკობდით ცხოვრებაზე. მას სიკვდილის მერეც ბევრს ვესაუბრები. ვლოცულობ მისთვის: „ღმერთო, შეიწყალე და აცხოვნე მისი სული“-თქო, შევთხოვ ზეცას.

აი, რაც არის იქ მისავალი — ეს ლოცვაა. ამიტომ, როცა მოვკვდები, არ მინდა მდიდრული კუბო და ყვავილები. ხალხო, ილოცეთ ჩემთვის, იმიტომ რომ ძალიან ყველანაირი ცხოვრებით ვიცხოვრე.

ლოცვა სიცოცხლეშიც მნიშვნელოვანია. „გმადლობ“ — მეორე ადამიანს რომ ეუბნები, ამითი მას ღვთის მადლის გაზიარებას უსურვებ. ნუ დაინანებთ ერთმანეთისთვის მადლობის თქმას. ხდება ხოლმე, სათვალეს ვერ ვნახულობ და სამყაროს შემოქმედს შევთხოვ: „ღმერთო, მიშველე!“. მალევე ვპოულობ.

მამაზეციერს ყველანი ვუყვარვართ, მას ყოველთვის შეიძლება, საშველად უხმო.

გესმით, ეს რა სასწაულია? აი, ვზივართ მე და თქვენ, ორი ჭიაყელა და პირდაპირ შეგვიძლია ღმერთს მივმართოთ: „უფალო, შეგვიწყალე!“ და ღმერთი შეგვისმენს. ამაზე მეტი სასწაული რა გინდა?

ღმერთი ბრაზიანი ბაბუ არ არის, რომელიც ჩვენს ცოდვებს ითვლის და ერთი სული აქვს, გაგვჯოხოს. მას დედაზე უფრო ვუყვარვართ და თუ რამე შეჭირვებას მოგვივლენს, ესე იგი, ჩვენს სულს ესე სჭირდება. გაიხსენეთ თქვენს ცხოვრებაში ის მომენტები, როცა გიჭირდათ, გიმძიმდათ... მე თუ მკითხავთ, სწორედ ეს მომენტებია ცხოვრებაში მთავარი, იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს ვსწავლობთ და ვიზრდებით სულიერად.

**სიყვარული — ეს იმას ჰგავს, ჭურჭელს ურიგოდ რომ გარეცხავ**

ცხოვრებაში და ადამიანებში კარგს ხედავდე და ამას ესწრაფვოდე, ეძიებდე — აი, ერთადერთი პროდუქტიული გზა. ადამიანი ბევრ რამეს შეიძლება ცუდად აკეთებდეს, მაგრამ რაღაცაში ის აუცილებლად კარგი იქნება. სწორედ ამ კარგს უნდა ჩაეჭიდო, საძაგლობას კი ყურადღება არ უნდა მიაქციო.

სიყვარული ეს გრძნობა არ არის, სიყვარული მოქმედებაა. სულაც არ არის აუცილებელი, შეყვარებული იყო მოხუცზე, ავტობუსში რომ ადგილი დაუთმო. თვითონ თქვენი საქციელია სიყვარული.

მაგალითად, სიყვარულია, როცა ადგები და ჭურჭელს მაინც გარეცხავ, თუმცა ჯერ შენი რიგი არ მოსულა.

**იხსენი საკუთარი თავი, ესეც გეყოფა.**

ანანასის გემოზე ვერ მოყვები, თუ არ გაგისინჯია. ვერ ილაპარაკებ, რა არის ქრისტიანობა, თუ არ ეზიარე მას.

სინჯეთ, აბა, დათმოთ. დაურეკეთ ვინმეს, ვისაც, მაგალითად, კარგა ხანია, არ ელაპარაკებით. უთხარით: მეგობარო, მოდი დავივიწყოთ ყველაფერი, მე რაღაც ისე არ ვთქვი, შენ რაღაც ისე არ მოიქეცი... რა დროს ესაა... წამო, სადმე გავიაროთ ერთად. ნახეთ, ღამე როგორ ტკბილად დაგეძინებათ!

ყველაფერი ერთიასად დაგიბრუნდებათ უკან სულის ალმაფრენად. აი, ეს არის ნამდვილი ბედნიერება!

მაგრამ სულის ალმაფრენას რომ მიაღწიოთ, მუდმივად უნდა ფიქრობდეთ როგორ ილაპარაკოთ, როგორ მოიქცეთ. ეს არის სწორედ აღმშენებლობა.

მომოიხედეთ გარშემო და დაინახავთ, რამდენი კარგი ადამიანია, რამდენი სუფთა, მხიარული სახეა ირგვლივ. თუ რაიმე სისაძაგლეს დავინახავთ, იცოდეთ, ეს ჩვენშია. მსგავსი მსგავსს იზიდავს, ბუნების კანონია. თუ ვინმე ქურდბაცაცა შევამჩნიე, ესე იგი, მე თვითონ მომიპარია რამე. ვიდრე სხვებს განიკითხავთ, მანამდე საკუთარ თავს შეხედეთ.

იხსენი საკუთარი თავი და ეს გეყოფა. დააბრუნე ღმერთი შენში, მიმართე შენი მზერა სხვებზე კი არა, საკუთარ თავზე, ჩაუღრმავდი საკუთარ თავს. შეიყვარე შენი თავი და მერე ეს სიყვარული მოყვასის სიყვარულად აქციე. ნორმა ეს არის.

ჩვენ ყველანი გაუკულმართებულები ვართ. იმის მაგივრად, რომ გულუხვობა გამოვიჩინოთ, სიძუნწე გვჯაბნის. უკუღმა ვცხოვრობთ, თავდაყირა დავდივართ. წაღმა რომ შევტრიალდეთ, გაცემა უნდა ვისწავლოთ. თუ ათი ათასი გაეცი და მერე გული დაგწყდა, ხუთიც ეყოფოდაო, გაიფიქრე, ჩათვალე, რომ შენი კეთილი საქმე არც ყოფილა.

**აი, გავლიე დღევანდელი დღე — ვის რა სარგებელი მოვუტანე?**

ყოველ ღამეს საკუთარ თავს ერთი უბრალო კთხვა უნდა დავუსვათ: აი, გავლიე დღევანდელი დღე, ვინმეს რამე სარგებელი მოვუტანე?

აი, მე შემიძლია, ისე დაგელაპარაკო, „სმირნაზე“ დაგაყენებ, გაჭიმულს გატარებ. და მერე რა? ამითი ან მე და ან თქვენ რამე შეგვემატება?

„გამთიშველი“ — ეშმაკის ერთ-ერთი სახელია. ჩვენში ჩაბუდებული მაცდური ჩაგვჩინებს: „შენ მართალი ხარ! მიდი, ყველას სეირი აჩვენე!“. მე ვცდილობ, ესე არასოდეს არ მოვიქცე. პატარ-პატარა ნაბიჯებით ვცდილობ წავიწიო წინ ჩემს სულზე მუშაობაში.

ვცდილობ, არაფრით არ ვიამაყო — არც ჩემი როლით „კუნძულში“, არც ჩემი ლექსებით, არც ჩემი სიმღერებით, ვცდილობ, ყველაფერ ამას გვერდიდან შევხედო. ჩემთვის სასწაული – ყოველი ცისმარე დღეა, ჩემთვის ყოველდღე ზეცა სხვანაირია.

არცერთი დღე არ გავს ერთმანეთს. ბედნიერებაა, ამას რომ ვამჩნევ. ძალიან ბევრი რამე გამომრჩა ცხოვრებაში, ამაზე გული მწყდება. ამაზე ხშირად ვტირივარ გულში. ბევრად უკეთესად, უფრო წმინდად შეიძლებოდა მეცხოვრა.

ერთხელ ერთმა კაცმა მითხრა, არაყს რომ ეტანებოდი, ასეთი სიმღერები იმიტომ დაწერეო. მე კიდევ მგონია, რომ ჩემი სიმღერები არყის გამო კი არა, არყის ჯიბრზე დავწერე.

ჩემი სამოცი წლის გადასახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ ცხოვრებაში ერთი წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლება. ცხოვრება ხანმოკლეა და მასში ყოველი წამი მშვენიერია.

თუ კი დილას ცუდ გუნებაზე გამეღვიძა, ღმერთს ვევედრები, მხნეობა მომანიჭოს და მის იმედად ვარ. აი,ასეთი განწყობით ვცხოვრობ“.

**მომზადებულია ვებგვერდ rashpil.pw-ს მიხედვით**

**ბერიას ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში დაიგო 3570 კმ სარკინიგზო ხაზი, გაიყვანეს 4200 კმ საავტომობილო გზა, აშენდა 842 აეროდრომი. ზურგში ევაკუაციის შემდეგ ქარხნებმა ძალიან მალე დაიწყეს ტანკების, თვითმფრინავების, საბრძოლო მასალების წარმოება. 1942-44 წლებში საბჭოთა კავშირი ყოველთვიურად აწარმოებდა საშუალოდ 2 ათას ტანკს და თვითმავალ საარტილერიო მოწყობილობას; ყოველწლიურად ამზადებდნენ 450 ათას ტყვიამფრქვევს.**

უცნობი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლავრენტი ბერია.
## რა გააკეთა მან სსრკ-ისა და საბჭოთა ადამიანებისთვის

ამა წლის 29 მარტს დაბადებიდან 199 წელი შეუსრულდებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალ ლავრენტი ბერიას, რომელსაც, ისევე, როგორც სტალინს, დასავლელი თუ საბჭოთა ისტორიკოსები ბევრ ცილს სწამებენ, მათ შორის — რეპრესიების დაწყებას, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ ბერია იყო ძალიან ნიჭიერი ორგანიზატორი (მენეჯერი), რომელმაც ბევრ წარმატებას მიაღწია.
უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში ე.წ. დიდი ტერორი, ანუ რეპრესიები, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით ხორციელდებოდა, დაიწყო 1937 წელს და დასრულდა 1938 წელს. ამ პერიოდში შინაგან საქმეთა კომისარიატს ხელმძღვანელობდა ნიკოლაი ეჟოვი, ლავრენტი ბერია კი ამ უწყებას 1938 წლის 25 ნოემბრიდან ჩაუდგა სათავეში...
ბერიას არქივი განადგურებულია, მის შესახებ არსებული დოკუმენტები — ფალსიფიცირებული, მაგრამ არ შევეცდებით რაღაცის მტკიცებას ან უარყოფას, უბრალოდ, მოგითხრობთ მის საქმეებზე, რომელთა უარყოფაც შეუძლებელია.

### მოღვაწეობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში: ამნისტიები და საგარეო დაზვერვის რეფორმა

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისრის პოსტზე მუშაობა ბერიამ ამნისტიის გამოცხადებით დაიწყო. გათავისუფლდა დაახლოებით 200 ათასი ადამიანი, რომლებიც **ეჟოვის** პერიოდში შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს, როგორც „ხალხის მტრები“. როგორც ჩანს, ეს იყო სტალინისა და ბერიას ერთობლივი ინიციატივა, რადგან სტალინს ესმოდა, რომ ეჟოვმა გადააჭარბა უფლებამოსილებას და ქვეყანაში სამართლიანობას უნდა ეზეიმა. ამის შემდეგ ბერიამ კანონიერების დამცველის რეპუტაცია მოიპოვა.

**ლავრენტი ბერიამ მოახერხა სსრკ-ის საგარეო დაზვერვის რეორგანიზაცია. სწორედ მისი ძალისხმევით ომის დაწყებამდე შეიქმნა აგენტურული ქსელი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა. უცხოეთში მომუშავე აგენტების წყალობით, საბჭოთა კავშირი იღებდა ინფორმაციას ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, აშშ-ის ატომური ბომბის შესახებ.**

1945 წელს ბერიას საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიანიჭეს. ასე აღნიშნეს მისი დამსახურება დიდი სამამულო ომის წლებში. 1940 წლის 30 ივნისიდან ბერია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი იყო, კურატორობდა საბრძოლო ტექნიკის წარმოებას, აკონტროლებდა ქვანახშირის მრეწველობისა და რკინიგზის სახალხო კომისარიატების მუშაობას.

ბერიას ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში შეიქმნა საკომუნიკაციო სისტემები, რომლებმაც საშუალება მისცა სახელმწიფოს, ზურგში გადაეტანათ მნიშვნელოვანი საწარმოები და გადაეყვანათ მუშა-მოსამსახურეები. **ბერიას ხელმძღვანელობით დაიგო 3570 კმ სარკინიგზო ხაზი, გაიყვანეს 4200 კმ საავტომობილო გზა, აშენდა 842 აეროდრომი. ზურგში ევაკუაციის შემდეგ ქარხნებმა ძალიან მალე დაიწყეს ტანკების, თვითმფრინავების, საბრძოლო მასალების წარმოება. 1942-44 წლებში საბჭოთა კავშირი ყოველთვიურად აწარმოებდა საშუალოდ 2 ათას ტანკს და თვითმავალ საარტილერიო მოწყობილობას. ყოველწლიურად ამზადებდნენ 450 ათას ტყვიამფრქვევს,** მაშინ, როცა გერმანიაში მხოლოდ 250 ათასს ტყვიამფრქვევს ამზადებდნენ. ამას გარდა, ომის წლებში საბჭოთა კავშირმა ბევრ სფეროში გადაუსწრო გერმანიას.

1942 წელს, როცა გერმანელი ფაშისტები ვოლგამდე მივიდნენ და გადაჭრეს სარკინიგზო მაგისტრალი მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ბერიამ რელსები და შპალები მოხსნა ბაიკალ-ამურის მაგისტრალიდან და მცირე ხანში ვოლგის მარცხენა ნაპირის გასწვრივ გაიყვანა სარკინიგზო ხაზი — ყიზლარი-ასტრახანი-სარატოვი. სწორედ ამის წყალობით, სტალინგრადთან კონტრშეტევის დაწყების წინ იქ გადაიტანეს ათასობით ვაგონი აუცილებლად საჭირო ტვირთისა.

ომის დასაწყისისთვის გერმანიას, რომლითვისაც მუშაობდა ქედმოხრილი ევროპა, ჰქონდა 43 ათასი ქვემეხი, სსრკ-ს — 36 ათასი. ერთი წლის შემდეგ სსრკ დაეწია გერმანიას. 1944 წლის იანვარში ჰიტლერს 55 ათასი ქვემეხი ჰქონდა, სსრკ-ს — 89 ათასი. ამ იარაღის მწარმოებელ სახალხო კომისარიატებს ბერია კურატორობდა.

**1943 წლის 30 სექტემბერს იარაღის წარმოებაში შეტანილი საგანგებო წვლილისთვის ბერიას საბჭოთა კავშირის შრომის გმირის წოდება მიანიჭეს, 1944 წლის მაისში კი დანიშნეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარედ, რომელიც განიხილავდა ყველა მთავარ მიმდინარე საკითხს. ამრიგად, 1944 წლის გაზაფხულიდან ბერია ოფიციალურად გახდა მეორე კაცი საბჭოთა კავშირში.**



### ატომური პროექტი

სსრკ-ში პირველი ექსპერიმენტები ურანზე მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ჩატარდა. ომის პერიოდში დაზვერვამ ქვეყნის ხელმძღვანელობას აცნობა აშშ-ისა და ინგლისის ატომური პროექტების შესახებ. ბერიამ ეს ცნობები თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სპეციალური კომისიის სამეცნიერო ხელმძღვანელ **იგორ კურჩატოვს** გააცნო. შეიქმნა სპეციალური ლაბორატორია. 1944 წლის 3 დეკემბერს სტალინმა ხელი მოაწერა განკარგულებას: „დაევალოს ამხ. ლ. ბერიას ურანზე ჩასატარებელი სამუშაოების მეთვალყურეობა“. აშშ-ის მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ სსრკ-ში ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობა დაჩქარდა.

**იგორ კურჩატოვმა მოგვიანებით აღიარა: „ბერია რომ არა, ატომური ბომბი არ იქნებოდა!“**

ბერიას ბრძანებით, ქვეყნის ყველა მეცნიერი ფიზიკოსი დათვალეს, მათმა რაოდენობამ 4212 შეადგინა. ატომური სფეროს სპეციალისტების დეფიციტის გამო სასწრაფოდ დაიწყო კადრების მომზადება. 1945 წელს სსრკ-ის დაზვერვამ მოიპოვა ანგარიში აშშ-ში ატომური ბომბის შექმნის შესახებ.

სსრკ-ში ატომური ბომბი შექმნეს და გამოსცადეს 1949 წელს. ორიოდე წლის შემდეგ შეიქმნა წყალბადის ბომბიც.

### „ექიმების საქმის“, „მეგრელთა საქმისა“ და ანტისემიტური პროცესების შეწყვეტა

სტალინის სიკვდილის შემდეგ სსრკ-ის ხელმძღვანელის პოსტს ბერიას უწინასწარმეტყველებდნენ. მთავრობის ოფიციალური ხელმძღვანელის პოსტი კი **გიორგი მალენკოვს** ერგო, ბერია მთავრობის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე გახლდათ. მან, ალბათ, გაიხსენა 1930-იან წლებში გამოცხადებული ამნისტიის ეფექტი და დახურა საქმეები, რომლებზეც იმ მომენტში უკვე ბევრი ადამიანი იყო დაპატიმრებული. **ბერიას ინიციატივით, 1953 წლის 27 მარტს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ბრძანებულება ამნისტიის შესახებ. სწორედ ამ ბრძანებულების შედეგად საპყრობილიდან გათავისუფლდა მილიონამდე ადამიანი. აღდგა ბევრი ექიმის შელახული რეპუტაცია, გაუქმდა დაუსახლებელ რაიონებში ებრაელთა დეპორტაციის გეგმა.**

### საპასპორტო შეზღუდვების გაუქმება

სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 13 მაისის დადგენილების პროექტში, რომელიც ბერიამ მალენკოვს შესთავაზა, აღნიშნული იყო საცხოვრებელი ადგილის საპასპორტო შეზღუდვის გაუქმების აუცილებლობა. ამ შეზღუდვის გამო ადამიანებს, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი, უფლება არ ჰქონდათ, დაბრუნებულიყვნენ შინ, ეცხოვრათ ოჯახის წევრებთან, დაეწყოთ მუშაობა მნიშვნელოვან პოსტზე. ბერიას მიერ შექმნილი პროექტი განხორციელდა და ე.წ. საპასპორტო შეზღუდვები გაუქმდა სსრკ-ის 300 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში.

### ნაციონალური კადრების დაწინაურება რესპუბლიკების ხელმძღვანელობაში

ბევრ საბჭოთა რესპუბლიკაში ხელმძღვანელ პოსტებს იკავებდნენ „მოსულები“ — ცენტრიდან ჩამოსული ადამიანები. ეს ადგილობრივ მოსახლეობას არ მოსწონდა. ბერიას ინიციატივით, დაიწყო თითოეული რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში ადგილობრივების დაწინაურების კამპანია.

ეს პრაქტიკა შენარჩუნებული იყო მრავალი წლის განმავლობაში: რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი, მეორე მდივანი — სსრკ-ის ცენტრალური კომიტეტის მიერ წარგზავნილი.

### გდრ-ში რეჟიმის შემსუბუქება

გერმანიის გაყოფის შემდეგ მისი აღმოსავლეთი ნაწილიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ბევრი წავიდა დასავლეთში. მასობრივი ემიგრაციის შეჩერების მიზნით ბერიამ ხელისუფლებას შესთავაზა, გაეუქმებინათ რამდენიმე გადაწყვეტილება, მათ შორის, მცირე და საშუალო კერძო კაპიტალის შეზღუდვის შესახებ. ბერიას წინადადება მოიწონა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა (წინააღმდეგი იყო მხოლოდ მალენკოვი) და ამის შემდეგ გდრ-დან ემიგრაცია მნიშვნელოვნად შემცირდა.

### კავკასიის დაცვა

1942 წლის აგვისტოში დაპყრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ბაქო და ნავთობსაბადოები. მტერი კავკასიის მთებისკენ მოიწევდა. გერმანელმა ფაშისტებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს და სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ აწყდებოდნენ. როდესაც მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა, სტალინმა კავკასიის დასაცავად მარშლები კი არ გაგზავნა, არამედ ბერია, მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს ყოფილა პროფესიონალი სამხედრო.

გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე ბერიამ განკარგულება გასცა, სხვადასხვა ფრონტიდან შეეკრიბათ ქართველი ოფიცრები, მათი ნაწილი ბერიასთან ერთად ჩაჯდა თვითმფრინავში. დღე-ღამეში შეგროვდა 150 ალპინისტი, რომლებმაც შემდეგ ადგილზე გაანადგურეს გერმანელთა მოტორიზებული ქვეითი ჯარი. მისი ბრძანებით, კავკასიაში გადაისროლეს შინაგან საქმეთა კომისარიატის რამდენიმე სასაზღვრო ნაწილი. ბერიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა ფრონტის სარდალი, მარშალი **ბუდიონი,** სამხედრო საბჭოს წევრი **კაგანოვიჩი** და რამდენიმე გენერალი, რომელთა ბრალიც იყო კავკასიაში თავდაცვის ჩაფლავება. ბერიამ გამოიძახა ყველა რანგის მეთაური და პირადად მათგან მიიღო ინფორმაცია ვითარების შესახებ. ამის შემდეგ კი გადაწყვიტა, შეექმნა ორი არმია, რადგან ერთობლივი ფრონტით ყველა ამოცანას ვერ უმკლავდებოდნენ. მისი ბრძანებით, გადაიკეტა უღელტეხილები, რათა ხელი შეეშალათ მტრის გადაადგილებისთვის. დახმარების მისვლამდე საჭირო იყო დროის მოგება. შეკრიბეს სნაიპერთა მობილური ჯგუფები, მისცეს ახალდამზადებული უხმაურო შაშხანები ინფრაწითელი სამიზნეებით და ეს ჯგუფები მხოლოდ 1 დღე-ღამის განმავლობაში 500-ჯერ ჩაუსაფრდნენ მტერს. სნაიპერებმა გაანადგურეს გერმანელი მზვერავები და ფაშისტების სვლა დამუხრუჭდა. ამ დღეების განმავლობაში საბჭოთა კავშირის სარდლობამ შეძლო კავკასიაში ტანკებისა და რამდენიმე სამხედრო შენაერთის გადასროლა. გერმანელების საბოლოოდ შეჩერებამდე და ვითარების შეცვლამდე ბერია კავკასიაში იმყოფებოდა.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

იგორ კურჩატოვი, საბჭოთა ატომური ბომბის შემქმნელი:
**ბერია რომ არა, ატომური ბომბი არ იქნებოდა!**

ვაჰ, სოფელო...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ის ოც თეთრს მომცემს, სხვა — ორმოცდაათს. ჭრელია ხალხი. ზოგი მოვა, ადგილს მოვუნახავ. გავაჩერებინებ მანქანას. მთელი დღე დგა, დგა, დგააა. მოვა, ჩაჯდება და წავა. დამწყდება გული. მრცხვენია. თავმოყვარეობა მკლავს, ამ დღეში რომ აღმოვჩნდი, მაგრამ, რა ვქნა? მადლობა ღმერთს, კარგ ხალხს რომ არ გამოლევს. ახალ წლებზე ზოგმა საჩუქარი მომართვა, ზოგმა ხუთი ლარი მაჩუქა, ერთმა ტორტი მომიტანა, ბიჭო! ღმერთმა გაუმარჯოს! ღვთისნიერი და მადლიანი ადამიანი ბევრი ცხოვრობს თბილისში“.

# «სითი პარკი» წავა, რა ეშველება «სტაიანშჩიკების» კლასს?

**თბილისის მოქალაქეთა შორის, ალბათ, არავინ დარჩა ისეთი, ვისაც არ გაუხარდა ნაცების ხელისუფლების ხელშეწყობითა და კორუფციული (როგორც ამბობენ) გარიგებით ჩვენს დედაქალაქს დაპატრონებულ „სითი პარკთან“ გაყრის პროცედურის დაწყება. როგორც იქნა!**

ვინ არ შეებრძოლა, ვინ არ დაუპირისპირდა ყოფილთა ხანაშიც და საოცნებო საქართველოშიც!

ამაოდ.

ამ ორომტრიალში რომელიღაც დაჯგუფებამ პრინციპული პარტიის სახელი მოირგო, ვიღაც მოლაყბემ დეპუტატობას გამოჰკრა ხელი, სხვამ საკრებულოში შერგო თავი და კიდევ ვიღაც წვრილ-წვრილ სიკეთეს გამორჩა.

„სითი პარკი“ შეურყევლად იდგა, როგორც უნიკალური აფერის, ხალხის ჯიბეებიდან ფულის სასრუტი ნოვაციური ნიმუში.

წავა, აბა, რა იქნება, გაისტუმრებენ, ფეხს ამოაკვეთინებენ, მაგრამ ამ საერთო კმაყოფილების ჟამს **დაფიქრებულა კი ვინმე იმ „სტაიანშჩიკების“ ბედზე, რომლებისთვისაც „სითი პარკის“ მიერ მოხაზულ ადგილებთან დგომა ოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალება იყო და არის?**

დღეს ამ „არალეგალურ დარგში“ დასაქმებულთაგან ერთ-ერთს გაგაცნობთ, ერთ ტიპურ „სტაიანშჩიკს“.

— ოლეგ არსენის ძე ჯავახიშვილი, ქართველი, — ასე გამეცნო ის კაცი, რომელიც მიცკევიჩის ქუჩისა და პეკინის პროსპექტის შესაყარზე, მოედნის მარჯვენა მხარეს, მანქანების სადგომზე მეთვალყურედ „მუშაობს“.

მიპასუხებს ისე, თითქოს საბჭოთა დროინდელ ანკეტას ავსებდეს, რომელშიც მამის სახელი, ეროვნებისა და სქესის ჩაწერა აუცილებელი იყო; იმის აღნიშვნაც, ჰყავს თუ არა ნათესავთაგან ვინმე უცხოეთში, არის თუ არა ტყვეობაში ნამყოფი და ა.შ.

სხვა რეჟიმი იყო, სხვა მოთხოვნებით.

დღეს ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა არ არსებობს, არც მამის სახელის გახსენებას გვთხოვენ, ხოლო ანკეტას ჰქვია „სივი“ (CV — ლათ. Curriculum Vitae — ცხოვრების გზა), რომელშიც უცხოეთში გადახვეწილი შენი ნათესავმოყვრების გვარ-სახელების ჩამოთვლას აზრი არ აქვს, რადგან ისედაც ცნობილია, რომ უნდა იყვნენ და არიან კიდეც, ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე.

სქესზე სიტყვას ნუ გავაგრძელებთ...

— სულ ქუჩაში ვდგავარო, — მეტყვის ყოფილი უმაღლესი კლასის მექანიზატორი, რომლის მამა ტრაქტორს ამუშავებდა კოლმეურნეობაში და შვილიც მამის კვალს მისდევდა.

— შოფერიც ვიყავი, სვარშჩიკადაც ვმუშაობდი — შემდუღებლად (მიხსნის), შემდეგ წისქვილკომბინატში, ზეინკლად — გორის უშველებელ წისქვილკომბინატში, ხუთ წელიწადს. იქიდან წამოვედი გორის ხრუსტალის ქარხანაში (ბროლის ქარხანაში, — მე გავახსენე. — ჰო, ასეაო). მერე ერთიც დაიშალა, მეორეც დაიშალა, ეს მთავრობაც სულ დაინგრა, გამსახურდია რომ მოვიდა. აღარაფერი იყო და რა უნდა გაგვეკეთებინა?!

მოვიდნენ არაფორმალები, ხომ გახსოვთ, როგორ იყო — მასკიანები (ნიღბიანები-მეთქი. ამაზეც დამეთანხმა. და გადავწყვიტე, თავი დამენებებინა ამ ჩასწორება-გასწორებისთვის, რადგან მის ლექსიკას იმ ძველი დროის სურნელი და უშუალობის რაღაცნაირი სითბო მოჰქონდა). სოფელში რომ მქონდა ქათმების ფერმა და რაღაც ორი მანეთი ვიშოვე, რაც დანადგარი იყო იქ და ყველაფერი წაიღეს. ღამე მოვიდოდნენ, ეს მინდა, ეს მინდა! და, აბა, ავტომატიან კაცს ცარიელი ხელებით ვინ დაუდგება წინ?! დავრჩი ცარიელ-ტარიელი. ცემა, ჩხუბი, უბედურება... აღარც კბილები შემრჩა პირში.



მიწის დამუშავება დავიწყე ახალსოფელში და მე და ჩემი მეუღლე, რასაც მოვიწევდით, მომქონდა თბილისში, ახმეტელის ბაზარში და ვყიდდით. 14 წელიწადი ვიმუშავე. ასე მოვიტანე დღევანდლამდე თავი.

— **მამული კარგი გაქვთ?**

— კარგია, მაგრამ წყალი არ არის და რად გინდა? ადრე, კომუნისტების დროს, წყალიც იყო და ყველაფერიც. დაბურღული იყო, ნასოსები აკაჩავებდა, წყალი მოდიოდა არნახული, როცა მოისურვებდი, მაშინ მორწყავდი. ერთი ჰექტარი ვაშლის ბაღი მქონდა, ჰექტარ-ნახევარი — შავი ქლიავისა, სათესი ყანაც მქონდა და ცარიელი მიწაც. ახლა ველარც ის მომყავს, ველარც ის მომყავს *(ვერაფერიო ანუ).*

— **წაგართვეს მიწა?**

— არა, მაგრამ უწყლოდ რა გაიხარებს?! გახმა. ბალახიც აღარ მოდის.

— **ოჯახი დიდი გაქვთ?**

— მე და ჩემი ცოლი, ორი შვილი მყავს, ორივენიც — დაოჯახებულები, ოთხი შვილიშვილი. შვილებს უმაღლესები აქვთ დამთავრებულები ეკონომიკური განხრით, არც ერთს სამსახური არ აქვს. მე კი აქა ვდგავარ.

*(ვდგავართ. ვსაუბრობთ. ამასობაში „სტაიანკიდან“ ერთი მანქანა წავიდა და ერთიც მოვიდა — ხურდა მიაწოდა მანქანის პატრონმა. გმადლობთო და გაიხარეთო, უპასუხა ჩემმა რესპონდენტმა — დალოცვასავით).*

— ის ოც თეთრს მომცემს, სხვა — ორმოცდაათს. ჭრელია ხალხი. ზოგი მოვა, ადგილს მოვუნახავ. გავაჩერებინებ მანქანას. მთელი დღე დგა, დგა, დგააა. მოვა, ჩაჯდება და წავა. დამწყდება გული. მრცხვენია. თავმოყვარეობა მკლავს, ამ დღეში რომ აღმოვჩნდი, მაგრამ, რა ვქნა? მადლობა ღმერთს, კარგ ხალხს რომ არ გამოლევს. ახალ წლებზე ზოგმა საჩუქარი მომართვა, ზოგმა ხუთი ლარი მაჩუქა, ერთმა ტორტი მომიტანა, ბიჭო! ღმერთმა გაუმარჯოს! ღვთისნიერი და მადლიანი ადამიანი ბევრი ცხოვრობს თბილისში. კეთილი ადამიანი კიდევ ბევრია შემორჩენილი... აი, ამ სიყვარულით ვარ გაჩერებული.

**მაინც იმ დროს ნატრობს, მუშათა და გლეხთა სახელმწიფო რომ ერქვა ქვეყანას.**

— **ნეტავ, ამ დროს არ მოვსწრებოდი, რა სიმწარეც აქ ვნახე და გადავიტანეო, — მეტყვის და მიტრიალდება, ცრემლს დამიმალავს, თვალზე მომდგარს.**

*აქვე ვიტყვი: გამომშვიდობებისას მანეთიანი გავუწოდე, რკინისა. მოიკლა თავი, არ გამომართვა. მე უფრო მოვიკალი თავი. არაფერი რომ არ გამომივიდა, მანქანის კაპოტზე დავუტოვე. ვისთვის არაფერს ნიშნავს, ვისთვის — ფულია...*

— **აქ როგორ მოხვდით?**

— მაგასაც მოგიყვებით. აი, აქ, ეზოში შესასვლელთან 5 წელიწადი ვიდექი და ვყიდდი ჩემს მოწეულ მოსავალს. ყველა მცნობდა.

ამ ადგილზე „სტაიანშჩიკად“ მუშაობდა ერთი მეგრელი კაცი. დალევა უყვარდა. ერთხელ ვუთხარი: ოღონდ იმ პადვალში არ ჩახვიდე და ის გაკეთებული ღვინო არ დალიო და მე ჩამოგიტან ჩემს დაწურულს-მეთქი. ჩამოვუტანდი ხოლმე. დავძმაკაცდით.

თემურ ოდიშარია იყო, კაი კაცი, გემრიელი კაცი.

— **იყო?!**

— გარდაიცვალა. დაიღუპა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. იმ კაცმა დამაწყებინა აქ მუშაობა — ერთმანეთს ჩავენაცვლებოდით ხოლმე. თავიდან მრცხვენოდა აქ დგომა, მერე თანდათან შევეჩვიე. ხან ხუთი მანეთი მრჩებოდა...

— **მანეთი?!**

— უკაცრავად, — ლარი. ხომ იცი, შეჩვეულს ძნელად გადაეჩვევი... ხან ხუთი ლარი, ხან — ათი, ხან — რვა... იმ დღიდან დღემდისინ აქა ვარ. უკვე ხუთი წელია, ქუჩაში ვარ. მეტი აღარაფერი საშუალება არ გამაჩნია.

სახლში რომ მივდივარ, იქაც ვეწვალები. ვშრომობ *(სამ ოპერაციაგადატანილი კაცია. — ა.ს.).* ასე შემოვრჩი.

შემორჩა. ჯერჯერობით. რადგან არავინ იცის, როგორ გადაწყდება მისი, როგორც „თვითდასაქმებული“ ადამიანის, ბედი, „სითი პარკის“ ბოლოლა მფლობელები წავლენ ისრაელში, არ დაბრუნდებიან (იმედი ვიქონიოთ!), მაგრამ დარჩებიან კი ჩემი რესპონდენტისნაირი „სტაიანშჩიკები“ თავიანთ სამუშაო ადგილებზე?

დატოვებენ? თბილისის მერიაში ვინმე ფიქრობს ამათზე?

ან, ეგებ, მოფიქრებულიც აქვთ? თუ — ჰო, ბარაქალა! მაგრამ დღეს პერსპექტივა გაურკვეველია.

და ქუჩაში, რომელიც ყველა დროსა და ვითარებაში გაჭირვებული კაცის პარადოქსული თავშესაფარი იყო, „სტაიანშჩიკად“ დგას 66 წლის პენსიონერი, ერთ დროს უმაღლესი კლასის მექანიზატორი **ოლეგ არსენის ძე ჯავახიშვილი**, ეროვნებით ქართველი.

**არმაზ სანებლიძე**

# აზიური ფაროსანას შეგროვება — ახალი ბიზნესი აფხაზეთში



**როგორც გაირკვა, სასოფლო-სამეურნეო მავნებლის მეშვეობით ფულის შოვნა შეიძლება — აფხაზეთში სამეცნიერო კვლევებისთვის აზიური ფაროსანას შეგროვება დაიწყეს.**

მას, ვინც უახლოესი ორი კვირის განმავლობაში 1კგ აზიურ ფაროსანას ჩააბარებს, ათას რუბლს (18 დოლარს) გადაუხდიან, — განაცხადა სოხუმში გამართულ თათბირზე რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **ჯამბულატ ხატუოვმა**. როგორც მედიაპლატფორმა JAMnews-ი იუწყება, თათბირი აზიურ ფაროსანასთან ბრძოლაში აფხაზი და რუსი სპეციალისტების კოორდინაციის საკითხებს ეძღვნებოდა.

„უახლოეს პერიოდში ლაბორატორიული კვლევებისთვის საჭიროა ფაროსანების დიდი მასა, და რუსული მხარე, მოსახლეობის დამატებითი სტიმულირების მიზნით, ფასს აცხადებს — ათასი რუბლი ერთ კილოგრამ აზიურ ფაროსანაში, რომელიც უახლოეს ორ კვირაში შეგროვდება. ფაროსანა საჭიროა დამატებითი სამეცნიერო კვლევისთვის, რომელიც სწრაფად უნდა ჩატარდეს. კვლევა მანამდე უნდა ჩავატაროთ, ვიდრე ძალიან დათბება“, — აღნიშნა ჯამბულატ ხატუოვმა. კვლევის შედეგებს აფხაზეთში აზიური ფაროსანას გასანადგურებლად გამოიყენებენ.

„ყველა რაიონში აღმოჩენილია ფაროსანა, რომელიც გაზაფხულის მოსვლასთან ერთად გააქტიურებას იწყებს. დასკვნა — აფხაზეთის ტერიტორიაზე მავნებელი არსებობს და მასთან ბრძოლაა საჭირო, — ამბობს რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა მეურნეობის დეპარტამენტის დირექტორი **პეტრე ჩეკმარიოვი**.

აზიური ფაროსანა აფხაზეთში ოთხი წლის წინათ გამოჩნდა და ამ პერიოდში ადგილობრივი სოფლის მეურნეობა ძალიან დააზიანა. ოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთში მანდარინის, თხილისა და ნიგვზის მოსავალი 70 %-ით შემცირდა. აფხაზეთის ბიუჯეტიდან 2018 წელს აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად 20 მილიონი რუბლი გამოიყო (დაახლოებით 400 ათასი დოლარი). აფხაზეთს მავნებელთან საბრძოლველად ფინანსურ დახმარებას საერთაშორისო ორგანიზაციები უწევენ, კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა **დაურ თარბამ** მოსახლეობას მოუწოდა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ყველაფერი იქით მიდის, რომ, შესაძლოა, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის საზღვარი ჩაიკეტოს“.

„აპრილში აზიური ფაროსანა გამოიღვიძებს და ფრენას დაიწყებს. ჯერჯერობით მათი რაოდენობა დიდი არ იქნება. ძირითადი შემოტევა ივლისში დაიწყება“, — განუცხადა JAM news-ს ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა **რომან დბარმა**. ეკოლოგს მიაჩნია, რომ სხვადასხვა მავნებელთან ეფექტიანი ბრძოლისთვის აუცილებელია მცენარეთა დაცვის სისტემის მოდერნიზაცია.

„აუცილებელია კვალიფიციური კადრების, აგრონომების, ენტომოლოგების მომზადება, სპეციალიზებული ტექნიკის მოძველებული პარკის განახლება. „შედეგი მხოლოდ მაშინ გვექნება“, — ამბობს დბარი.

სოციალურ ქსელში მოსახლეობისგან აზიური ფაროსანას შესყიდვის ინიციატივას იუმორით შეხვდნენ:

* რამდენს იწონის ერთი ფაროსანა? ვფიქრობ, ზამთრის შიმშილობის შემდეგ, ალბათ, 1 გრამზე ნაკლებს. 1000 ფაროსანაზე მეტი როგორ უნდა შევაგროვოთ? რომ გვცოდნოდა, ზამთარშივე დავიწყებდით შეგროვებას. აფსუს, რამდენი გავანადგურეთ და გადავყარეთ ტყუილად.

* ისე არ მოხდეს, რომ ამ კეთილშობილურმა ინიციატივამ ჩვენს ბიზნესმენებს ფაროსანების ფერმის შექმნისკენ უბიძგოს.

* სასწრაფოდ უნდა დაწესდეს მუხლი აზიური ფაროსანას კონტრაბანდაზე.

**სოფო კაკაჩია**

**P.S. საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კახეთის რეგიონში აზიური ფაროსანას მონიტორინგის სისტემებს ამონტაჟებენ. რეგიონში 1300 ერთეული სპეციალური დამჭერი ხაფანგი განთავსდება. მონიტორინგის მეშვეობით მოხდება მავნებლის იდენტიფიცირება და გავრცელების არეალის დადგენა, ხოლო შედეგების მიხედვით დაიგეგმება მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები. 2017 წელს აზიურ ფაროსანაზე მონიტორინგის მიზნით ქვეყანაში 21 ათასი ხაფანგი დამონტაჟდა.**

**60-70 ც/ჰა მოსავლიანობის ფართობზე თავისუფლად ძოვებისას ყოველი ჰექტრიდან ცხოველი აითვისებს (შეჭამს) 47 ცენტნერ ბალახს, ხოლო დანარჩენი გამოუყენებელი დარჩება. თავის მხრივ, იმავე ფართობზე ნაკვეთმორიგეობითი ძოვებისას დანაკარგი 15%-მდე შემცირდება, რის გამოც „სასარგებლო მოსავლის“ რაოდენობა მიაღწევს 56 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებების გატარებისას - 68 ც/ჰა-ზე, ანუ გაიზრდება თითქმის 45%-ით.**

ფერმერთა სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რძის მწარმოებელთა პრობლემები და მათი გადაწყვეტის შესაძლებლობები

„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს რუბრიკას „ფერმერის სკოლა“, რომელსაც უძღვებიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გოგოლა მარგველაშვილი და ელგუჯა გუგუშვილი.




### წერილი მეორე

## ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სიკეთე

**ელექტრომწყემსის დახმარებით ნაკვეთმორიგეობითი ძოვების ეფექტიანობა დამტკიცებულია სხვა სახეობის ცხოველების საძოვრულად შენახვისას. ამ დანიშნულებასთან ერთად, მეცნიერების მიერ ელექტრომწყემსი აღიარებულია, როგორც მტაცებელი ნადირისგან სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაცვის საკმაოდ ეფექტიანი საშუალება. ახალი კონსტრუქციის ელექტრომწყემსის უპირატესობა არის ისიც, რომ ის აღჭურვილია მზის ბატარეით, რომელიც მუშაობს ღრუბლიან ამინდშიც**



პირველ წერილში აღვნიშნეთ, რომ გაზაფხულზე ცხოველების საძოვრულ კვებაზე გადაყვანა სიფრთხილეს მოითხოვს და ამ საკითხის სწორად გადაწყვეტა მნიშვნელოვანი ეკონომიკური დივიდენდებით დაუბრუნდება ფერმერს. მეტიც, მრავალრიცხოვანი კვლევებით დადგენილია და ეს საწარმოო პრაქტიკამაც დაამტკიცა, რომ საძოვრების სწორად მოწყობისა და გამოყენებისას, ყოველგვარი დამატებითი კვების გარეშე, შესაძლებელია ფურის დღიურმა მონაწველმა მიაღწიოს 20-25 კგ რძეს, ხოლო მოზარდის სადღეღამისო ნამატმა 750-800 გ-ს.

ცნობილია, რომ საქართველოში, სოფლად მცხოვრებთა პირად დამხმარე და მეტ-ნაკლებად ორგანიზებულ ფერმერულ მეურნეობებშიც კი ჯერ კიდევ მიმართავენ ტრადიციულ, ე.წ. უსისტემო ძოვებას, როდესაც ნახირი წინასწარი მომზადების გარეშე გაჰყავთ სოფლისპირა ან ფერმის მიმდებარე ნაკვეთებში და შეუზღუდავად აძოვებენ.

**უსისტემო ძოვება, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს კორდსა და ნიადაგზე. ეს უკანასკნელი იტკეპნება, ქვეითდება აერაცია და ძლიერდება წყლის აორთქლება. ასეთ პირობებში საძოვრული სეზონის მეორე ნახევარში (შემოდგომის დაწყებამდე), მოსავლიანობის შემცირების გამო, ცხოველები საკვების ნაკლებობას განიცდიან და იძულებული არიან, ჭამონ დაბალყუათიანი და გაუხეშებული ბალახი.**

საქმე ის არის, რომ თავისუფლად (მიშვებით) ძოვებისას ბალახნარში მარცვლოვანი და პარკოსანი მცენარეების რაოდენობა თანდათან მცირდება და აღინიშნება ნაკლებად ნოყიერი და ისეთი სარეველა ბალახების მომრავლება, რომელსაც საქონელი არ ჭამს, აგრეთვე, დაბალმოზარდი მცირემოსავლიანი მცენარეებისა. გარდა ამისა, საძოვარზე აქტიურად გადაადგილებისას ბალახის მნიშვნელოვან ნაწილს ცხოველები ჩლიქებით თელავენ და მწვანე მასის 30-35% ნადგურდება. ეს ხდება იმიტომ, რომ შეუზღუდავად ძოვებისას პირუტყვი ყოველდღიურად შემოივლის ნაკვეთის მთელ ფართობს და უპირატესად ძოვს უფრო კარგ და ნოყიერ ბალახს, ე.წ. სარეველები კი რჩება და მრავლდება.

გარდა აღნიშნულისა, **თავისუფალი ძოვების უარყოფითი მხარეა ისიც, რომ შეუძლებელია ან მეტად გაძნელებულია საძოვრის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების ჩატარება, მათ შორის, მინერალური სასუქების შეტანა, სასარგებლო ბალახეულის შეთესვა და სხვ.**

გამოკვლევებით დადგენილია, რომ მარცვლოვანი ბალახები ყვავილობის დაწყების წინ, ხოლო პარკოსნები ყვავილობის შუა პერიოდში, ნაკლებად მიმზიდველია ძროხისთვის. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ძოვებისას, უპირატესად მარცვლოვან ცენოზიანი საძოვრის გამოყენების პირველი ციკლი დამთავრდეს დათავთავებამდე, ხოლო პარკოსან ცენოზიანი საძოვრებისა — ყვავილობის დაწყებამდე.

ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე, აგრეთვე, ურწყავ ნაკვეთებზე ძოვებისას საკვების დეფიციტი, როგორც წესი, იგრძნობა ზაფხულის მეორე ნახევარში, სიცხეების დაწყებამდე, რაზეც სარძეო პროდუქტიულობისა და დღეღამური ნამატის შემცირებით მკვეთრად რეაგირებენ მეწველი ფურები. ამის გამო, ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს საკვების რეზერვის შექმნის აუცილებლობა.

**საძოვრების რაციონალურად გამოყენებისა და ცხოველების მონაწველის გასაზრდელად შემუშავებულია ე.წ. ნაკვეთმორიგეობითი ძოვების ტექნოლოგია, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში:**

საძოვარს ყოფენ 4-5-დან 8-10-მდე თანაბარ ნაკვეთად. ამათგან შედარებით კარგად განვითარებულ ბალახიან ნაკვეთს შემოღობავენ ელექტრომწყემსით (სურ.) და მასზე 5-7 დღეს აძოვებენ პირუტყვს. შემდეგ ნახირი გადაჰყავთ მეორე, მესამე და ა.შ. ნაკვეთში. ნახირი პირველ ნაკვეთს უბრუნდება 25-28 (30) დღის შემდეგ, რაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ბალახმა „დაისვენოს“, შეძლოს წამოზრდა და მიაღწიოს სიმწიფეს.

ნაკვეთში ძოვების ხანგრძლივობას საზღვრავენ მოძოვილი ბალახნარის სიმაღლით: **როდესაც ბალახნარის სიმაღლე დაახლოებით 5 სმ-ია, ცხოველები გადაჰყავთ სხვა ნაკვეთზე, რადგან უფრო დაბალ სიმაღლემდე (2-4 სმ) ძოვებისას ცხოველი, ფაქტობრივად, შიმშილობს, ბალახოვანი საფარის მდგომარეობა კი მკვეთრად უარესდება.**

პირველი როტაციის (ციკლის) დასრულების შემდეგ მეორე როტაცია უნდა დავიწყოთ პირველი ნაკვეთის მოძოვის დამთავრებიდან არანაკლებ 25 დღის შემდეგ, ხოლო მესამე — მეორე ციკლის პირველი ნაკვთის დამთავრებიდან 30-40 დღის შემდეგ.

ნაკვეთის „დასვენების“ პერიოდში ფერმერს შეუძლია საძოვრის მორწყვა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება. ამასთანავე, ძირითადთან ერთად, სასურველია, გვქონდეს 2-3 სათადარიგო ნაკვეთი, ვინაიდან გვალვის მიზეზით ბალახნარის მოსავლიანობის შემცირებისას ეს დაეხმარება პირუტყვის საკვებით სრულად უზრუნველყოფაში.

ნაკვეთების რაოდენობა, ფართობი, დატვირთვა და სხვა ორგანიზაციული საკითხები ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის უნდა გადაწყდეს დამოუკიდებლად, ნახირში ცხოველების რაოდენობისა და საკვებზე მოთხოვნის გათვალისწინებით.

ნაკვეთმორიგეობითი ძოვების ეფექტიანობა კარგად ჩანს ცხრილიდან: **60-70 ც/ჰა მოსავლიანობის ფართობზე თავისუფლად ძოვებისას ყოველი ჰექტრიდან ცხოველი აითვისებს (შეჭამს) 47 ცენტნერ ბალახს, ხოლო დანარჩენი გამოუყენებელი დარჩება. თავის მხრივ, იმავე ფართობზე ნაკვეთმორიგეობითი ძოვებისას დანაკარგი 15%-მდე შემცირდება, რის გამოც „სასარგებლო მოსავლის“ რაოდენობა მიაღწევს 56 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებების გატარებისას — 68 ც/ჰა-ზე, ანუ გაიზრდება თითქმის 45%-ით.**

ნაკვეთმორიგეობით ძოვებისას, შესაძლებელია, წლების განმავლობაში შევინარჩუნოთ ან გავაუმჯობესოთ საძოვრის მოსავლიანობა და ცენოზის შემადგენლობა.

ნაკვეთების რაოდენობისა და საჭირო ფართობზე მოთხოვნის გაანგარიშებისას გასათვალისწინებელია ნახირში ცხოველთა სულადობა, საკვების მოთხოვნა, საძოვრის მდგომარეობა, ბალახდგარის ნორმალური ვეგეტაციისთვის საჭირო ტენით უზრუნველყოფა, ცენოზის შედგენილობა და სხვ.

საშუალოდ 1 სულის საკვებით დასაკმაყოფილებლად საჭირო ფართობზე მოთხოვნა ქვეყნის სხვადასხვა ბუნებრივ კლიმატურ ზონაში განსხვავებული იქნება, ვინაიდან საძოვრის ბალახის ყუათიანობა, აგრეთვე, სხვადასხვა ნივთიერების მაკრო და მიკროელემენტების შემცველობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, ძირითადად კი, ბალახნარის ბოტანიკურ შედგენილობაზე, ვეგეტაციის პერიოდსა და ნიადაგის მდგომარეობაზე.

სპეციალურ ცნობარებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია საძოვრის საშუალოდ 1 სულზე საჭირო მწვანე ბალახის საშუალო დღიური მოთხოვნის განსაზღვრა. საორიენტაციო მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ფერმერისთვის გასაგები რომ იყოს, რა რაოდენობის ფართობი არის 1 სული ფურის გამოსაკვებად საჭირო, მოვიტანთ ერთ გაანგარიშებას: ვთქვათ, საძოვრის მწვანე მასის საჰექტარო მოსავლიანობა არის 70 ცენტნერი, ხოლო საძოვრული პერიოდის ხანგრძლივობა — 200 დღე. თუ გვყავს 350-400 კგ ცოცხალი მასისა და დღეში 16-18 კგ წველადობის მქონე ფური, მისი მოთხოვნილება მწვანე ბალახზე შეადგენს 55 კგ-ს დღეში. ამდენად, საძოვრული პერიოდის 200 დღეში მის გამოსაკვებად დაგვჭირდება 110 ც ბალახი; აქედან გამომდინარე, თავისუფლად ძოვებისას, საშუალოდ, 1 ფურზე საჭიროა 60-70 ც/ჰა მოსავლიანობის 1,56 ჰა საძოვარი.

ნაკვეთმორიგეობით ძოვებას აქვს უდიდესი პროფილაქტიკური მნიშვნელობა. საქმე ის არის, რომ კუჭ-ნაწლავის პარაზიტებით დაავადებული ცხოველის ნაკელიდან ნიადაგზე მოხვედრილი კვერცხები ახალი „მასპინძლის“ ორგანიზმში დროულად ვერ ხვდება და მზის სხივებისა და სხვა კლიმატური ფაქტორების მოქმედებით იხოცება. ამდენად, სწორად ორგანიზებული ნაკვეთმორიგეობითი ძოვება უზრუნველყოფს საშიში აღმძვრელებისგან საძოვრის „თვითგაწმენდას“.

ელექტრომწყემსის დახმარებით ნაკვეთმორიგეობითი ძოვების ეფექტიანობა დამტკიცებულია სხვა სახეობის ცხოველების საძოვრულად შენახვისას. ამ დანიშნულებასთან ერთად, მეცნიერების მიერ ელექტრომწყემსი აღიარებულია, როგორც მტაცებელი ნადირისგან სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაცვის საკმაოდ ეფექტიანი საშუალება.

ახალი კონსტრუქციის ელექტრომწყემსის უპირატესობა არის ისიც, რომ ის აღჭურვილია მზის ბატარეით, რომელიც მუშაობს ღრუბლიან ამინდშიც.

**გიული გოგოლი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის ასოცირებული პროფესორი**

# შოვინიზმის ერთი გამოკრთომა ქართულ სამართალწარმოებაში

**დანაშაულის ნიშნების შემცველი ეს ამბავი ორჯერ ორივით მარტივია. ყალთაბანდობაა ჩვეულებრივი, მაგრამ რეაქცია, რომელიც ამ ამბავს მოჰყვა, ანომალურია ისეთი ტრადიციულად ტოლერანტული ქვეყნისთვის, როგორიც იყო და არის საქართველო. ჯერ ფაქტის შესახებ.**

დედა-შვილი **ზაირა დოგუზოვა** და **სერგეი ბიკოევი** 1988 წლამდე თბილისში ცხოვრობდნენ და ფლობდნენ უძრავ ქონებას — სახლს, ჯავის III შესახვევის №4-ში, რომლის მესაკუთრე 2009 წლის 19 ივლისამდე (გარდაცვალებამდე) იყო ქალბატონ ზაირას ქმარი, სერგეის მამა **შალვა ბიკოევი.** ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მისი პირველი რიგის მემკვიდრეები გახდნენ ზაირა დოგუზოვა (მეუღლე) და სერგეი ბიკოევი (შვილი).

კანონით ასეა დადგენილი.

მაგრამ მოხდა საოცარი რამ.

1988 წლიდან ოჯახის უფროსის ავადმყოფობის გამო, ექიმების რჩევით, ბიკოევები იძულებული შეიქნენ, დროებით საცხოვრებლად გადასულიყვნენ რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, ქალაქ ასტრახანში, სადაც დღემდე ცხოვრობენ კომუნისტიჩესკაიას ქუჩის №46/34-ში.

2013 წლის დასაწყისში გადაწყვიტეს საქართველოში დაბრუნება. თბილისში ჩამოდის სერგეი ბიკოევი ამ საკითხზე ფორმალობების მოსაგვარებლად და აღმოაჩენს, რომ მისი და დედამისის კუთვნილი სახლი მათი აღარ არის.

გაირკვა, რომ შალვა ბიკოევის ძმისშვილმა **გიორგი პაპუაშვილმა**, რომელსაც ბიკოევებმა თავიანთი სახლი რუსეთში ყოფნის პერიოდში ყურადღების მისაქცევად ჩააბარეს, გაურკვეველი პირების დახმარებით დაამზადა ყალბი მოწმობა, რომლის თანახმად, შალვა ბიკოევი ვითომ 1994 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა და მის ერთადერთ მემკვიდრედ დარჩა გიორგი პაპუაშვილი. ამ „ცნობაზე“ დაყრდნობით პაპუაშვილმა მიისაკუთრა ჯავის III შესახვევში მდებარე სახლი №4.

— ეს არის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით, — მიიჩნევს ბიკოევების ინტერესების დამცველი ადვოკატი **ვლადიმერ კიკნაძე** და დასძენს, — (პაპუაშვილმა) ნოტარიუს **ნინო სალაძის** მეშვეობით უკანონოდ მიიღო სამკვიდრო მოწმობა №111131552, შეცდომაში შეიყვანა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამსახური და თაღლითური გზით დაეუფლა შალვა ბიკოევისა და მისი კანონიერი მემკვიდრეების ქონებას, რითაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

ასევე, გაირკვა, რომ გიორგი პაპუაშვილმა უკანონო გამდიდრებისა და უფრო მეტი სარგებლის მიღების მიზნით, **სხვისი ქონების უკანონო გამოყენებით** (ზაირა დოგუზოვასა და სერგეი ბიკოევის უძრავი ქონების გარანტიით), **აიღო იპოთეკური სესხი მოქალაქე ომარ გოცაძისგან,** რომლისთვისაც დასაბრუნებელი თანხა დღეს შეადგენს 100 000 აშშ დოლარს, ასევე, დამატებით აიღო სესხი ამავე ქონების გარანტიით სხვა პირისგან, რითაც დანაშაულებრივი გზით მიიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით სარგებელი. სამწუხაროდ, ბიკოევების ოჯახის სახლში დღესაც მათთვის უცნობი პირები ცხოვრობენ.

ალსანიშნავია, რომ ბიკოევების არც წინა ადვოკატმა და არც სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეებმა 2013 წლიდან დღემდე არ მიაქციეს ყურადღება, რომ გიორგი პაპუაშვილის ქმედებაში აშკარად იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები (თუმცა ვალდებული იყვნენ) და განაგრძობდნენ აღნიშნული ქმედების განხილვას სამოქალაქო დავის ჭრილში(!)... შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2017 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით, ზაირა დოგუზოვასა და სერგეი ბიკოევს, მართალია, თითქოს „დაუბრუნდათ“ გიორგი პაპუაშვილის მიერ თაღლითური გზით მითვისებული უძრავი ქონება და ისინი ცნეს ამ ქონების მესაკუთრეებად, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გიორგი პაპუაშვილის მიერ უცხო პირებთან **იპოთეკური სესხის ხელშეკრულებით თაღლითური გზით მიღებული 47 000 აშშ დოლარის** (დღეს უკვე 100 000 აშშ დოლარს შეადგენს) გადახდა დაეკისრა ჩემს კლიენტებს, რაც, ფაქტობრივად, უძრავი ქონების დაკარგვას ნიშნავს. ვინაიდან ასეთი დიდი თანხის მოძიება მათ არ შეუძლიათ". ეს არის ვრცელი ამონარიდი ადვოკატ **ვლადიმერ კიკნაძის** განცხადებიდან, რომლითაც მან საქართველოს მთავარ პროკურორ **ირაკლი შოთაძეს** მიმართა.



**— რა რეაქცია ჰქონდა პროკურატურას?**

— გაგზავნა ქვემდგომ ინსტანციაში, უფრო ზუსტად, პოლიციაში. თავიდან მოიცილა.

**და აქ მოწმე გახდა მომჩივანთა ინტერესების დამცველი იმ ანომალიის, რომელიც სამართლის დადგენის გზაზე გადაულახავ წინაღობად აღიმართა მის წინაშე და რომელსაც ეწოდება შოვინიზმი, აბსოლუტურად უცხო ქართული მენტალიტეტისთვის და განსაკუთრებით დასაგმობი სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული მოხელეებისთვის.**

**მოვუსმინოთ ადვოკატს:**

— გიორგი პაპუაშვილს რომ ვკითხე, ასე უსინდისოდ რატომ მოექეცი-მეთქი შენს ალალ ბიძაშვილს, მიპასუხა: რუსეთში სამუშაოზე მოწყობას დამპირდა, არ შემისრულა და სამაგიერო გადავუხადეო.

აქედან უკვე ჩანს, რა მორალის ადამიანია.

ამიტომ არ გამკვირვებია, რომ ჩემი გაცურებაც აფერისტული დაპირებით მოინდომა: უკვე კანადაში მივდივარ სამუშაოდ და იქიდან დავფარავ ბიკოევების იმ გადასახადს, რომელიც სასამართლომ დააკისრაო. 100 ათასზე მეტ თანხაზე მელაპარაკებოდა შარშან ოქტომბერ-ნოემბერში. ქურთ ქურდებსაც ჩავრევო ამ საქმეში და რაღაც სისულელეებს ამბობდა. ბოლოს მითხრა, 60 წელს გადაცილებულმა კაცმა, სადაც გინდა, იქ იჩივლე, არსად არაფერი გამოგივა — არ დაგავიწყდეს, რომ ესენი ოსები არიან, თანაც რუსეთის მოქალაქეები. ჩვენ პროკურატურაში მეგობრები გვყავს და არ აღიძვრება ეგ საქმეო.

ამ საუბარში მონაწილეობდა მისი მოყვანილი ვინმე **ირაკლი...**

გლდანი-ნაძალადევის პროკურატურაში ამბის გასაგებად რომ მივედი, პირველი, რაც იქაურმა თანამშრომელმა მკითხა (პროკურორი, ვისაც ჩემი საჩივარი დააწერეს, მხოლოდ ტელეფონით მელაპარაკებოდა, არ მხვდებოდა): ბიკოევები სადაური მოქალაქეები არიანო. ვუპასუხე, რომ რუსეთის მოქალაქეები იყვნენ. ცხვირი აიბზუა, — ეუფო! მეორე „ეუფ“ გავიგონე, როცა მათი ეროვნულობის შესახებ შეკითხვაზე ვუპასუხე, ოსები არიან-მეთქი.

პრაქტიკულად იგივე გამეორდა, როცა იმავე რაიონის პოლიციის განყოფილებაში შევხვდი გამომძიებელ **ნოდარ გაბელაიას**, რომელსაც ჩემი მასალები დაეწერა: — რა ეროვნების და რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან? ისე მკითხა, თითქოს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამართალწარმოებისთვის.

**— ორმაგი მოქალაქეობა მაინც არ აქვთ?**

პასუხი უარყოფითი რომ მიიღო, პირდაპირ მითხრა: ხომ იცი, პროკურატურას უნდა შევუთანხმოთ, დავიწყოთ თუ არა წინასწარი გამოძიებაო. არადა, კანონი ავალდებულებთ, რომ უნდა დაიწყონ გამოძიება საქმეში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში. ნიშნებისაც კი!

მაშინ და შემდეგ არაერთხელ ვუმეორებდი მასაც და ვინმე თანამშრომელ გოგონასაც, რომელიც დამკითხავდა გაბელაიას „მოუცლელობის“ დროს.

გადის გარკვეული დრო და ბატონი გაბელაია მიბარებს სასაუბროდ. დანიშნულ დროს მივედი და მეუბნება, რომ დღეს არ სცალია, რადგან რომელიღაც ოპერაციაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. შევთანხმდით სხვა დღესა და საათზე. მივედი. არ არის. ორი საათის ლოდინის შემდეგ გამოდის ერთი ქალბატონი და მეუბნება, რომ დაურეკა ნოდარ გაბელაიამ და სთხოვა, გამსაუბრებოდა.

ვიცოდი, რომ ჩემი საქმე მას არ ეწერა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და დავთანხმდი.

მთელი ჩვენი გასაუბრება ამოიწურა იმით, რომ ორად ორი შეკითხვა დამისვა: რა ეროვნებისანი არიან ბიკოევები? რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან?

ამის შემდეგ ვურეკავ პროკურორს, რომელიც მეუბნება, რომ მასალები ჯერ არ მიუღია და გადამამისამართებს პოლიციასთან. პოლიციაში ვრეკავ და გაბელაია მეუბნება, რომ მასალები გაგზავნილი აქვს. სამი თვეა, გრძელდება ეს პინგ-პონგი.

აი, ასეთი შოვინისტური გამოხდომის მოწმე გავხდი ამ კონკრეტულ საქმეში სამართლიანობის დადგენის პროცესში და გადავწყვიტე, თქვენი გაზეთისთვის მომემართა, რადგან მიმაჩნია, რომ ეს რედაქცია ტოლერანტობის დაცვის მოწინავე ხაზზე დგას.

* * *

**დასასრულ, ადვოკატმა ვლადიმერ კიკნაძემ განმიცხადა შემდეგი:**

**— მართალია, დაქირავებული ადვოკატი ვარ, მაგრამ ერთი მანეთი, ლარი, დოლარი, ევრო და ტუგრიკიც კი არ ამიღია; ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან, რადგან ასეთია ჩემი პრინციპი და „სპორტული ინტერესი“.**

**რითაც გამათავისუფლა უხერხული შეკითხვის დასმისგან.**

**არმაზ სანებლიძე**

# აშშ ლონდონის სიტყვას ენდო

**აშშ-მა ირწმუნა ლონდონის განცხადება, რომ რუსეთი დამნაშავეა სკრიპალების საქმეში. ეს თქვა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰიზერ ნაუერტმა ბრიფინგზე, რომლის ჩანაწერი „იუთუბიზე“ გამოქვეყნდა.**

„დიდი ბრიტანეთი ჩვენი მოკავშირეა. თუ იგი გვარწმუნებს, რომ მტკიცებულებები არსებობს, იქ იციან კიდეც, რომ რუსეთმა ამაზე პასუხი უნდა აგოს. ჩვენ გვაქვს საფუძველი, ვენდოთ მათ... მე სამხილები არ მინახავს. თუ ისინი გამოგვიგზავნეს, აშკარად არა სახელმწიფო დეპარტამენტში. ასეთი საკითხი აშშ-ის მთავრობის უმაღლეს დონეზე წყდება“, — დასძინა ნაუერტმა.

27 მარტს გაზეთმა „კომერსანტმა“ გამოაქვეყნა საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც დიდი ბრიტანეთის საელჩომ მოსკოვში უცხოეთის დიპლომატებს შორის გაავრცელა. მოკლე პრეზენციაში არის თეზისი, რომლის თანახმად, რუსეთი „უეჭველად არის პასუხისმგებელი“ სკრიპალების მოწამვლაში. ჩამოთვლილია „მოსკოვის მტრული ქმედებანი“ ბოლო პერიოდში, მათ შორის, მოსკოვის სავარაუდო ჩარევა ამერიკის პრეზიდენტის წინასაარჩევნო პროცესში და კიბერშეტევა ესტონეთის ინტერნეტზე 2007 წელს. იმავე დღეს დიდ ბრიტანეთში რუსეთის საელჩოს მიერ მოწყობილი ბრიფინგის მონაწილე დასავლელმა დიპლომატებმა აღიარეს, რომ ლონდონმა თავის პარტნიორებს არ წარუდგინა ყოფილი ორმაგი აგენტის მოწამვლის საქმის სამხილები.




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009